# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 11 ნოემბერი 1998 №205 (740) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესტონელებს შესცივნიათ
### იქნებ ჩვენ შევახუროთ



ესტონეთი ჩვენამდე ევროპის ვიცეჩემპიონ ჩეხეთს გაეჯიბრა, სერგეი ხოხლოვ-სიმსონი — პაველ ნედვედს (№4)

დღეის სწორს, 18 ნოემბერს, ესტონეთის ეროვნული ნაკრები კავკასიურ ტურნეს რომ იწყებს და პირველად კლუბების სტატუსით მოთამაშე ქართველებთან გაჯიბრება მოუწევთ, ამის თაობაზე უკვე გაუწყეთ. ახლა უფრო საინტერესო.

როგორც ჩვენმა ესტონელმა კოლეგა მარკუს ლუიკმა გუშინ გვაცნობა, ესტონეთის ნაკრების ისლანდიელ მწვრთნელ ტეიტურ ტორდარსონს იმ ფეხბურთელთა გვარები დაუსახელებია, რომელთაც კავკასიაში წამოიყვანს. მხოლოდ ერთი, ესტონელთა ყველაზე სახელოვანი ფეხბურთელი, ინგლისის პრემიერ ლიგის „დერბიში“ მოთამაშე, მეკარე მარტ პოომი არ ჩაამთავრებს ტურნეს. საქმე იმაში ყოფილა, რომ ტორდარსონს უთქვამს: — პოომის ოსტატობაში ეჭვი არ მეპარება. ის მხოლოდ თბილისში ითამაშებს და მერე ინგლისს გაემგზავრება. საქართველოს ნაკრები ხომ დანარჩენებზე ძლიერიაო.

მართალია, პოომი „დერბიში“ კი ირიცხება, მაგრამ თამაშისა რა მოგახსენოთ. მიმდინარე სეზონის დაწყებამდე მას რაღაც უცხო ვირუსი შეჰყრია, საწყის მატჩებში პოომის ადგილი სათადარიგო მეკარეს დაუკავებია და მწვრთნელისთვის თავი ისე მოუწონებია, თურმე „დერბის“ თავკაცებს ესტონელის გაყიდვაც კი გადაუწყვეტიათ, აღარაფერს ვამბობთ მის ძირითადში თამაშზე.

ბალტიისპირელებს, რომლებიც 17-ში, სანკტ პეტერბურგის გავლით ჩამოფრინდებიან თბილისში, სამი ძლიერი ფეხბურთელი არ ეყოლებათ. ნაკრების კაპიტანს მარტინ რეიმს საუნივერსიტეტო გამოცდები ფრიადზე კი ჩაუბარებია, მაგრამ ახლა დასვენება მოსდომებია და მწვრთნელისთვის უთხოვია, ცოტა ხანი ნუ შემაწუხებო. მცველი მარეკ ლემსალუ და ნახევარმცველი სერგეი პერუხო კი ტრავმირებულნი ყოფილან.

ტალინში ახლა ჰაერის ტემპერატურა მინუს 6-7 გრადუსია და მათაც თურმე ერთი სული აქვთ, კავკასიას როდის ეწვევიან. ბოლო დროს ჩვენთანაც კი აცივდა, მაგრამ იქაურ ყინვასთან რა შედარებაა. თბილისში პიჯაკის მეტი არაფერი დაგვჭირდებაო — გვითხრა კოლეგამ, მერე კი ესენი ჩამოგვითვალა:

მეკარეები: მარტ პოომი (დერბი), ტომას ტორვეერი (ფლორა), მარტინ კაალმა (კურესსაარი)

მცველები: ურმას კირსი (ფლორა), სერგეი ხოხლოვ-სიმსონი (ფლორა), იანეკ მეეტი (ფლორა), ურმას როობა (ფლორა), ვიკტორ ალონენი (ფლორა), რაივო ნომმიკი (ტულევიკი), რაიო იიროოია (ლელე);

ნახევარმცველები: მარკო კრისტალი (ფლორა), მაქსიმ სმირნოვი (ფლორა), მარკ შვეტსი (სადამი), ტეეტ ალასი (ტულევიკი), ივან ო კონელ ბრონინი (ტულევიკი)

თავდამსხმელები: ინდრეკ ზელინსკი (ფლორა), ანდრეს ოპერი (ფლორა), კრისტენ ვიიკმაე (ფლორა), არგო არბეიტერი (კტპ).

ამ ფეხბურთელებთან ერთად თბილისში ორი უცხოელი — ლატვიელი ტომას რაჟანაუსკასი და ნორვეგიელი ტრონტ — ინგე ჰაუგლანდი ჩამოვლენ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტალინის „ფლორას“ მაისურს მოირგებენ და 25 ნოემბერს „დინამო 3“-ის წინააღმდეგ ითამაშებენ.

კობა ინასარიძე

## ევროპამ რაგბი დაგვიფასა

გაგიხარიათ, კარგი ამბავი უნდა გამცნოთ: რაგბის საერთაშორისო საბჭო (ირბ) 2000 წლიდან აპირებს ექვსი ერის პირველობის მეორე ლიგა შექმნას და მასში საქართველოც მიიწვიოს. მეტი სიცხადისთვის მცირეოდენი განმარტება.

მოგეხსენებათ, დღემდე ეწყობოდა ხუთი ერის პირველობა საფრანგეთის, ინგლისის, ირლანდიის, შოტლანდიისა და უელსის მონაწილეობით. გაისიდან ამათ იტალია დაემატება და ექვსი ერის პირველობად გადაიქცევა. საბჭოს რეფორმა მიზნად ორი — პირველ-მეორე ლიგების შექმნას ისახავს. პირველ ლიგაში იასპარეზებს ზემოხსენებული ექვსეული. მეორეშიც ასევე ექვსი გუნდი იქნება, მათ შორის საქართველოც.

ამ ცნობის დასადასტურებლად საფრანგეთში მყოფ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს შევეხმიანეთ და აი, რა გვითხრა მან:

— ექვსი ერის პირველობის მეორე ლიგის შექმნა უკვე გადაწყდა. ეს ლიგა 2000 წლიდან ამოქმედდება. მასშიც, პირველი ლიგის მსგავსად, ექვსი გუნდი იქნება. ამ გუნდებიდან ხუთი უკვე შეირჩა. ესენია საქართველო, რუმინეთი, ჰოლანდია, პორტუგალია და ესპანეთი. მეექვსეობაზე პრეტენზიას აცხადებენ გერმანია და ხორვატია. ჯერჯერობით ლაპარაკი უფრო გერმანიაზეა, მაგრამ შეიძლება მათ შორის საგანგებო შეხვედრაც გამართონ და გამარჯვებული მეორე ლიგაში დაუშვან. ჩვენს მონაწილეობას რაც შეეხება, ყველაფერი საბოლოოდ მსოფლიო თასის გათამაშების დასრულების შემდეგ გაირკვევა. ამ თასზე ჩვენს გამოსვლასაც გაითვალისწინებენ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი მონაწილეობის საკითხი 95 პროცენტით გადაწყვეტილია.

ირაკლი თავაძე

## მოსეშვილი ავად გამხდარა



ქართველი კალათბურთელები საევროპოდ ემზადებიან

მეორე კვირაა, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები დილმის ბაზაზე ემზადება. 25 ნოემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრის მატჩში, ჩვენებურები ჩეხეთში იქაურ გუნდს დაუპირისპირდებიან.

ჰოდა, ვარჯიშობენ ბიჭებიც. იგივე სცენარით და იმავე პირობებში. ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო და, ჩვენი დღევანდელი ყოფა მეტის საშუალებას არ იძლევა. ამიტომაცაა, პრობლემებიც ბლომად დაგროვილა, ათასგზის თქმული და ჯერაც გადაუჭრელი პრობლემები.

თუმცა ყველაფერს მეორე მხარეც აქვს. ერთია, რომ ქართულ კალათბურთს უჭირს და შველას ითხოვს. ამაზე აღარავინ კამათობს, მაგრამ მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ნუთუ ისიც არ შეგვიძლია, რომ ქვეყნის რჩეული კალათბურთელები დღეში ერთხელ ვასადილოთ. შეკრება შეკრებას დავამსგავსოთ, ნაკრები — ნაკრებს. რა არის აქ შეუძლებელ-შეუწვდომელი? თითქოს არც არაფერი, მაგრამ... ასეთები და ამაზე უარესები სხვაც ბევრია. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, ეგებ არც ღირდეს, მაგრამ თავად ფაქტი ხომ ყველაფერზე მეტყველებს. საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას რა შედეგებამდეც მივყავართ, ეს ნაკრების განვლილმა ხუთმა მარცხმაც ცხადყო. ახლა ვითომ რისი გვეიმედება? რატომ უნდა ველოდოთ უკეთესს?

...გუშინ დილმის ბაზაზე მისულმა ერთი უსიამოვნო ამბავიც შევიტყვე. ორი დღეა, ნაკრების მწვრთნელი, ლევან მოსეშვილი ბაზაზე არ გამოჩენილა. იგი ფეხებს შეუწუხებია და ახლა ყველაფერი ექიმებზეაო, ამბობენ.

იხილეთ მეათე გვერდი

## პაწაწინა მარჯნისფერი კუნძულია
### 7-ათასიანმა ნაურუმ 70-მილიონიან გერმანიას აჯობა



REUTERS ფოტო

56-კილოგრამიანმა ჰალილ მუთლუმ ორჭიდში 295 კილოგრამი ასწია

გუშინ ფინეთის ქალაქ ლახტიში ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. ვიდრე ფიცარნაგზე მომხდარ ამბებზე გეტყოდეთ, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ერთობ უცნაურ გადაწყვეტილებას გამცნობთ. ფედერაციის ჩინოსნებმა 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად ნაურუ გამოაცხადეს. არა გვგონია, ამ ქვეყანას ბევრი იცნობდეს, მარჯნის ეს ერთი ციცქნა კუნძული, ფიჯიდან სამასი კილომეტრის მოშორებით, სადღაც წყნარ ოკეანეშია ჩაკარგული და იქ მხოლოდ 7000 კაცი სახლობს. ეტყობა, ამიტომაც ტრაბახობდნენ ნაურუელები — 7000-მა ნაურუელმა 70 მილიონიან გერმანიას ვაჯობეთო. გერმანიის გარდა მსოფლიოს პირველობის მასპინძლობა პოლონეთსაც სურდა და თურქეთსაც.

ახლა კი კვლავ ფინეთს დავუბრუნდეთ. გუშინ ლახტის ფიცარნაგზე სამი წონითი კატეგორიის ათლეტები გამოვიდნენ. 48 კილოგრამიან ქალებში ჩემპიონი გახდა ჩინელი ლი იუნდი, რომელმაც ორჭიდში 182,5 კგ დააგროვა. 53 კგ წონაშიც ჩინელმა ქალმა ვან სიუვანმა მოიპოვა ოქროს მედალი 210 კილოგრამით.

კაცთაგან 56 კგ წონის ძალოსნებმა იასპარეზეს და მსოფლიოს ჩემპიონის ოქრო არავის დაუთმო თურქმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰალილ მუთლუმ, რომელმაც ორჭიდში 295 კგ-ის აწევა შეძლო.

## აპრილამდე უდელპიეროოდ



— იგი სულ ცოტა ხუთი თვე ვეღარ ითამაშებს. მისი დროებითი დაკარგვა ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია — განაცხადა „იუვენტუსის“ გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ გუშინ შუადღისას, რითაც დაადასტურა დილით გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ალესანდრო დელ პიერო მძიმედ დაშავდა.

ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში ფეხბურთელმა კოჭი ამოიბრუნა. ტრავმა ძალიან სერიოზული გამოდგა.

„იუვენტუსი“ დელ პიეროს გარეშე დარჩა.

მაშ ასე, აპრილამდე...



გელა კიკალეიშვილი, მურად ქუთათელაძე, ჯემალ ხერხაძე და ახალი პრეზიდენტი მიხეილ ქორქია გუნდთან შეხვედრისას

# მიხეილ ქორქია: ახალი კაცი ტორპედოში

იყო დრო, ქუთაისის „ტორპედო“ თავისი სიძლიერითა და ტრადიციებით საქართველოში მეორე გუნდად ითვლებოდა თბილისის „დინამოს“ შემდეგ. მერე, როცა ეროვნულმა ჩემპიონატმა საკუთარი ისტორიის ათვლა დაიწყო, ბევრს ეგონა, „ტორპედო“ ახლა მაინც გამოეთხოვებოდა მეორეობას და „დინამოსაც“ შეეცილებოდა ჩემპიონობასო, მაგრამ უკვე მეათე ეროვნული ტარდება და ამ ხნის მანძილზე ქუთაისის „ტორპედომ“ ჩემპიონობა კი არა, მეორე გუნდობაც კი ვერ შეძლო. ამ ხნის მანძილზე ქუთათურებმა ორჯერ მოახერხეს საპრიზო სამეულში მოხვედრა, 1991 და 94 წლებში.

1996 წელს თითქოს ყველაფერი მოგვარდა. „ტორპედოს“ ახალი პრეზიდენტი და სპონსორი, ბესიკ ჯიქია და „სიგმა ბანკი“ მოევლინა და იფიქრეს, ახლა კი ნაღდად გვეშველებაო. ჯიქიამ რომ საქმეს სერიოზულად მიხედა, „ტორპედოს“ ამბიციამაც იმატა და ქუთათურებმაც თქვეს, ჩვეულ ადგილსაც დავიბრუნებთ და არც ჩემპიონობაზე ვიტყვით უარსო. შემადგენლობაც საგრძნობლად გააძლიერეს და აეწყო საქმე.

„ტორპედომ“ წლეულს საუცხოო სტარტი აიღო. ერთხანს პირველ ადგილზეც იმყოფებოდა, „დინამოს“ სუნთქვაც ზურგსუკან ესმოდა, შემდეგ კი გაცვალეს გუნდებმა ადგილები. მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ჯიქია ვალებს ვერ აუვიდა. ამას ზაფხულში ინტერტოტოზე ბელგიურ „ლომელთან“ საშინაო მარცხის რეზონანსიც დაერთო, ფეხბურთელებისთვის გასაცემელი ხელფასები და პრემიალურები, სტადიონის, ბაზის რემონტი... „ტორპედო“ დაშლის პირას დადგა...

და აჰა, „ტორპედომ“ ამოისუნთქა. ქუთათურებში ძველმა ახალმა სიომ დაჰბერა. ქუთაისს სასახელო შვილი დაუბრუნდა.

დიახ, „ტორპედოს“ ახალი პრეზიდენტი, ცნობილი კალათბურთელი, 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბატონი მიხეილ ქორქია ჰყავს.

ბატონმა მიშამ „ტორპედო“ — „მერანის“ შეხვედრის დასრულებისთანავე სტადიონის სამთავრობო ლოჟაში ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და მინი-პრესკონფერენციაც გამართა.

რამდენიმე წლის განშორების შემდეგ მიხეილ ქორქია მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა. დაუბრუნდა როგორც პრეზიდენტი და „ტორპედოს“ მშველელი. საიდან წარმოიშვა ბატონი მიშას ქუთაისური კლუბის პრეზიდენტად გახდომის იდეა? სწორედ ამ კითხვით დავიწყეთ პრესკონფერენცია.

— ქუთაისში რომ ჩამოვედი, შევხვდი ქალაქის მერს, ბატონ ბადრი მელქაძეს და იმერეთის გუბერნატორს ბატონ თემურ შაშიაშვილს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სურვილი დიდია, რომ ქუთაისს თავისი ტრადიციიდან გამომდინარე ძლიერი გუნდი ჰყავდეს. სწორედ მათი თანადგომა ვიგრძენი. დავრწმუნდი, რომ ქუთაისში სპორტის და კერძოდ ფეხბურთის ბუმია. ქუთაისი იმსახურებს ძლიერი გუნდის ყოლას. როგორც გავიგე, ჩემს ჩამოსვლამდე გუნდს ერთი კვირის მანძილზე არ უვარჯიშია, ენთუზიაზმზე თამაში კი თავისთავად ძნელია. რომ გაიგეს, ქუთაისში უნდა დავბრუნებულიყავი, გუნდის ხელმძღვანელებმაც და ფეხბურთელებმაც თანხმობა განაცხადეს ჩემს პრეზიდენტობაზე. აი, თუნდაც დღეს დავინახე ბიჭების უდიდესი მონდომება. ეტყობოდათ, რომ მობილიზებულნი და თამაშზე კონცენტრირებულნი იყვნენ. არ დავმალავ, სურვილიც ჰქონდათ, რომ ჩემთვის ესიამოვნებინათ. ჯერჯერობით მიჭირს კონკრეტულად საუბარი, მაგრამ თუ თანადგომა იქნება, მიუწვდომელი არაფერია. ნორმალურად გავერკვევი, რა მდგომარეობაა და საქმესაც მივხედავთ, თანაც სერიოზულად და მაღალ პროფესიულ დონეზე. რადგან პრეზიდენტი გავხდი, მსურს, სტადიონზე ლატარიის გათამაშება ალორძინდეს. ამით ქუთაისელი ფანები უფრო აზარტულნი გახდებიან. თუკი ყველაფერი დროულად მოესწრო, მოხდა რეგისტრაცია და ამ საკითხის იურიდიულად გაფორმება, ალბათ, უკვე პირველი წრის ბოლო ტურში, როდესაც ბოლნისის „სიონს“ ვუმასპინძლებთ, გავათამაშებთ ახალთახალ უცხოურ მანქანას.

**— ყველასათვის ნაცნობი სურათია. გუნდში მოვიდა ახალი პრეზიდენტი, მიზნები, იცოცხლეთ, უამრავია, მერე კი... ვალების დაგროვება, ფეხბურთელებზე გასაცემი ხელფასები და პრემიალურები, სკანდალი... და გუნდიც იშლება. ასეთი სიტუაცია იყო თქვენამდე. იგივე საშიშროება ხომ არ არსებობს?**

— ეს პრობლემა რომ ერთი წლის მერე დადგეს, თანამდებობას არც დავთანხმდებოდი. თავის ქებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ მე საკმაოდ ძლიერი პიროვნება ვარ, ჩემი წარსულით და აწმყოთი. მყავს საქმიანი მეგობრები და არსებობენ ფირმები, რომლებიც გვერდზე მედგნენ ყოველთვის და ახლაც მიდგანან.

**— ესე იგი ქორქია დიდი საქმისთვის დაბრუნდა. გუნდის პოტენციას თუ ხედავთ?**

— დღეს ქართული ფეხბურთი უდიდესი პრობლემის წინაშე დგას. მე რაც დავინახე, ქუთაისის „ტორპედოს“ დიდი პოტენცია გააჩნია, ამბიციურობა არასოდეს აკლდა. გუნდში არიან იმედისმომცემი ნიჭიერი ახალგაზრდები. უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა საფეხბურთო სკოლას, რათა ნიჭიერი რეზერვით შევსებაც მივიღოთ. ამისათვის ფინანსები აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ ფულით საქმეს ვერ უშველი. გუნდში ერთსულოვნება და პატრიოტიზმი აუცილებელია. დღეს ყველას მხოლოდ ფულზე გაურბის თვალები, როგორ მოიხვეჭონ, არც დაეძებენ, პატრიოტიზმს კი არად დაგიდევენ.

**— თქვენი ავტორიტეტი დიდ გავლენას მოახდენს...**

— ერთ მაგალითს გეტყვით. გუშინ წვიმაში საღორიის ბაზაზე რომ მივედით, ორიოდე მოხუცი დაგვხვდა. ვინ ხართო, რომ იკითხეს, „ტორპედოს“ მშველელები-მეთქი, ვუპასუხე. ეს რომ გაიგეს, კარები სიხარულით გააღეს, იქნებ გვიშველოთო. მართლა ვუშველით გუნდს. შეპირებები არ მიყვარს. გარწმუნებთ, ნელ-ნელა ყველაფერს მოევლება, ნაწყენს არავის დავტოვებთ. ვინც ვერ დაიმსახურებს და მასზე გაცემულ ავანსებს ვერ გაამართლებს, გუნდში ვერც გავაჩერებთ. შეიძლება ფეხბურთელი ვარსკვლავად არ იყოს დაბადებული, საშუალო დონე ჰქონდეს, მაგრამ ბუნებით იყოს დაჯილდოებული და შრომის მოყვარე. გუნდში დისციპლინა უმთავრესია და ამასაც მოევლება. ფეხბურთელს მისაცემს მივცემთ და მოვთხოვთ კიდეც. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ გაუთვალისწინებელი რამ მოხდეს. ალბათ, ამ მხრივ პრობლემა არ შეგვექმნება, მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ შრომას და პატივისცემას, როგორც ჩემგან, ისე ფეხბურთელებისგან მთელი საზოგადოება და ქუთაისი ნათლად დაინახავს.

**— სადაცაა, პირველი წრე დასრულდება. რაიმე ძირეულის შეცვლას ხომ არ აპირებთ, იქნებ „ტორპედოში“ ლეგიონერიც ვიხილოთ?**

— რატომღაც ისეთი ტენდენციაა, რომ ყველას ვყიდით. ფეხბურთელი რომ გაიყიდება, შემდეგ არ ჩანს, სად მიდის მასში აღებული თანხა. ჩემი „ტორპედოში“ ყოფნის პერიოდში ასე არ იქნება, ყველაფერი ითქმება. მერწმუნეთ, კლუბი ძლიერი და მდიდარი ვერ იქნება, თუ მან მხოლოდ ფეხბურთელთა გაყიდვაზე იფიქრა. რა თქმა უნდა, მეორე წრისთვის გავძლიერდებით და რამდენიმე ფეხბურთელსაც დავიმატებთ. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოვიწვევთ ლეგიონერებს. რა თქმა უნდა, ეს უმალ არ მოხდება, მაგრამ მიუწვდომელი არაფერია. ერთს გეტყვით, ლეგიონერთა ჩამოყვანა უმაღლეს დონეზე მოხდება. ჩვენ უბრალო ლეგიონერი, რომელიც მხოლოდ ფულზე ფიქრობს არ დაგვჭირდება. თუკი მოვიწვევთ, მოვიწვევთ მხოლოდ ნამდვილ პროფესიონალს. და კიდევ, ქუთაისის „ტორპედოს“, როგორც ყველა პროფესიულ და მაღალორგანიზებულ გუნდს შეჰფერის, აუცილებლად ეყოლება პრესატაშე, რომლისგანაც ყველა დაინტერესებული პირი მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას გუნდის შესახებ. ამას უახლოეს ხანში მოვაგვარებთ.

**— როგორ მოევლება იმ ვალებს, რაც გუნდს დაუგროვდა — სტადიონის რეკონსტრუქციაში მონაწილე მომსახურეთა გასამრჯელო, ფეხბურთელთა ხელფასებისა და პრემიალურების დაფარვა თქვენი მეშვეობით მოხდება?**

— ბესო ჯიქიას კარგად ვიცნობ, მასთან ნორმალური, მეტიც, გადასარევი ურთიერთობა მაქვს. რა მოხდა ასეთი, გასაჭირის ნამდვილი მიზეზი არ ვიცი. ალბათ, ჩამოვა და დაველაპარაკები. მით უმეტეს, სათქმელი ბევრი მაქვს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჩემზე გადმოვა. ფეხბურთელთა მიერ გაფორმებული კონტრაქტები, ის ვალები, რაც გუნდს დაუგროვდა, მე შემეხება. ლაპარაკია კოლოსალურ თანხაზე. ვიცოდი ყოველივე ამის შესახებ და მაინც დავთანხმდი. ვფიქრობ, შემწევს ძალა, გავუძლვე გუნდს. რამდენად, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**— ბატონო მიხეილ, თბილისელთა სამეულის (ვაშაკიძე, ჯინჭარაძე, ყიფიანი) და ბოლნისელი მეტრეველის საქმე როგორ იქნება?**

— სერიოზულად მსურს დაველაპარაკო მწვრთნელს, მოთამაშეებს. ისეთები, რომლებიც მხოლოდ ფულზე ფიქრობენ და გუნდზე, საზოგადოებაზე არა, გამოგვადგება? ასე შორს ვერ წავალთ. მთავარია, ადამიანს კაცობა, ყველას მიმართ პატივისცემა და, რაც მთავარია, პატრიოტიზმი გამოძრავებდეს. კაცი რომ 38 000 დოლარს აიღებ და შემდეგ დარჩენილი რაღაც ორიათასისთვის გუნდს მიატოვებ, ეს რაზე მეტყველებს?

შემდეგ ბატონმა მიხეილ ქორქიამ ქუთაისის საზოგადოებას და მთლიანად საქართველოს მიმართა, დაამშვიდა ისინი, ყველაფერს მოევლება, უფლის წყალობით ყველაფერი კარგად იქნებაო.

— პრეზიდენტობა, თანაც ისეთი ამბიციური კლუბის, როგორც „ტორპედოა“, რთული კი გახლავთ, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. მთავარია, მონდომება, მუხლჩაუხრელი შრომა და შედეგსაც მოვიმკით. ვეცდები, ჩემი მოსვლით და აქ ყოფნით „ტორპედომ“ არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც სახელი დატოვოს. ახლა 11-ში თასზე ფოთის „კოლხეთთან“ მწვანე მინდორზე ვიომებთ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. ყველანი გვერდში უნდა დავუდგეთ ერთმანეთს და საკეთებელიც ერთად ვაკეთოთ. მერწმუნეთ, ყველაფერი კარგად იქნება.

„მერანთან“ მატჩამდე როგორც უკვე გუშინ გაუწყეთ, პრეზიდენტმა ფეხბურთელებს ერთი თვის ხელფასი წინასწარ გადაუხადა, საქმე წინ წაიგდო. შემდეგ ქორქია საღორიის ბაზაზე გაეშურა, რათა გუნდის წევრებს შეხვედროდა. ერთსულოვნებისთვის და საქმისათვის ხომ საერთო აზრს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**გიორგი მაშაკიძე**

# ვინ იქნება მეოთხე(დ)ფინალში?

საქართველოს თასი
მერვედფინალი

დღემდე საქართველოს თასი სამი გუნდის კუთვნილება ყოფილა — „დინამო“ ექვსჯერ, ხოლო „გურია“ და „ბათუმი“ თითოჯერ ფლობდნენ ამ საპატიო ჯილდოს. წლევანდელმა გათამაშებამ შეიძლება თასის მეოთხე ახალი მეპატრონე გამოავლინოს. თუმცა იქამდე გუნდებს დიდი ბრძოლები ელით. მერვედფინალში წილისყრამ ექვსი ქართული ფეხბურთის გრანდი დაუპირისპირა ერთმანეთს. დანარჩენი წყვილების პაექრობაც ერთობ საინტერესო უნდა გამოდგეს. თასის ფინალისკენ მიმავალი გზა ხომ ევროპაში გასვლის შანსებს აათმაგებს.

ყველასთვის გასაკვირად, „კოლხეთის“ ერთ-ერთი მესვეური კენჭისყრის შედეგით ერთობ კმაყოფილი დარჩა და ხმამაღლა განაცხადა, „ტორპედოს“ ჩვენზე 5:1-ით მოგებას არ ვაპატიებთ, შურს ვიძიებთ და პირველივე სათასო შეხვედრაში მოვითავებთ საქმესო. დაქადნებით შეიძლება ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინო მეტოქეზე, მაგრამ მოახერხებენ კოლხები ახალი სპონსორით გამხნევებულ „ტორპედოზე“ „გადავლას“?

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. მატჩს განსჯის მერაბ მალალურაძე, რომელსაც შარშან იმერელთა კლუბის აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა ბესო ჯიქიამ „კოლხეთის მსაჯის“ იარლიყი მიაწება.

თასის გათამაშებაში აქამდე ეს გუნდები არ შეხვედრიან ერთმანეთს. რაც შეეხებათ მათ სათასო მონაცემებს, „ტორპედო“ ორჯერ გავიდა ნახევარფინალში, ხოლო „კოლხეთი“ — ერთხელ. თუმც ორთავე „დინამომ“ იმსხვერპლა.

არანაკლები ინტრიგა ახლავს „დინამო“ — „ლოკომოტივის“ წყვილს. მეათე ჩემპიონატში ჯერ დაუმარცხებელი გუნდები ამჯერად თასის გათამაშებაში დაეჯახებიან ერთმანეთს. მეათე ეროვნულში კი მათი შეხვედრა მცხეთაში ნულოვანი ფრეთი დამთავრდა. ევროსაგზურზე დაგეშილი რკინიგზელები ტოლს არ დაუდებენ მრისხანე მეტოქეს, მაგრამ შარშანდელი თასის გათამაშების ფინალში „ბათუმთან“ დამარცხებული მარადი ჩემპიონები წლეულსაც დუბლის გაკეთებას აპირებენ და არა გვგონია, ჯერ კიდევ მერვედფინალში დაყარონ ფარ-ხმალი.

საქართველოს თასის მფლობელ „ბათუმს“ გორის „დილასთან“ მოუწევს ტიტულის დაცვა და მეოთხედფინალისკენ მიმავალი გზის გაკაფვა. ზღვისპირლებს თამამად შეიძლება ვუწოდოთ სათასო კლუბი. ბათუმელები თასის რვა გათამაშებიდან ხუთჯერ გავიდნენ ფინალში და ხუთჯერვე „დინამოს“ შეეპირისპირნენ. ორგებით კი მხოლოდ ერთხელ გაიხარეს, 1998 წლის 26 მაისს, დამატებით დროში სძლიეს მეტოქეს, რომელმაც ძლივს მოახერხა ნახევარფინალში გორის „დილას“ დამარცხება (1:2, 3:1).

ქართლელებმა წლეულს საჩემპიონატო მატჩში უკვე უმასპინძლეს „ბათუმს“ და 0:1 წააგეს. დღეს მასპინძლები რევანშის აღებას შეეცდებიან, რადგან განმეორებით შეხვედრაში მათი შანსები ერთობ მოკრძალებულად გვეჩვენება.

მერვედფინალის სხვა მონაწილეთაგან სათასო თამაშების გამოცდილებით მხოლოდ სამტრედიული და რუსთაველი გუნდები თუ დაიკვეხნიან.

მეოთხე გათამაშებაში „გორდამ“ ფინალშიც კი გაიკვლია გზა და „დინამოსთან“ ერთობ დაძაბულ ბრძოლაში 0:1 დათმო შეხვედრა. მერვედფინალში რუსთაველებს ბოლნისური ბარიერის გადალახვა მოუწევთ, მაგრამ ამის გაკეთება რომ ადვილი არ იქნება, ფაქტია. „სიონმა“ თანდათან მოუმატა და გასვლაზე პირველი გამარჯვებაც კი მოიპოვა სამტრედიაში.

იგივე მდგომარეობაშია „იბერია“ „სამგურალთან“ დაპირისპირებისას. დარსაძის შეგირდებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მე-13 ტურში, გორში „დილასთან“ თამაშისას. აი, სამტრედიელებმა კი ამ ბოლო დროს რაღაც „აურიეს“.

„მერანი“ — „ოდიშის“ მეათე ეროვნულის მატჩი სტუმრებმა 1:0 მოიგეს. თუმც მას შემდეგ ოდიშარებს უკუღმა წაუვიდათ საქმე და ახლა ძალიან უფერულ ფეხბურთს თამაშობენ, გასაგებ მიზეზთა გამო.

თსუ და „ვიტ ჯორჯია“ ზედიზედ მეორედ ხვდებიან ერთმანეთს. კრიზისში მყოფი ვიტელები ოთხი დღის წინ სტუდენტებთან ბოლო წუთებზე დამარცხდნენ. ვნახოთ, შეძლეს ვეტერინარებმა ამ თამაშიდან სწორი დასკვნების გამოტანა?

მერვედფინალში ერთადერთი მეორეჯგუფელი, ბათუმის „კოლეჯი“ მოგვევლინა. აჭარელებს მეთექვსმეტედფინალში „გურია“ არ გაეჯიბრა და ისინიც ასე მოხვდნენ ამ გაუგებრობაში. აი, არმიელებთან კი კარგად მობილიზება მართებთ, თორემ შეიძლება „არსენალმა“ ისე გაისროლოს, რომ ბათუმელებს საპასუხო მატჩში ლანჩხუთელთა საქციელის განმეორების სურვილი ალუმრას. სად გაიმართება დღეს მატჩი ამ დილით გადაწყდება, თუ დასავლეთში ისევ იწვიმა, გუნდებს შესაძლოა ბენზეს სტადიონიდან „დინამოზე“ გადაბარგება მოუწიოთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

| | |
|---|---|
| **თსუ — ვიტ ჯორჯია** | **კოლხეთი — ტორპედო** |
| მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ა. მეშკოვი, ა. ქარქაშაძე; თ. ლორთქიფანიძე (ყველა თბილისი) სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი | მსაჯები: მ. მალალურაძე, ზ. დოლიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); გ. ასკაროვლი (ქარელი) სფფ-ს დელეგატი: გ. პეტრიაშვილი |
| **კოლეჯი — არსენალი** | **მერანი — ოდიში** |
| მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული) სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია | მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი); ა. ორდენიძე (ონი), ლ. რაზმაძე (გორი); ზ. დარჩია (თბილისი) სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი |
| **დინამო — ლოკომოტივი** | **იბერია — სამგურალი** |
| მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ე. სილაგავა (თბილისი) სფფ-ს დელეგატი: ს. კუტივაძე | მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ს. შალამბერიძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი) სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე |
| **დილა — ბათუმი** | **გორდა — სიონი** |
| მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ზ. ხუციშვილი (დმანისი) სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი | მსაჯები: ს. კახიანი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), დ. თოდუა (მარტვილი); გ. მგელაძე (თბილისი) სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი |



წლევანდელი „ტორპედო“ — „კოლხეთი“ 5:1. ჯანო და ჯონი. ფოთელებს სათასო რევანში სწყურიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლევან სილაგაძე: დიდებიდან ინტერნაციონალამდე

ძალაუნებურად ორი ეპიზოდი მახსენდება ამ ფეხბურთელთან დაკავშირებით. ორივე მათგანი რუსთავს, მის მშობლიურ ქალაქს უკავშირდება.
1996 წლის მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრა. „მეტალურგი" „მარგვეთს" მასპინძლობს. გამარჯვების შემთხვევაში რუსთაველები მეორე ადგილზე გადიან და უეფას თასის საგზურს ეუფლებიან. იგივე შანსი აქვს მათ მეტოქესაც.
„ფოლადზე" შეკრებილნი რუსთაველთა წარმატებაში არიან დარწმუნებულნი, მაგრამ მატჩის მიწურულს „მარგვეთს" გააქვს გოლი, ერთადერთი ამ მატჩში. თამაშის ბოლოს მასპინძლები თავჩაღუნულნი ტოვებენ მოედანს. მათი ერთი თანაგუნდელი კი საკუთარ საჯარიმოში რჩება გაზონზე გართხმული და აცრემლებული.
მოგვიანებით იგი გულშემატკივრებს გაჰყავთ მოედნიდან...
1997 წლის 9 სექტემბერი, ისევ რუსთავი და კვლავ „ფოლადის" სტადიონი. ტრიბუნები ამჯერადაც გადაჭედილია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იტალიელ თანატოლებს მასპინძლობს და უშეღავათო ბრძოლაში დიდებულად იმარჯვებს.
მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ ერთი ქართველი ფეხბურთელი უმალ გამოეყო მოზეიმე თანაგუნდელებს. პირველმა დატოვა მინდორი და სიხარულისგან მეცხრე ცაზე მყოფ გულშემატკივრებს შეუერთდა. ეს ფეხბურთელი ერთი წლის წინ იმავე მინდორზე ეულად დარჩენილი და აცრემლებული ლევან სილაგაძე იყო...

— ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის რევაზ ძოძუაშვილს. მან გადამიყვანა „აზოტიდან" „მეტალურგში" და ძირითად შემადგენლობაშიც მანდო ადგილი. მეშვიდე ჩემპიონატის ბოლოს მიხიჩა ისრაელში წავიდა ჩალაძესთან და ზირაქიშვილთან ერთად, იქ კი მათ ვინმე მარკ ზახოდინი შეხვდრიათ. ეს კაცი მჭიდროდ ყოფილა „სკონტოსთან" დაკავშირებული და ქართველთათვის რიგის გუნდში ძალების მოსინჯვაც შეუთავაზებია. აქ კი მიხიჩამ მეც გამიხსენა, თბილისში დაბრუნებულმა სასწრაფოდ ბაზაზე მიხმო და მომდევნო დღეს ჩალაძესთან და ზირაქიშვილთან ერთად რიგას გავემგზავრეთ. ასე აღმოვჩნდი „სკონტოში".

**— ლატვიურმა ფეხბურთმა მოკლე დროში საოცარი პროგრესი განიცადა. ამას თავისი მიზეზებიც აქვს...**

— ვერ ვიტყვი, რომ ლატვიაში სუპერლიგაა, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის მასთან შედარებაც არ შეიძლება. ლატვიამ ფეხბურთის განვითარების მხრივ მართლაც დიდი ნაბიჯი გადადგა. ამას ერთი მარტივი ახსნა აქვს, ფედერაციამ გარკვეულწილად თავისი აქტიური მუშაობით მოახერხა ბიზნესმენთა დაინტერესება. ლატვიურ ფეხბურთში ელემენტარულად ფულია ჩადებული. იქაური ფეხბურთის მესვეურები აქტიურად ცდილობენ ლეგიონერთა დაბრუნებას, ხელფასებიც ნორმალურია და, რაც მთავარია, ფეხბურთის სათამაშოდ ყველანაირი პირობაა შექმნილი.

**— ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატებს შორის ერთი მსგავსება მაინც არის. ჩვენი „დინამოსი" არ იყოს, „სკონტოსაც" კარგა ხანია, აწევს მარადიული ჩემპიონის ტვირთი...**

— „სკონტო" მართლაც გამორჩეული გუნდია ლატვიაში და ყველა მეტოქეზე ერთი თავით მაღლა დგას. ეს, რა თქმა უნდა, ლატვიური ფეხბურთის მინუსიც არის. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს ჯგუფში გუნდების მინიმალური რაოდენობა გამოდის, კონკურენციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შარშან არც ერთი შეხვედრა არ წაგვიგია. წარმოიდგინეთ, მხოლოდ ექვსი ბურთი გავუშვით. ალბათ, ამის ბრალიც იყო, რომ წელს სეზონი მძიმედ დავიწყეთ, მაგრამ უხეირო სტარტს ჩვენი ჩემპიონობისთვის ხელი არ შეუშლია.

**— ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში „სკონტო" — „ბარსელონას" დაპირისპირებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია.**

— ეს მართლაც დაუვიწყარი შეხვედრები იყო. არასოდეს დამავიწყდება „კამპ ნოუზე" შექმნილი ატმოსფერო. გემახსოვრებათ, ჩვენ ერთგვარი სენსაციაც მოვახდინეთ. სახელოვან კლუბს ორჯერ ვუგებდით. ბოლოს კი მატჩის არბიტრმა საეჭვო პენალტი დაგვიდო და 2:3 დავმარცხდით. ყოველთვის ვიტყვი, ის შეხვედრა რომ ფრედ დამთავრებულიყო, მართლაც სასწაული იქნებოდა. თქვენ იცით ლატვიური ფეხბურთის სტილი, მთელი გუნდით დაცვაში ჩავუდგებოდით მეტოქეს და, მგონი, რიგაში გოლს არც გავუშვებდით. განმეორებით მატჩში ერთი ბურთის გატანა აუცილებლად გვჭირდებოდა და სხვა ტაქტიკით ვითამაშეთ. არასოდეს დამავიწყდება, 0:0-ზე ანდერსონმა ამ მატჩში ერთადერთი გოლი რომ გაგვიტანა, რა დღეში ჩავარდა ლუის ვან გაალი, გახარებული მინდორზე შემოიჭრა და ფეხბურთელს გადაეხვია... მაშინ მართლაც გვარიანად ვანერვიულეთ კატალონიელები.

**— ლევან, ერთი პერიოდი დორტმუნდის „ბორუსიაში" შენს გადასვლას წინ თითქოს არაფერი ედგა...**



საქართველო — იტალია. სილაგაძე მაშინ ლუკარელის იჭერდა

— მაშინ მართლაც დიდად იმედგაცრუებული დავრჩი. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, დორტმუნდს ჩავედი. კლუბის ხელმძღვანელობამ და ფეხბურთელებმაც გულლიად მიმიღეს. გუნდში რამდენიმე ვარჯიშიც ჩავატარე. ამხანაგური შეხვედრისთვისაც ვემზადებოდი და უცებ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, „სკონტოს" ჩემ სანაცვლოდ გვარიანი თანხა მოუთხოვია. თუ არ ვცდები, მილიონ მარკაზე მეტი. ამ თანხას კი ლატვიაში მოთამაშე ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელში „ბორუსია" ნამდვილად არ გადაიხდიდა.

**— შემდეგ თითქოს „გალათასარაი" დაინტერესდა შენით.**

— ეს საქმე კონკრეტულ წინადადებამდე არ მისულა. მე არავინ დამკავშირებია ამის შესახებ და, ბუნებრივია, ისევ „სკონტოში" დავრჩი.

**— ცოტა ხნის წინ რევაზ ძოძუაშვილმა ერთობ მოულოდნელი ახალი ამბავი გაგვანდო, სილაგაძით „ინტერი" დაინტერესდაო.**

— მიხიჩას მრავალმხრივი ურთიერთობის შესახებ თქვენც ბევრი გსმენიათ. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი სანდრო მაცოლა ამჟამად „ინტერის" სელექციონერი და ძოძუაშვილის კარგი ნაცნობია. მაშინ მაცოლას საიმედო მცველის შეძენა სდომებია და მიხიჩასაც მისთვის ჩემი კანდიდატურა შეუთავაზებია. მაცოლა რიგაშიც ჩამოვიდა. შემდეგ თავად „ინტერს" შევხვდით და იტალიელ სელექციონერსაც გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ ვყავდი. შემდეგ ტრავმა მივიღე და იძულებითი დასვენება მომიხდა... ისე, არ გამოვრიცხავ, რომ მეორე წრიდან ჩემი „ინტერში" გადასვლის საკითხი კვლავ დღის წესრიგში დადგეს.

**— ჰო, მართლა, „ინტერთან" შეხვედრაში სამორანოს მეურვეობდი.**

— იმ შეხვედრაში „სან-სიროზე" ერთობ იტალიური სიტუაცია სუფევდა, საქომაგოდ შემართული ტიფოზები, მშვენიერი სარბიელი და ამდენი ვარსკვლავი. ყოველივე მეტად შთამბეჭდავი იყო. სამორანო კი უდავოდ ძლიერი ფეხბურთელია. გამაოცა იმან, რომ იგი ყოველ წამს საბრძოლოდ შემართული იყო. თავისთავად ასეთ დონეზე თამაში ჩემთვის დიდი პატივი იყო.

**— ახალგაზრდული ნაკრებიდან მალე ეროვნულშიც მოხვდი...**

— ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშმა საოცარი თავდაჯერების გრძნობა შემმატა. გუცაევმა მაშინ მაქსიმუმი გაილო, რათა თითოეულ ჩვენგანს თავისი წილი პასუხისმგებლობა ეგრძნო. მაშინდელი ჩვენი შედეგი ჰაერიდან არ მოსულა, ყველა თავის საქმეს აკეთებდა. ეროვნულ ნაკრებში თამაში კი ჩემი ყველაზე დიდი ოცნება იყო. ახლა რომ ვუფიქრდები, მაშინ შელიასა და ცხადაძის დახმარებით დიდი ფსიქოლოგიური ბარიერი გადავლახე.

**— დღეს ბევრი ლაპარაკია, რომ ეროვნულ ნაკრებში არაჯანსაღი სიტუაციაა შექმნილი...**

— არაფერი მაგის მსგავსი. ნაკრებში ყველა ძმებივით ვართ. სხვისი არ ვიცი და მე არასოდეს მიგრძვნია სხვაგვარი რამ. ჩვენ ხომ ქართველები ვართ. ხანდახან გავეხუმრებით ერთმანეთს და ეგ არის. სულ სხვა საქმეა, თუ ამ ხუმრობას სხვანაირი რეზონანსი მოჰყვა...

**— ლატვიურ, ბერძნული ფიასკოს მონაწილე უშუალოდ არ ყოფილხარ, მაგრამ ყველაფერი შენი თვალით ნახე...**

— ეს მარცხი ჩემთვის ორმაგად მტკივნეულია. ჯერ ერთი, ნაკრებს ტრავმის გამო ვერაფრით დავეხმარე, თუმც არა მგონია, რომ მეთამაშა, რაიმე შეიცვლებოდა, მეორეც — ჩვენ ვერ გავამართლეთ ის უდიდესი ნდობა, რომელიც ქართველმა გულშემატკივარმა გამოგვიცხადა. ეს ძალიან დიდი ტკივილი იყო, მაგრამ არა ტრაგედია. მჯერა, რომ ამ მარცხისგან ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც სწორ დასკვნებს გააკეთებენ, თანაც ფედერაციაში ხელმძღვანელობა შეიცვალა და, ვფიქრობ, ეს ფაქტიც სასიკეთოდ წაადგება საერთო საქმეს. ნათქვამია იმედი ბოლოს კვდებაო. მომავალ წელს ქვეჯგუფში შვიდი თამაში დაგვრჩა ჩასატარებელი. ეს თავისთავად იმას ნიშნავს, რომ წინ ბრძოლა გველის, დიდი ბრძოლა და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**პაატა ძვანტალიანი**

## 11 ტური — მეორე ჯგუფი

### დასავლეთი, „ა" ქვეჯგუფი

5 ნოემბერი

**რიონი 2:1 ჩიხურა**
1:0 ლომინაშვილი (18), 1:1 თ. სამხარაძე (22), 2:1 ნაროუშვილი (49)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

6 ნოემბერი

**იბერია 2 1:2 მეშახტე**
0:1 სახელაშვილი (38), 0:2 კირკიტაძე (57), 1:2 ჯიქია (85)
გაფრთხილება: გ. მჭედლიშვილი (იბერია 2)
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ტორპედო 2 3:0 საირმე**
1:0 მეტონიძე (38), 2:0 ბობოხიძე (53), 3:0 გენებაშვილი (86)
გაფრთხილება: ჭუმბაძე (საირმე)
მსაჯი: ვ. ელოევი (ცხინვალი)

**სულორი 2:0 გაგრა**
1:0, 2:0 კორძაძე (5, 51)
გაფრთხილება: ბუხაიძე (სულორი), იობიძე (გაგრა)
მსაჯი: ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**ოკეანე 2:5 მარგვეთი**
0:1, 0:2, 0:3 მუმლაძე (17, 25, 35), 0:4 გაბრიჭიძე (37), 0:5 ქურციკიძე (60), 1:5 კაცაძე (65), 2:5 ხელაძე (68)
გაფრთხილება: გოგავა, ჯულაყიძე (ორივე ოკეანე), მუმლაძე (მარგვეთი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სამგურალი 2 6:2 მაღაროელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 10 | 9 | 1 | 0 | 2&8 | 28 |
| მარგვეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 34:14 | 26 |
| მეშახტე | 10 | 8 | 0 | 2 | 22:10 | 24 |
| სამგურალი 2 | 10 | 7 | 1 | 2 | 23:12 | 22 |
| ოკეანე | 11 | 6 | 1 | 4 | 12:15 | 19 |
| გაგრა | 10 | 7 | 0 | 3 | 19:10 | 18 |
| რიონი | 10 | 3 | 1 | 6 | 14:15 | 10 |
| ტორპედო 2 | 10 | 3 | 1 | 6 | 11:16 | 10 |
| რაჭა | 10 | 3 | 0 | 7 | 16:20 | 9 |
| ჩიხურა | 10 | 2 | 1 | 7 | 12:26 | 7 |
| საირმე | 10 | 2 | 1 | 7 | 4:18 | 4 |
| იბერია 2 | 11 | 1 | 1 | 9 | 10:26 | 4 |
| მაღაროელი | 10 | 1 | 2 | 7 | 15:30 | 2 |

*„გაგრას", „საირმეს" და „მაღაროელს" დაკლებული აქვთ 3-3 ქულა.*

### დასავლეთი, „ბ" ქვეჯგუფი

6 ნოემბერი

**ეგრისი 4:4 ენგური**
1:0 მიქავა (13), 2:0 იოსელიანი (37), 2:1 გუგუჩია (43), 2:2 შონია (52), 2:3 ჩიქობავა (68), 2:4 ვახანია (77), 3:4 ხევსურიანი (85), 4:4 იოსელიანი (88)
გაფრთხილება: თოდუა, მიქავა (ორივე ეგრისი), ციკოლია (ენგური)
გაძევება: მ. კვარაცხელია (64, ენგური)
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**შუქურა 3:1 სქური**
1:0 ჟიჟავაძე (26), 2:0 დ. ღლონტი (32), 3:0 ჟიჟავაძე (76), 3:1 ნაჭყებია (83)
გაფრთხილება: პ. გ. კვარაცხელია (სქური)
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

**კოლხეთი 2 1:0 ფაზისი**
1:0 ნადარაია (30)
გაფრთხილება: ბურჭულაძე, თედეევი (ორივე კოლხეთი 2), მაკალათია, ხურციძე (ორივე ფაზისი)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**სალხინო 0:2 მერცხალი**
0:1 გ. ტუღუში (11), 0:2 ზ. დოლიძე (90)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**კოლხეთი 4:0 ოდიში 2**
1:0, 2:0 კ. ხურცილავა (12, 41), 3:0 გოჩა კვარაცხელია (64), 4:0 ლევან გვაზავა (71)
გაფრთხილება: ზურაბ აიანადი (კოლხეთი), ჯოლია (ოდიში 2)
მსაჯი: ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

**კოლეჯი 1:0 ბახმარო**
1:0 დარჩიძე (77)
გაფრთხილება: ბერძენიშვილი, ლ. ბერაძე (ორივე ბახმარო)
მსაჯი: ს. შალამბერიძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 10 | 8 | 1 | 1 | 34:6 | 25 |
| სქური | 10 | 6 | 1 | 3 | 23:15 | 19 |
| მერცხალი | 10 | 6 | 1 | 3 | 19:12 | 19 |
| ენგური | 10 | 5 | 3 | 2 | 21:15 | 18 |
| კოლეჯი | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 17 |
| ფაზისი | 10 | 5 | 1 | 4 | 13:9 | 16 |
| შუქურა | 10 | 5 | 1 | 4 | 18:18 | 16 |
| ეგრისი | 10 | 3 | 4 | 1 | 16:19 | 13 |
| სამეგრელო | 10 | 3 | 3 | 4 | 14:13 | 12 |
| ბახმარო | 11 | 3 | 2 | 6 | 10:21 | 11 |
| ოდიში 2 | 10 | 2 | 4 | 4 | 12:16 | 10 |
| სალხინო | 10 | 2 | 0 | 8 | 14:33 | 6 |
| კოლხეთი 2 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:26 | 4 |

### ცენტრი

6 ნოემბერი

**დილა 2 2:4 მესხეთი**
0:1 ინასარიძე (5), 0:2 მარლანია (30), 1:2 შ. სიჭინავა (45), 2:2 ხახიშვილი (65), 2:3 ინასარიძე (67), 2:4 მერაბიშვილი (87)
გაფრთხილება: სუდაძე (მესხეთი)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

**ვარძია 0:4 ცხინვალი**
0:1 ნასუაშვილი (10), 0:2 ბოჭორაძე (30), 0:3 მარგიევი (38), 0:4 ტილკავაშვილი (65)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**დინამო 2 1:0 ქარელი**
1:0 გონჩაროვი (62)
გაფრთხილება: რუხაძე, ლ. ბურდული (ორივე დინამო 2), ელიკაშვილი (ქარელი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**განთიადი 2:2 ლოკომოტივი 2**
0:1 ძოძუაშვილი (26), 1:1 ჯალალი (35), 2:1 ფეიქრიშვილი (47), 2:2 ლ. ხურცილავა (85)
გაფრთხილება: შერმადინი, ხაჩირაშვილი (ორივე განთიადი), ტაბიძე, კაცია (ორივე ლოკომოტივი 2)
მსაჯი: შ. ბერიძე (ასპინძა)

**თორი 1:2 იბერია**
0:1 ბარათაშვილი (5), 1:1 ელისაშვილი (67), 1:2 კასრაძე (83)
გაფრთხილება: მ. ლომიძე (თორი)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**ჟინერი 3:3 ივერია**
1:0 ქეთელაური (21), 1:1 ყაჩლავაშვილი (39), 1:2 ბაბულაიძე (72), 2:2 ქეთელაური (80), 2:3 ფოფხაძე (83), 3:3 ბედუკაძე (89)
გაფრთხილება: ქეთელაური, ბედუკაძე (ორივე ჟინერი), ყაჩლავაშვილი, გურამ ლომიძე (ორივე ივერია)
გაძევება: ქეთელაური (85, ჟინერი)
მსაჯი: დ. თოდუა

**საუ 1:3 ცხუმი**
0:1, 0:2 კ. ოდიშარია (22, 42), 0:3 არეშიძე (49), 1:3 თალაკვაძე (82)
გაფრთხილება: შელეშოვი (ცხუმი)
გაძევება: ჩიტაური (42, საუ)
მსაჯი: ლ. მგელაძე (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 11 | 10 | 0 | 1 | 31:10 | 30 |
| ცხინვალი | 11 | 8 | 1 | 2 | 34:9 | 22 |
| ლოკომოტივი 2 | 11 | 7 | 1 | 3 | 25:15 | 22 |
| ქარელი | 11 | 7 | 1 | 3 | 21:9 | 22 |
| განთიადი | 11 | 6 | 3 | 2 | 20:15 | 21 |
| ივერია | 11 | 6 | 3 | 2 | 29:13 | 21 |
| ცხუმი | 11 | 5 | 1 | 5 | 24:17 | 16 |
| იბერია | 11 | 4 | 1 | 6 | 18:26 | 13 |
| მესხეთი | 11 | 4 | 1 | 6 | 20:26 | 13 |
| თორი | 11 | 4 | 1 | 6 | 16:19 | 13 |
| საუ | 11 | 3 | 3 | 5 | 17:19 | 12 |
| დილა 2 | 11 | 1 | 2 | 8 | 17:31 | 5 |
| ჟინერი | 11 | 1 | 2 | 8 | 15:51 | 5 |
| ვარძია | 11 | 0 | 2 | 9 | 8:35 | 2 |

*„ცხინვალს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### აღმოსავლეთი

6 ნოემბერი

**ალაზანი 0:3 უნივერსიტეტი იბერია**
0:1, 0:2 მეურმიშვილი (2, 7), 0:3 ძიძიკაშვილი (70)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**ალგეთი 1:2 ყვარელი**
0:1, 0:2 ლვინიაშვილი (6, 14), 1:2 მაქარაშვილი (65)
გაფრთხილება: ნაცვლიშვილი, მაქარაშვილი (ორივე ალგეთი), შ. მიქაბერიძე (ყვარელი)
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**ხალიბი 1:0 არსენალი 2**
1:0 სოხაძე (85)
გაფრთხილება: რაზმაძე, ჩოხელი (ორივე ხალიბი), გოგიჩაიშვილი, ვ. გაგუა (ორივე არსენალი 2)
გაძევება: ვ. გაგუა (84, არსენალი 2)
მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

**ლარწყალი 0:0 აკადემია**
გაფრთხილება: ტოკლიკიშვილი (ლარწყალი), დ. ბახტაძე, ე. გოგრიჭიანი, მ. ბურდული (ყველა აკადემია)
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**ქანაგკო 3:2 მრეტები**
1:0 ზ. გოგოჭური (35), 1:1 ჭაჭია (74), 2:1 მელიაშვილი (80), 2:2 ჩარკვიანი (82), 3:2 მელიაშვილი (89)
გაფრთხილება: მელიაშვილი, ზ. გოგოჭური, ე. გოგოჭური, გურგენიძე (ყველა ქანაგკო)
მსაჯი: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

**ჭაბუკიანი 1:0 კახეთი**
1:0 გ. მეტრეველი (60)
გაფრთხილება: ზ. კაპანაძე (ჭაბუკიანი), ამისულაშვილი (კახეთი)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

7 ნოემბერი

**ზოოვეტი 3:3 სამგორი**
0:1 მხეიძე (11), 1:1 დ. არჩვაძე (23), 2:1 მახარობლიშვილი (25), 2:2, 2:3 არქანია (40, 52), 3:3 დარჩიაშვილი (60)
მსაჯი: ა. ორდენიძე (ონი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 10 | 8 | 1 | 1 | 22:5 | 25 |
| ლარწყალი | 10 | 7 | 3 | 0 | 23:8 | 24 |
| ყვარელი | 9 | 7 | 2 | 0 | 20:5 | 23 |
| ხალიბი | 10 | 7 | 0 | 3 | 19:12 | 21 |
| არსენალი 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:8 | 20 |
| ზოოვეტი | 10 | 5 | 2 | 3 | 26:17 | 17 |
| ალგეთი | 11 | 5 | 0 | 6 | 17:17 | 15 |
| კახეთი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:15 | 15 |
| ჭაბუკიანი | 10 | 5 | 1 | 4 | 18:14 | 13 |
| დინამო 3 | 9 | 4 | 1 | 4 | 9:14 | 13 |
| უნივერსიტეტი იბერია | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 12 |
| სამგორი | 10 | 1 | 2 | 7 | 11:21 | 5 |
| ქანაგკო | 10 | 1 | 1 | 8 | 8:29 | 4 |
| მრეტები | 11 | 1 | 1 | 9 | 11:28 | 4 |
| ალაზანი | 11 | 1 | 0 | 10 | 10:35 | 3 |

*„ჭაბუკიანს" დაკლებული აქვს 3 ქულა.*

საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

# სტუმრები არა, უფრო მომხდურები...

ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტურში სტუმრები ძალგულოვნად ჩაუხტნენ მასპინძლებს და, შეიძლება ითქვას, სულ ბდღვირი ადინეს. მხოლოდ ქუთათურებმა და ბათუმელებმა დაიცვეს დამხვდურთა პრესტიჟი და თუმცა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგეს.

ერთადერთი ფრე და ძველებურად ნულოვანი, ისევ „ლოკომოტივმა" გააგორა. ეტყობათ რკინიგზელებს, „აქა დგანან და სხვაგვარად არ ძალუძთ". არც გააქვთ, არც ატანინებენ. არც იგებენ, არც აგებენ. თავის ჭიას ახარებენ, რა. ასეა თუ ისე, მახარაძე და კომპანია ძველებურად სამეულთან ახლოს ტრიალებენ და აგერ მეცამეტე მატჩია, ვერა ქართულმა გუნდმა ვერ მოახერხა მათი დამარცხება. „გორდა" კი ის გუნდია, „ავტორიტეტთა რისხვას" რომ დაუძახებდნენ ნეტარსახსოვარ საბჭოეთში. თითქმის ყველა ლიდერს ეთამაშნენ რუსთაველები და არც ერთ მათგანთან არ დამარცხებულან. ესეც ვაჟკაცობაა, განა არა?!

„ბათუმმა" შავი ზღვის დერბიში „კოლხეთი" დატოვა ქულის გარეშე. იგებდნენ კი კოლხები. ეს გვასალიამ ივარგა და გახსნა ანგარიში პირველი ტაიმის ბოლოსწინა წუთზე. მეორე ნახევრის ოცი წუთი კი უმალ ბათუმელთა უდავო უპირატესობით აღინიშნა. ორი გოლიც მაყოლეს ამას აჭარლებმა და გაიმარჯვეს კიდეც. შეხვედრის დასასრულს ერთხელაც გაიბრძოლეს კოლხებმა, საჯარიმოსაც მიაჯაჭვეს მასპინძლები, სახიფათო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ ვერ გაიტანეს.

აფსუს, ვიტ ჯორჯიელთ! ერთ დროს მეათე ეროვნულის ლიდერი ახლა ბოლოსწინა, მეთხუთმეტე ადგილზე იტკეპნება და აუტსაიდერმა „გურიამაც" ლამისაა ზედ ქუსლებზე დააბიჯოს. ამაზე იტყვიან, დრონი მეფობენო. არა გვგონია, ვეტერინართა ჩავარდნა დიდხანს გაგრძელდეს. გავა დრო, ტურებიც ჩატარდება და ვიტელებიც თავიანთი შემადგენლობისთვის და ამბიციისთვის საკადრის ადგილს დაუბრუნდებიან. თსუ-მ კი, ვგონებ, საბოლოოდ ამოისუნთქა. რა თქმა უნდა, სახიფათო ზონას ჯერაც ვერ მოშორებია გაბელიას ამქარი, მაგრამ მათი პროგრესი აშკარაა და სტუდენტები უცილოდ აინაცვლებენ ცხრილის შუაში.

მორიგი მარცხი განიცადეს ოდიშარებმა. ზუგდიდელებს ახლა უჭირთ, ისე „დინამოს" გამამწარებელ „ბრაგა" — „ბოავიშტებს" გაუჭირდეთ. ვერავინ იტყვის, როდემდე გაგრძელდება სოსო ჭედიას ხათრით და ავტორიტეტით ფეხბურთელების გასვლა მინდორზე, მაგრამ დრო მოვა და ესეც აღარ გაჭრის. დროა, „ოდიშის" გულშემატკივრებმა და მოყვარულებმა საქმეში ფული ჩარიონ, უფულოდ მათი საყვარელი გუნდის სატკივარს არაფერი ეშველება. აკი წააგო „ოდიშმა" შინ „არსენალთან". ეს ფაქტი ცნობილ იგავზე გვიარაკებს, აი, დიდი და პატარა კაცების შესახებ რომ მოგვითხრობს, იმას ვგულისხმობთ.

პირველი მატჩი მოიგო გასვლაზე „სიონმა". მათ „იბერიელები" იმსხვერპლეს სამტრედიაში. ეს შემთხვევა განსაკუთრებით უსიამო ხდება იმერლებისთვის, თუ არც იმას დავივიწყებთ, რომ ბოლნისელები მატჩის დღეს მიკროავტობუსით ეწვივნენ სამტრედიას და ისიც თქვეს, საწვავი ნასესხები ფულით ჩავასხითო. ასე რომ, მშიერ-მაძღარის სპარინგში ზოგჯერ თურმე პირველნიც იმარჯვებენ. საკუთარი ფეხბურთელების უნიათობით გადარეული გულშემატკივარი იმაზეც კი მიდიოდა, რომ მიკროავტობუსში ჩაჭუჭკულ ქართლელებს თავისი გუნდის („იბერიის") ავტობუსს სთავაზობდა, აქაოდა, ბურთს არ თამაშობენ და ავტობუსი რად უნდათო. ეს ისე, კულუარული ამბებიდან, ხოლო „იბერიას" თავს საავდრო ღრუბლები რომ იკრიბება, ამას უნდა შველა.

ქუთათურებმა ახალ პრეზიდენტს ჯიბეზე ხელის გაკვრა უქმად არ ჩაუტარეს და პირველი გამარჯვება უპატაკეს. „მერანი" აშკარად ვეღარ არის ძველებურად იშტაზე, საშუალო გუნდია და შედეგიც ისე რა, საშუალო გუნდისა აქვს. „ტორპედოს" რაც შეეხება, ამჯერად „მერანი" შეკაზმა და მომავალშიც არ ასცდება მისგან წყენა ბარე ორს. პური აჭამე ამ ბიჭებს, ცოტა ჯიბის ფულიც მიეცი და საქნელს რომ იზამენ, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს.

„დინამომ" მორიგი სამი ქულა მიითვალა. ეს კია, ძველებურად შთამბეჭდავად ვერ გაისარჯნენ მარადი ჩემპიონები. მხსნელად ლიდერებს ისევ მიხეილ აშვეთიას თავი მოევლინათ, ისევე როგორც წინა ტურში „ტორპედოსთან". გაიმარჯვეს თბილისელებმა და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობენ. დამარცხდნენ გურულები და ისევ ერთგულად ამაგრებენ ცხრილის ფსკერს. მათ შუა კი „დიდი მზღვარია", თოთხმეტსაფეხურიანი.

გაიოზ დარსაძე კარგი მწვრთნელია, „სამგურალი" კი მეტად საშუალო გუნდი. იმიტომაცაა გაიოზ დარსაძე კარგი მწვრთნელი, რომ ამ მეტად საშუალო გუნდით მეათე ეროვნულის ერთ-ერთი ლიდერი „დილა" დაამარცხა გასვლაზე. ისიც გავიგეთ, მინდვრის გარეთა ამბებიც მოჰყოლია ამ შეხვედრას, მაგრამ ეს სულაც არ ამცირებს იმერელთა მწვრთნელის ჭკვიანურ ტაქტიკას და სამგურალის" აქტიურ გარჯას. გაიმარჯვეს წყალტუბოელებმა და აქამდე მათთვის უჩვეულო მეათე ადგილსაც მოუსინჯეს კბილი.

ესეც ასე მეცამეტე ტურიც უკან დაგვრჩა. ეს რვა მატჩი არ იყო უხვგოლიანი, სულ თოთხმეტი ბურთი გაიტანეს მეტოქეებმა. ბომბარდირთა დავაში კი წივწივაძეს აშვეთია და იონანიძე წამოეწია და ახლა სამივეს ათ-ათი გოლი აქვთ გატანილი.

ზემოთ ცოტა გოლებზე დავიჩივლეთ, სამაგიეროდ, გაფრთხილებები „გაიკრეს" ფეხბურთელებმა ბლომად — ოცდასამი ყვითელი აუნთეს მსაჯებმა მობურთალებს. ვითომ უკომპრომისო ბრძოლების გამო?

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ლოკომოტივი" — „გორდა". ბალაშვილი (№2) და კახა ალადაშვილი

---

მცხეთა
6 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 0:1 თსუ

0:1 როსტიაშვილი (88)
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე (ღამბაშიძე 15), ა. ბოკერია 83), ჯ. მუჯირი, ი. კაპანაძე (ვ. ქუთათელაძე 46), აბაზაძე, ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი, მაზიაშვილი
*სათადარიგონი:* გუგუნავა, თ. ბოკერია, გ. გვაზავა, კვიციანი
თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე (ზამთარაძე 87), ვ. ღუდუშაური, კობიაშვილი, ნინუა (ებრალიძე 64), ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი (ბახტაძე 89), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ინწკირველი, ო. სულაძე, კ. სვანიძე
გაფრთხილება: კობიაშვილი (64), ქუთათელაძე (67)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ე. სილაგავა (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: კ. ყრუაშვილი

---

სამტრედია
7 ნოემბერი
14 საათი
ეროსი მანჯგალაძე
500 (ტევადობა 15 000)

### იბერია 1:2 სიონი

1:0 ჩომახიძე (16), 1:1 მ. სამხარაძე (38), 1:2 მ. გოგოლაძე (62პ)
იბერია: ჩაჩუა, გაბრიჭიძე (გეგეშიძე 64), გ. ლურსმანაშვილი, მესიაჩენკო, ი. გიგიაძე, ვარდიაშვილი (ხუჭუა 46), შ. ჩომახიძე, გ. ჭელიძე, გ. გიგიაძე, ლორთქიფანიძე (ამაშუკელი 46), ივეჩიანი
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე, მუმლაძე, სადილიანი, ფხაკაძე
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. გაგუა, მ. სამხარაძე (გ. ჯაფარიძე 88), ჩალაძე, მ. გოგოლაძე, მაზანაშვილი, სულთანოვი, მოსეშვილი (დ. სვანიძე 88)
*სათადარიგონი:* ზ. მეტრეველი, ქობელაშვილი, დ. ჯაფარიძე, დალაქიშვილი, ჯაგიდისი
გაფრთხილება: მოსეშვილი (39), კ. გოდერძიშვილი (80)
მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი), ლ. რაზმაძე (გორი), თ. თოდუა (მარტვილი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

---

ბათუმი
7 ნოემბერი
14 საათი
დინამო
1 500 (ტევადობა 18 000)

### ბათუმი 2:1 კოლხეთი

0:1 გვასალია (44), 1:1 გადელია (62), 1:2 მაჭუტაძე (68)
ბათუმი: მალაყმაძე, პაპიძე, აფხაზავა (ფუტკარაძე 69), სიჭინავა, კანტიძე (თორღაშვილი 46), გადელია, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტულუში, რუსია (მაქაცარია 88)
*სათადარიგონი:* ტოგონიძე, ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი, რომანაძე
კოლხეთი: ქვაჩახია, ქუტიძე, ტორჩინავა, ახვლედიანი, შალამბერიძე, ღალანიძე (გიორგობიანი 69), დ. ნოზაძე, კალანდაძე (შავგულიძე 86), გვასალია, გაბისონია, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, კრასოვსკი, ბაჩილავა
გაფრთხილება: გაბისონია (2), ღალანიძე (4), პაპიძე (22), შალამბერიძე (31), მაჭუტაძე (83), რუსია (89)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ს. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ჯ. ანთიძე

---

გორი
7 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:1 სამგურალი

0:1 მახვილაძე (67)
ფაიქიძემ ვერ გაიტანა პენალტი (76)
დილა: თ. ილურიძე, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია, გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, შატაკიშვილი, რ. ახალკაცი (მოსულიშვილი 58), თაყაძე, ბ. ჩიტაია
*სათადარიგონი:* მდივანი, ლ. გოჩაშვილი, აკოფიანი, დ. მაისურაძე
სამგურალი: ხაჩირაშვილი, დ. ჭელიძე, გ. თევზაძე, ლ. ქობულაძე, გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე (ლონლაძე 83), მახვილაძე, ძაგნიძე, დარსაძე (ფაიქიძე 61), თევდორაძე (ი. ხაჭაპურიძე 85), კ. ჯანაშია
*სათადარიგონი:* სტურუა, ჯავახაძე, უგულავა, ფრანგიშვილი
გაფრთხილება: ძაგნიძე (88)
მსაჯები: ს. კახიანი, ვ. ჩოჩიშვილი, ა. მეშკოვი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ვ. მელაშვილი

---

ზუგდიდი
7 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 7 500)

### ოდიში 1:2 არსენალი

0:1 ზირაქიშვილი (22), 1:1 ენდელაძე (52პ), 1:2 ხოსროშვილი (54)
ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია (თოლორაია 62), პ. ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ანჯაფარიძე, ჯაბუა, ტაბაღუა, კუტალია, მარკოზია, თოლორდავა, ენდელაძე
*სათადარიგონი:* გოგია, იოსავა, კ. კვეკვესკირი, ჯოჯუა, აკობია
არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა, დ. კაპანაძე, ვ. გველესიანი, გემეზაშვილი (ამირიძე 77), მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (ქიქავა 28), ლაცაბიძე, კორღალიძე, ხოსროშვილი (ყუფარაძე 88), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, გ. სულაძე, ლომიძე
გაფრთხილება: ქიქავა (30), გემეზაშვილი (44), ტარიელაშვილი (50), ჯაბუა (65)
მსაჯები: ა. შალამბერიძე, პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიაძე; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ს დელეგატი: ა. დურსუნიში

---

ქუთაისი
7 ნოემბერი
14 საათი
გივი კილაძე
4 000 (ტევადობა 23 800)

### ტორპედო 2:0 მერანი

1:0 კ. კვეტენაძე (42), 2:0 იონანიძე (51პ)
ტორპედო: ჭანტურია, ჩხაბერიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე (ქებაძე 80), ჩხეტიანი, თურმანიძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 46), იონანიძე (იმედაძე 80)
*სათადარიგო:* მამარდაშვილი
მერანი: ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი (ჯიშკარიანი 79), დავითნიძე, დანელია (ბაჯელიძე 75), გეწაძე, გელა ქორიძე, ხარებავა, გ. კვეტენაძე (მესხი 29), ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, ე. ალადაშვილი
გაფრთხილება: დავითნიძე (19), ჩხეტიანი (77)
მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

---

მცხეთა
7 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

### ლოკომოტივი 0:0 გორდა

ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, თარხნიშვილი, კოტორაშვილი, კ. მელქაძე, ნ. მინდიაშვილი (ხორგუაშვილი 67), კ. გოგოლაძე, დ. გოდერძიშვილი, გ. ღუდუშაური (დაუშვილი 46)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, გიორგი ქორიძე, არსოშვილი, მარლიშვილი, ქვარცხავა
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბურნაძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, გაბელაია, ლ. ალადაშვილი (ჩუხუა 46), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, ქოიავა, ჩოხელი, ზ. ლაბაძე, დ. მენთეშაშვილი, შ. კაპანაძე
გაფრთხილება: ბურნაძე (19), ჩუხუა (71), მჭედლიძე (77), ბალაშვილი (90)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ზ. დოლიძე, ა. ქარქაშაძე, გ. მგელაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: უ. ფურცელაძე

---

ლანჩხუთი
7 ნოემბერი
14 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
1 500 (ტევადობა 22 000)

### გურია 0:1 დინამო

0:1 აშვეთია (73)
გურია: გოგუა, ფაცურია, ზ. კვეკვესკირი, კუკულაძე, განევი, ლორია, თიბილაშვილი, დ. მახარაძე, გ. გიორგაძე, მელაძე, ბულუხია
*სათადარიგონი:* ვარდანიძე, პატარაია, ჩიკვილაძე
დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ზ. არჩვაძე, ჯელაძე, გუჩუა, ა. სახვაძე, კოკნაძე, კვარაცხელია, ცქიტიშვილი, დ. მუჯირი, აშვეთია
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ქემოკლიძე, გ. შენგელია, ი. მახარაძე, საჯაია, ბურდული
გაფრთხილება: დ. მახარაძე (39), კვარაცხელია (70), სახვაძე (80)
მსაჯები: თ. მაჭარაძე (ხონი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე; მ. ჯულაყიძე (ყველა სამტრედია)
სფფ-ს დელეგატი: მ. კობიაშვილი

---

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 | აშვეთია | დინამო |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | წივწივაძე | კოლხეთი |
| 8 | კაიდარაშვილი | დილა |
| | ხომერიკი | დინამო |
| 7 | მაჭუტაძე | ბათუმი |
| 6 | გვასალია | კოლხეთი |
| | ენდელაძე | ოდიში |
| | დ. მახარაძე | გურია |
| | მეგრელაძე | ტორპედო |
| | ტულუში | ბათუმი |
| | ფაიქიძე | სამგურალი |
| | ჩომახიძე | იბერია |
| | გ. შენგელია | დინამო |
| 5 | ვ. გიგიაძე | იბერია |
| | ზირაქიშვილი | არსენალი |
| | კაკაშვილი | არსენალი |
| | ცქიტიშვილი | დინამო |
| | დ. ჯანაშია | ტორპედო |

### სიმბოლური ნაკრები

პაატა მაჭუტაძე — ბათუმი
დავით ტარიელაშვილი — არსენალი
თემურ გადელია — ბათუმი
დავით ნოზაძე — კოლხეთი
კახა კვეტენაძე — ტორპედო
გია გიორგაძე — გურია
ირაკლი მაღლაკელიძე — ტორპედო
ამირან კედელაშვილი — გორდა
გელა ლურსმანაშვილი — იბერია
ზურაბ მენთეშაშვილი — ვიტ ჯორჯია
მამუკა ქორიძე — გორდა

გუნდი სამგურალი
მწვრთნელი გაიოზ დარსაძე სამგურალი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 12 | 9 | 3 | 0 | 37:7 | +30 | 30 | 6 | 5 | 1 | 0 | 27:6 | +21 | 16 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:1 | +9 | 14 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 13 | 9 | 2 | 2 | 31:13 | +18 | 29 | 6 | 5 | 1 | 0 | 20:5 | +15 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:8 | +3 | 13 |
| 3 კოლხეთი (3) | 3 | 12 | 7 | 2 | 3 | 29:16 | +13 | 23 | 7 | 6 | 1 | 0 | 22:5 | +17 | 19 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 4 |
| 4 ბათუმი (2) | 6 | 13 | 6 | 5 | 2 | 21:11 | +10 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | +10 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 9 |
| 5 ლოკომოტივი (6) | 4 | 13 | 5 | 8 | 0 | 15:5 | +10 | 23 | 6 | 2 | 4 | 0 | 5:1 | +4 | 10 | 7 | 3 | 4 | 0 | 10:4 | +6 | 13 |
| 6 დილა (9) | 5 | 13 | 6 | 3 | 4 | 18:14 | +4 | 21 | 6 | 4 | 0 | 2 | 9:4 | +5 | 12 | 7 | 2 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 9 |
| 7 იბერია (დ) | 7 | 13 | 5 | 1 | 7 | 23:28 | -5 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:8 | +5 | 10 | 7 | 2 | 0 | 5 | 10:20 | -10 | 6 |
| 8 არსენალი (დ) | 9 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:23 | -6 | 16 | 6 | 1 | 3 | 2 | 9:10 | -1 | 6 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:13 | -5 | 10 |
| 9 სიონი (13) | 13 | 13 | 4 | 2 | 7 | 15:28 | -13 | 14 | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | +2 | 11 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:19 | -15 | 3 |
| 10 სამგურალი (12) | 14 | 13 | 4 | 1 | 8 | 12:27 | -15 | 13 | 6 | 3 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 9 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:20 | -14 | 4 |
| 11 ოდიში (5) | 8 | 13 | 4 | 1 | 8 | 10:23 | -13 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 6 |
| 12 გორდა (11) | 11 | 13 | 2 | 7 | 4 | 7:8 | -1 | 13 | 7 | 2 | 4 | 1 | 5:3 | +2 | 10 | 6 | 0 | 3 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 13 მერანი (7) | 10 | 13 | 2 | 7 | 4 | 7:13 | -6 | 13 | 7 | 1 | 5 | 1 | 2:2 | 0 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 5 |
| 14 თსუ (8) | 16 | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | -6 | 12 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:13 | -5 | 4 | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 8 |
| 15 ვიტ ჯორჯია (10) | 12 | 13 | 4 | 2 | 7 | 13:15 | -2 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:9 | -1 | 6 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | -1 | 8 |
| 16 გურია (14) | 15 | 13 | 3 | 1 | 9 | 14:32 | -18 | 10 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 0 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:23 | -18 | 1 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფლორენციელი შეყვარებულები



სარბიელის არქივიდან

„ფიორენტინას" დირექტორი ლუჩანო ლუნა ჟურნალისტებს ფლორენციული გრძნობების შესახებ ელაპარაკება

ფრანკო ძეფირელის ხსენებაზე საშუალო ევროპელს „ტრავიატა", „ჰამლეტი", ახალი აღთქმის ექვსსაათიანი ეკრანიზაცია და სხვა ფილმები აგონდება, იტალიელს კი ყოველივე ეს და... ტურინის „იუვენტუსი". რატომ? იმიტომ, რომ ცნობილ იტალიელ კინორეჟისორს „ბებერი ქალბატონი" ეზიზღება. ხუმრობენ, ძეფირელის ფილმებზე რომ ეკითხებიან, „იუვენტუსის" აუგს პასუხობსო.

ბუნებრივია, მის ასეთ განწყობას თავისი მიზეზი აქვს და ამ მიზეზს „ფიორენტინა" ჰქვია. დიახ, მაესტრო ძეფირელი ფლორენციელია და „ფიორენტინას" თავგადაკლული ტიფოზი გახლავთ, რაც უკვე „იუვენტუსის" სიძულვილს ნიშნავს. აქაიქ რეჟისორს ისეთი რამეები უთქვამს, სასამართლოში მოსწევია თავის დაცვა.

რა არის ეს? ძეფირელის ხასიათი? არა, ეს „ფიორენტინას" ქომაგობისა და სიყვარულის ფორმა გახლავთ.

ვიტორიო ჩეკი გორი ფეხბურთის გულშემატკივართათვის იმითაა ცნობილი, რომ იგი ფლორენციული გუნდის პრეზიდენტია. კინოს მოყვარულები მას იცნობენ როგორც პროდიუსერს, ხოლო ტელევიზიის ტრფიალთათვის იგი მონტე კარლოს პოპულარული არხის მეპატრონე გახლავთ. იცით, ხანდახან როგორ იქცევა ეს სოლიდური ბიზნესმენი, როდესაც „ფიორენტინას" მოწინააღმდეგის კარში გოლი გააქვს? იგი პატივცემულ გვამთა ანუ ეგრეთწოდებული VIP-თა ლოჟის მოაჯირზე ძვრება და იქიდან მეტოქის ქომაგებს ჟესტებით უმასპინძლდება.

ორი წლის წინ ექსცენტრული პრეზიდენტის ქცევამ მასსა და „მილანის" ვიცე-პრეზიდენტს, ადრიანო გალიანის შორის საქმე მუჯლუგუნებამდე მიიყვანა. თუმცა ვიტორიო ჩეკი გორის ექსცენტრული ხასიათი რა შუაშია, ეს ხომ „ფიორენტინას" მხარდაჭერისა და სიყვარულის გამოხატვაა.

თუ დააკვირდით, ხსენებული ორი ადამიანი, მაღალ წრეს განეკუთვნება. მაშ, დაბალი ფენის ტიფოზები როგორღა ქომაგობენ ფლორენციის გუნდს? როგორ და...

1980-იანი წლების შუაში, რომიდან ფლორენციისკენ მიმავალ მატარებელს ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად „რომას" გულშემატკივრები მიჰყავდა. იმ მატარებელს ხანძარი გაუჩნდა.

1990 წლის ერთ დღეს ფლორენციის ქუჩები ნაფრონტალს დაემსგავსა. ალარაფერი იყო მთელი, ქალაქი ნამსხვრევ-ნამტვრევებში იძირებოდა. მიზეზი: „ფიორენტინას" ახალგაზრდა ვარსკვლავმა რობერტო ბაჯომ „იუვენტუსთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში დაფიქრდნენ, რამდენად უსაფრთხო იქნებოდა ეროვნული ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჩვეულ ადგილას, კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე მომზადება. ეს ბაზა ხომ ფლორენციასთან ყურისძირში გახლავთ.

მსოფლიოს ის ჩემპიონატი რომ ჩამთავრდა და იტალიის 1990-91 წლების პირველობა დაიწყო, კალენდარმა, ბუნებრივია, „იუვენტუსი" ფლორენციაში ჩაიყვანა. ტურინელებს ძველ გუნდთან დასაპირისპირებლად თან რობერტო ბაჯოც ახლდათ. მატჩმა მასპინძელთა კარში პენალტი მოიტანა და იგი ისტორიაში შევიდა, როგორც პენალტი, რომელიც ბაჯომ არ დაარტყა. წესით კი მას უნდა დაერტყა, რადგან პენალტისტი იყო.

იმ დღეს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო რობერტო ბაჯოს რომ შეესრულებინა, იტალიური კულტურის ყველაზე დიდი მუზეუმ-ქალაქი, რენესანსის კვალდასმული ფლორენცია, შეიძლებოდა მართლა ნანგრევებად ქცეულიყო.

1996 წელს დროებით მიძინებულმა ვულკანმა კვლავ ამოხეთქა. როდესაც „იუვენტუსის" ავტობუსი „არტემიო ფრანკის" სტადიონს მიუახლოვდა, გრიგალი ამოვარდა, ქვებისა და აგურების წვიმამ დასცხო. ტურინელთა მეკარე, ანჯელო პერუცი ძლივს გადაურჩა შოკს. მას ფანჯრის მინა ჩამოემსხვრა თავზე.

1997 წელს „არტემიო ფრანკის" ესპანური „ბარსელონა" სტუმრობდა. ეს გახლდათ თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალური შეხვედრა. მაშინ „ბარსაში" რონალდო თამაშობდა. მატჩი რომ გახურდა, ტრიბუნიდან მოედანზე ათასგვარმა ნივთმა მოადინა ზღართანი. ისროდნენ ბოთლებსაც. ერთი ბოთლი ესპანური გუნდის თავკაცს, ინგლისელ ბობი რობსონს მოხვდა.

უეფამ „არტემიო ფრანკის" ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

და აი, რვა დღის წინ, 3 ნოემბერს „ფიორენტინასა" და შვეიცარიული „გრასჰოპერის" შეხვედრა რომ დასრულებულიყო, ფლორენციის სტადიონი სასჯელს მოიხდიდა და მერვედფინალში ფრანგულ „ბორდოს" უმასპინძლებდა, მაგრამ ახლა „ბორდო" ციურიხში ითამაშებს, რადგან „ფიორენტინა" უეფას თასის გათამაშებიდან გააძევეს. გააძევეს არა ციურიხელმა ფეხბურთელებმა, არამედ უეფას სადისციპლინო კომიტეტის ჩინოსნებმა, რადგან იმ დღეს, „არტემიო ფრანკის" შემცვლელი სალერნოს სტადიონის ტრიბუნიდან ნასროლმა ცეცხლოვანმა ნივთმა თანამსაჯი დააშავა, ხოლო შეხვედრა ჩაშალა.

ამბობენ, თითქოს პოლიციამ დაადგინა, რომ ასაფეთქებელი საგანი ფლორენციელმა კი არა, სალერნოელმა გულშემატკივარმა ისროლა და მსაჯს კი არა, „ფიორენტინას" მოთამაშეებს ესროლა. „ფიორენტინამ" ხომ „სალერნიტანას", იტალიის პირველობაზე, 25 ოქტომბერს 4:0 მოუგო. ნუთუ ეს ფლორენციული სიყვარული კი არა, სალერნოული შურისძიება იყო?

**მიხეილ სურგულაძე**

# ბონჰოფი რაუშის ნაცვლად



REUTERS მიონხენგლადბახიდან

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" პრეზიდენტი ვილფრედ იაკობსი რაინერ ბონჰოფს შველას სთხოვს

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" გუშინ მწვრთნელი გამოეცვალა. გუნდში ფრიდელ რაუშის ნაცვლად რაინერ ბონჰოფი მივიდა. მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის — გლადბახელებმა ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში ისეთი სირცხვილი ჭამეს, მთელი არსებობის მანძილზე რომ არ უგემიათ. მეათე ტურში „ბორუსია" „ლევერკუზენს" მასპინძლობდა. ამ შეხვედრაში სტუმართა გამარჯვებას კი ბევრი ელოდა, მაგრამ „ლევერკუზენი" თუ 8:2 გაანადგურებდა მეტოქეს, ამას ვერავინ იფიქრებდა. ამ შაბათს გლადბახელები „ვოლფსბურგს" ეწვივნენ. გულშემატკივრები კლუბისგან სირცხვილის ჩამორეცხვას ითხოვდნენ, მაგრამ... მატჩის შემდეგ ვოლფსბურგში ჩასული ქომაგები გასახდელში შესვლას და მწვრთნელ ფრიდელ რაუშთან ანგარიშსწორებას ლამობდნენ. ბოლო ორ მატჩში 2:8 და 1:7 წაგება უკვე მეტისმეტი იყო. რაუშს ამას არავინ აპატიებდა. ასეც მოხდა. გუშინ კლუბის ხელმძღვანელების მიერ საგანგებოდ გამართულ კრებაზე პრეზიდენტმა ვილფრედ იაკობსმა რაუში გუნდიდან დაითხოვა.



სარბიელის არქივიდან

ფრიდელ რაუში

58 წლის სპეციალისტმა „ბორუსიას" მხოლოდ რვა თვე უხელმძღვანელა. იგი კლუბში 1 აპრილს მივიდა ნორბერტ მაიერის ნაცვლად იმ დროს გლადბახელებს ძალიან უჭირდათ და გუნდი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი იყო, მაგრამ რაუშმა შეძლო ძნელი ამოცანის წარმატებით გადაჭრა და „ბორუსიას" ლიგაში ადგილი შეუნარჩუნა, ხოლო კლუბის მესვეურებს მომავლის იმედი ჩაუსახა. თუმცა ახალი სეზონის დაწყებამ ეს იმედი ნელ-ნელა შეამცირა, ბოლოს კი სულ ჩააქრო. თერთმეტი ტურის შემდეგ გლადბახელებს 5 ქულით ბოლო ადგილი მყარად უკავიათ და წინსვლას ვინ ჩივის, იმაზე ზრუნავენ, როგორმე კატასტროფული ანგარიშებით მარცხს თავი დააღწიონ. რაინერ ბონჰოფიც ამიტომ მიიწვიეს და 2000 წლის ივნისამდე გაუფორმეს კონტრაქტი. ისე, ბონჰოფი 70-იან წლებში, როდესაც მიონხენგლადბახის „ბორუსია" ბრწყინავდა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო და მის შემადგენლობაში ორჯერ უეფას თასი, ხუთჯერ კი გერმანიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. 1974 წელს ბონჰოფი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ცოტა ხნის წინ კი ბერტი ფოგტსის ასისტენტად მუშაობდა.

რაც შეეხება თავად ფრიდელ რაუშს, იგი, ეტყობა, უგუნდოდ დიდხანს არ იქნება. მას უკვე შეხმიანებია მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ობერჰაუზენი". დათანხმდება თუ არა რაუში მათ, ეს უახლოეს მომავალში გამოჩნდება.

**ვანო ოქროპირიძე**

**ალბათ**, გახსოვთ, რომ ფიფას თავისი შედარებით ახალი ტურნირის, კონფედერაციათა თასის ჩატარება იანვრის დასაწყისში ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ შეჯიბრში ჩვეულებრივ თითოეული კონტინენტის ჩემპიონები ან ვიცე-ჩემპიონები მონაწილეობენ. ეს ტურნირი დღემდე მხოლოდ ორჯერ ჩატარებულა, 1993 და 1997 წლებში, ახლა კი ფიფას გადაუწყვეტია, იგი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გამართოს: მექსიკაში მიწვეულები იყვნენ — საფრანგეთი (ევროპის საუკეთესო გუნდი), ბრაზილია (წინა გათამაშების გამარჯვებული), ბოლივია (სამხრეთ ამერიკის ვიცე-ჩემპიონი), ეგვიპტე (აფრიკის ჩემპიონი), საუდის არაბეთი (აზიის ჩემპიონი), აშშ (ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის ჩემპიონი), ახალი ზელანდია (ოკეანიის ჩემპიონი) და მექსიკა (მასპინძელი). საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელოდა ბრაზილია — საფრანგეთის მომავალ დაპირისპირებას. ყველას აინტერესებდა, შეძლებდნენ თუ არა ბრაზილიელები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სამარცხვინო მარცხისთვის რევანშის აღებას. ამ დროს კი მსოფლიოს ჩემპიონებმა უარი შეუთვალეს ფიფას მექსიკაში ჩასვლაზე, გადატვირთული კალენდრის გამო.

გუშინ კი გაცხადდა, რომ კონფედერაციათა თასის გათამაშება ადრე დანიშნული 8 იანვრის ნაცვლად, ალბათ, ივლისის მეორე ნახევარში დაიწყება, რათა საფრანგეთის ნაკრებს მასში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცეს. საბოლოო გადაწყვეტილებას ფიფა დაახლოებით ერთ კვირაში მიიღებს, მაგრამ იოზეფ ბლატერმა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ კლოდ სიმონესგან უკვე გუშინ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსოფლიოს ჩემპიონები ზაფხულში თავისუფლები იქნებიან.

## გამეორდება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი?

საფრანგეთის (რომელიმაც მექსიკაში ჩასვლაზე უა[illegible] 23 ოქტომბერს თქვა ოფიციალურად) და ბრაზილიის (რომ[illegible]ესაც ექსპერიმენტული ნაკრების გაგზავნა ჰქონდა გადაწყვეტილი) გარეშე კონფედერაციათა თასს ინტერესი საკმაოდ დააკლდებოდა. „ეს შეჯიბრი საერთაშორისო კალენდარში უშნოდაა ჩასმული", — ამბობდა ფიფასადმი მიწერილ წერილში კლოდ სიმონე და იქვე ამატებდა, რომ ფრანგი ფეხბურთელების იანვარში გათავისუფლების წინააღმდეგნი მათი კლუბები იყვნენ, თვითნებურად გუნდების მიტოვებას კი დიდი გართულებები მოჰყვებოდა.

საბოლოოდ ფიფამ და მისმა ახალმა პრეზიდენტმა გადაწყვიტეს, რომ ევროპის უმდიდრესი იტალიური, ინგლისური, ესპანური და ფრანგული კლუბების წინაშე, რომლებსაც არ სურდათ ფრანგი და ბრაზილიელი ლეგიონერების გათავისუფლება, უკან დაეხიათ. მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია, ალბათ, ივლისში ნაღდად მოახერხებს უძლიერესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ეროვნული ნაკრებების მექსიკაში თავმოყრას და მაშინ ვნახავთ, 1998 წლის 12 ივლისს საფრანგეთმა ბრაზილია შემთხვევით დაამარცხა, თუ მართლაც მასზე გაცილებით ძლიერია.

**გაიოზ თალაკვაძე**

# ყველაფერი მათ წინააღმდეგ

ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციაში შფოთავენ. მიზეზი ევრო 2000-ის შესარჩევი შეხვედრა გახლავთ, 18 ნოემბერს ბელგრადში რომ უნდა გაიმართოს. უფრო კონკრეტულად, ირლანდიელთა შფოთვის საბაბს მათი ეროვნული გუნდის იუგოსლავიაში მოგზაურობასთან დაკავშირებული სირთულეები იძლევა.

საქმე ისაა, რომ მერვე შესარჩევი ჯგუფის ეს შეხვედრა თავდაპირველად შედგენილი კალენდრის თანახმად 10 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იუგოსლავიაში, ალბანელებით დასახლებულ ავტონომიურ ოლქ კოსოვოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო იგი 18 ნოემბრისთვის გადადეს. აი, მოახლოვდა 18 ნოემბრიც და როგორც ირკვევა, იუგოსლავიელები ირლანდიის დელეგაციას ვიზების თავიდან აღებასა და ბელგრადში შესვლისა და იქიდან გამოსვლისთვის დამატებითი ოცდაათ-ოცდაათი დოლარის გადახდას თხოვენ.

— მე დავუკავშირდი იუგოსლავიის საელჩოს ლონდონში, მაგრამ შედეგს ვერაფრით მივაღწიე. ისინი ამბობენ, რომ იუგოსლავიის საზღვრის გადასალახავად ახალი ვიზების აღებაა საჭირო — განაცხადა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პარტნიორმა მოგზაურობის საქმეში რუი ტრეისიმ, რომელიც ამ ამბავმა ისე შეაშინა, რომ მისი აზრით, ირლანდიელი ფეხბურთელები დღეს უფრო დიდი ხიფათის წინაშე დგანან, ვიდრე მაშინ, კოსოვოს თავზე ნატოს სამხედრო თვითმფრინავების გამოჩენა და ქვეყანაში არეულობა რომ იყო მოსალოდნელი.

ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი ბერნარდ ობრაინი ამბობს: — მათი საქციელი აბსოლუტურად მიუღებელი და არატოლერანტულია. მე ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროსაც ვთხოვე საქმეში ჩარევა. გარდა ამისა, დავუკავშირდი უეფას, რომელიც ვალდებულია იუგოსლავიელებს ირლანდიელი სტუმრების პატივისცემა მოთხოვოს. ყველაზე მეტად კი ის მაღელვებს, რომ 10 ოქტომბრისთვის აღებული ვიზები დღეს ძალადაკარგულად გამოგვიცხადეს, არადა დაგვპირდნენ, რომ ამ მხრივ პრობლემა არ შეგვექმნებოდა.

სანამ ჩინოვნიკები ნერვიულობენ, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ დაასახელა იმ 20 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც ახალი თუ ძველი ვიზებით ბელგრადს სათამაშოდ ჩავლენ. მაკარტის ოცეულშია ინგლისური პრემიერლიგის გუნდის „ჩარლტონ ატლეტიკის" ნახევარმცველი მარკ კინსელაც, მაგრამ როგორც ჩანს, მწვრთნელი მოთამაშეს კვირამდე ვერ იხილავს, არადა კვირა უკვე 15 ნოემბერია.

კინსელასთან დაკავშირებული სირთულე უცნაური და ხელოვნურია. წესითა და რიგით (წესი კი ფიფას დადგენილია) „ჩარლტონ ატლეტიკმა" ნახევარმცველი დროულად უნდა გაანთავისუფლოს, მაგრამ კლუბი ჯიუტობს, შაბათს პრემიერლიგის მორიგი ტურის თამაში მაქვს, კინსელას იქ დავსაქმავ და მერეღა გავუშვებო. „ჩარლტონს" შაბათს „მიდლსბროსთან" აქვს სათამაშო.

მაკარტიმ ამჯერად არ გამოიძახა ოთხი ისეთი მოთამაშე, ჩვეულებრივ რომ იძახებს ხოლმე. ერთი მათგანია „ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველი რობი კინი, რომელმაც ოქტომბერში, დუბლინში, მალტის ნაკრების კარში ხუთიდან ორი გოლი გაიტანა. არ არიან გამოძახებული „ტოტენჰემ ჰოტსპურის" მცველი სტივენ კარი, „დერბი ქაუნთის" მოთამაშე ლი კერსლი და „უიმბლდონის" წევრი მარკ კენედიც.

მაკარტის ახალწვეული გახლავთ „ბრედფორდის" ნახევარმცველი გარეთ უელი.

დავუბრუნდეთ „ჩარლტონ ატლეტიკს", რომელიც განა მხოლოდ ირლანდიელებს უკავებს მოთამაშეს, იგი იუგოსლაველ გოლკიპერს საშა ილიჩსაც არ ათავისუფლებს მატჩამდე კანონით დადგენილი ხუთი დღით ადრე.

— ჩვენ ვაცნობეთ ირლანდიისა და იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციებს, რომ მათ ფეხბურთელებს, მარკ კინსელასა და საშა ილიჩს 14 ნოემბრის საღამომდე ანუ ჩვენი და „მიდლსბროს" შეხვედრის დამთავრებამდე არ გავათავისუფლებთ, რადგან შესაბამისი თხოვნა არც ერთისგან მიგვიღია და არც მეორისგან. ვინაიდან საქმე კანონების ზედმიწევნით დაცვაზე მიდგა, მათ ჩვენ უფრო ზუსტად დავიცავთ — განაცხადა ამასთან დაკავშირებით „ჩარლტონ ატლეტიკის" დირექტორმა პიტერ ვერნიმ.

საინტერესოა, რომ გასულ კვირას „ჩარლტონის" ხელმძღვანელებმა პრემიერლიგის შეფებს „მიდლსბროსთან" შეხვედრის გადადება სთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს.

ირლანდიის ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა სია კი ასეთია: შეი გივენი (ნიუკასლი), დინ კილი (ბერი), დენის ირვინი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯეფ კენა (ბლექბერნ როვერსი), სტივ სტონტონი (ლივერპული), იან ჰარტი (ლიდს იუნაიტედი), კენ კანინჰემი (უიმბლდონი), ფილ ბები (ლივერპული), გერი ბრინი (ქოვენტრი), როი კინი (მანჩესტერ იუნაიტედი), მარკ კინსელა (ჩარლტონ ატლეტიკი), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი), ჯეისონ მაკატირი (ლივერპული), დამიენ დაფი (ბლექბერნ როვერსი), გარეთ უელი (ბრედფორდი), ტონი კასკარინო (ნანსი), ნილ ქუინი (სანდერლენდი), რორი დილაპი (დერბი ქაუნთი), დევიდ კონოლი (ვულვერჰემპტონი), კით ონილი (ნორვიჩი).

**ბაბუნა ბედია**

# ლორენსო და ხესუს ქველები



ხესუს ხილი ხილი

სარბიელის არქივიდან

კარგია, როცა ადამიანს ფული აქვს, მაგრამ უკეთესია, თუ იგი სიკეთის მთესველია — ორი მადრიდული კლუბის „რეალის" და „ატლეტიკოს" პრეზიდენტებმა ლორენსო სანსმა და ხესუს ხილი ხილმა გადაწყვიტეს, კლუბები დეკემბრის შუა რიცხვებში გააჯიბრონ და ამით ქველი საქმე გააკეთონ. პრეზიდენტებმა საქველმოქმედო მატჩიდან შემოსული თანხა მთლიანად ქარიშხალ „მიჩის" გამო დაზარალებულ ნიკარაგუელ და ჰონდურასელ ხალხს უნდა გადაურიცხონ. სტიქიამ ცენტრალური ამერიკის ამ ორ ქვეყანაში არნახული ნგრევა გამოიწვია, 11 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, საერთო ზარალი კი დაახლოებით სამ მილიარდ დოლარამდეა.

— ჩვენ არ.შეგვიძლია გულხელდაკრეფილებმა ვუცქიროთ ადამიანთა გაჭირვებას. მადლობა ღმერთს, ესპანეთში ასეთი რამ არ მომხდარა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სხვათა ვარამით არ დავინტერესდეთ. ყველა ესპანელის ვალია, გაჭირვებულ ადამიანს დაეხმაროს. ჩვენ ვეცდებით, ნიკარაგუელ და ჰონდურასელ ხალხს დახმარების ხელი გავუწოდოთ — განაცხადა „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა.



ლორენსო სანსი

სარბიელის არქივიდან

— საშინელებაა სტიქია. ადამიანი წამებში კარგავს ყველაფერს, რასაც წლობით აშენებდა. გაჭირვებულის უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლება. ვეცდებით, დავეხმაროთ მათ — ხესუს ხილიც თანაუგრძნობს სტიქიის მსხვერპლთ.

თავდაპირველად იყო ასეთი იდეა, რომ საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელები პრიმერა დივიზიონში მოთამაშე ოკეანისგალმელთა ნაკრებს შეხვედროდა. ამ მატჩში მონაწილეობის სურვილი დიეგო მარადონამაც გამოთქვა, მაგრამ მოგვიანებით ეს იდეა რატომღაც უარყვეს. საბოლოოდ მადრიდელი გიგანტები ამხანაგურ შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

მატჩი სავარაუდოდ 15-17 დეკემბერს გაიმართება.

**ირაკლი ილაშვილი**

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი
### XVIII ტური

**სტოკპორტი 4:2 პორტ ვეილი**

1:0, 2:0 ეინჯელი (20, 41), 2:1 ბიდლი (43), 2:2 ფლინი (56 ს.კ.), 3:2 ეინჯელი (87), 4:2 გრანტი (90)

**ბარნსლი 1:1 ბერი**

1:0 უორდი (16), 1:1 ჯაფო (52)

**ბრისტოლი 1:6 ვულვზი**

1:0 ჰაჩინგსი (12), 1:1 ვიტინგჰემი (19), 1:2, 1:3, 1:4, 1:5 კონოლი (22, 57, 67, 77), 1:6 რობინსონი (79)

**ქრიუ 0:2 სვინდონი**

0:1, 0:2 ონუორა (19, 90)

**კრისტალ პალასი 4:1 პორტსმუთი**

1:0 მური (6), 1:1 ალოიზი (42), 2:1 ტომსონი (57 ს.კ.), 3:1 მულინსი (64), 4:1 ფოსტერი (81)

**ჰადერსფილდი 2:2 იფსვიჩი**

0:1 ვენუსი (25), 1:1 ედვარდსი (65), 2:1 ალისონი (74), 2:2 ჯონსონი (89)

**ნორვიჩი 2:2 ბრედფორდი**

0:1 რენკინი (19), 1:1 ობრიენი (77 ს.კ.), 1:2 მილსი (88), 2:2 ადამსი (903)

**ქუინზ პარკი 2:0 ბოლტონი**

1:0 გალენი (4), 2:0 შერონი (60)

**შეფილდი 2:2 ტრანმერი**

0:1 ჯონსი (26), 1:1 საუნდერსი (45), 2:1 ბორბოკისი (61), 2:2 ჰილი (72)

**სანდერლენდი 3:1 გრიმსბი**

1:0, 2:0 სმიტი (65, 69), 2:1 გროუვსი (70), 3:1 ქვინი (81)

**უოტფორდი 2:0 ოქსფორდი**

1:0 პალმერი (25), 2:0 ნოელ-უილიამსი (77)

**ვესტ ბრომვიჩი 1:3 ბირმინგემი**

0:1 ნდლოვუ (5), 0:2 ადებოლა (12), 0:3 ნდლოვუ (34), 1:3 კარბონი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 17 | 10 | 7 | 0 | 40:12 | 37 |
| იფსვიჩი | 17 | 9 | 5 | 3 | 25:10 | 32 |
| ბირმინგემი | 18 | 9 | 5 | 4 | 25:16 | 32 |
| უოტფორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 30:26 | 31 |
| ჰადერსფილდი | 18 | 8 | 5 | 5 | 25:25 | 29 |
| შეფილდი | 17 | 7 | 6 | 4 | 27:25 | 27 |
| ბრედფორდი | 16 | 7 | 4 | 5 | 30:20 | 25 |
| ვულვზი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:17 | 25 |
| ნორვიჩი | 15 | 7 | 4 | 4 | 25:20 | 25 |
| გრიმსბი | 17 | 7 | 4 | 6 | 22:20 | 25 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 7 | 3 | 7 | 33:32 | 24 |
| ბოლტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 31:27 | 24 |
| კრ. პალასი | 15 | 7 | 2 | 6 | 26:25 | 23 |
| სტოკპორტი | 17 | 4 | 9 | 4 | 22:23 | 21 |
| პორტ ვეილი | 18 | 6 | 3 | 9 | 21:34 | 21 |
| ბერი | 18 | 5 | 6 | 7 | 13:17 | 21 |
| სვინდონი | 18 | 5 | 5 | 8 | 27:30 | 20 |
| ბარნსლი | 18 | 4 | 8 | 6 | 22:26 | 20 |
| ტრანმერი | 16 | 4 | 8 | 4 | 21:23 | 20 |
| პორტსმუთი | 17 | 4 | 5 | 8 | 25:29 | 17 |
| ბრისტოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 26:42 | 15 |
| ქუინზ პარკი | 17 | 4 | 3 | 10 | 15:27 | 15 |
| ოქსფორდი | 18 | 3 | 5 | 10 | 19:33 | 14 |
| ქრიუ | 17 | 2 | 5 | 10 | 19:35 | 11 |

## შვედეთი

26-ე ტური. ერებრუ — ჰამარბიუ 0:1, მალმიო — ფროლუნდა 0:0, გიოტებორგი — ესტერი 1:1, ელფსბორგი — ნორჩეპინგი 1:1, ჰაკენი — ჰელსინგბორგი 2:1, აიკი — ორგრიტე 1:0, ჰალმშტადი — ტრელებორგი 3:0.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკი | 26 | 11 | 13 | 2 | 25:15 | 46 |
| ჰელსინგბორგი | 26 | 12 | 8 | 6 | 43:28 | 44 |
| ჰამარბიუ | 26 | 11 | 9 | 6 | 39:34 | 42 |
| ჰალმშტადი | 26 | 12 | 5 | 9 | 42:40 | 41 |
| ფროლუნდა | 26 | 10 | 8 | 8 | 29:31 | 38 |
| ერებრუ | 26 | 10 | 6 | 10 | 35:38 | 36 |
| ნორჩეპინგი | 26 | 9 | 8 | 9 | 43:35 | 35 |
| გიოტებორგი | 26 | 9 | 8 | 9 | 27:29 | 35 |
| მალმიო | 26 | 9 | 6 | 11 | 35:30 | 33 |
| ელფსბორგი | 26 | 8 | 9 | 9 | 36:33 | 33 |
| ტრელებორგი | 26 | 8 | 8 | 10 | 31:35 | 32 |
| ორგრიტე | 26 | 7 | 7 | 12 | 35:36 | 28 |
| ჰაკენი | 26 | 7 | 6 | 13 | 27:46 | 27 |
| ესტერი | 26 | 5 | 7 | 14 | 26:43 | 22 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სტავრუმი (ჰელსინგბორგი) | 18 |
| ბერგრენი (ჰამარბიუ) | 13 |
| მატიასონი (ელფსბორგი) | 12 |
| ლილიენბერგი (ჰალმშტადი) | 11 |

## საბერძნეთი

მე-9 ტური. ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 2:0, პანიონისი — ოფი — მატჩი დაწყებიდან 28 წუთში შეწყდა ელექტროენერგიის გამორთვის გამო. ეთნიკოსი — პანათინაიკოსი 0:0, პაოკ — აეკი 2:1, პანილიაკოსი — ვერია 0:0, ირაკლისი — კავალა 2:2, პრუდეფტიკი — პანელეფსინიაკოსი 0:1, ქსანტი — არისი 2:0, ასტირი — აპოლონი 5:1,

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 9 | 7 | 1 | 1 | 19:9 | 22 |
| აეკი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 20 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 6 | 1 | 1 | 23:5 | 19 |
| ქსანტი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:7 | 19 |
| პანილიაკოსი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:10 | 16 |
| პაოკ | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 14 |
| არისი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:11 | 14 |
| იონიკოსი | 9 | 4 | 1 | 4 | 17:13 | 13 |
| ირაკლისი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:10 | 12 |
| კავალა | 9 | 3 | 2 | 4 | 18:23 | 11 |
| პანიონისი | 8 | 3 | 1 | 4 | 18:14 | 10 |
| ოფი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:10 | 10 |
| პანელეფსინ. | 9 | 2 | 4 | 3 | 6:10 | 10 |
| ასტირი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:17 | 10 |
| აპოლონი | 9 | 1 | 3 | 5 | 12:24 | 6 |
| პრუდეფტიკი | 9 | 1 | 3 | 5 | 9:16 | 6 |
| ვერია | 9 | 0 | 4 | 5 | 1:12 | 4 |
| ეთნიკოსი | 9 | 0 | 3 | 6 | 2:18 | 3 |

**დანიის** ნაკრების და ქვეყნის უძლიერესი კლუბის „კოპენჰაგენის" ნახევარმცველი ბიარნე გოლდბეკი ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ჩელსიში" გადავიდა. ტრანსფერში მონაწილე მხარეებს დეტალები არ დაუზუსტებიათ, თუმცა ინგლისურ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ლონდონელებმა გოლდბეკში დაახლოებით 1,5 მილიონ გირვანქა გადაიხადეს. სხვათა შორის, გოლდბეკი სწორედ ის ფეხბურთელია, თასების თასის მერვედფინალის პირველ მატჩში, „სტემფორდ ბრიჯზე" ედ დე გუის კარი რომ დალაშქრა. მხარეებს არც ის განუცხადებიათ, დანიელმა ფეხბურთელმა რამდენწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**არგენტინაში აპერტურას ჩემპიონატი მთავრდება. ფინიშამდე ხუთი ტურიღა დარჩა. ბოლო, მე-14 ტურში ასეთი შედეგები დაფიქსირდა: ინდეპენდიენტე — უნიონი 0:1,ველეს სარსფილდი — ბელგრანო 1:2, სან ლორენსო — ბოკა ხუნიორსი 1:3, ესტუდიანტესი — ხიმნასია ლა პლატა 2:2, როსარიო სენტრალი — ფეროკარილი 0:0, პლატენსე — რასინგი 2:2, კოლონი — ნიუელს ოლდ ბოისი 2:1, არგენტინოს ხუნიორსი — ლანუსი 0:1, რივერ პლეიტი — ურაკანი 3:4. ჯერჯერობით პირველ ადგილზეა „ბოკა ხუნიორსი" (34 ქულა), მეორეზე „ხიმნასია ლა პლატა" (28), მესამეზე კი „რასინგი" (23). შეგახსენებთ, რომ აპერტურა პირველია იმ ორი ჩემპიონატიდან, არგენტინაში ერთი სეზონის მანძილზე რომ იმართება.**

**კვიპროსის** ჩემპიონატის მერვე ტური: აპოელი — ანორთოსისი 4:3, ენოსისი — ომონია 1:1, აეკ — დოხა 7:0, არისი — ევა გორასი 2:4, ოლიმპიაკოსი — ეთნიკოსი 1:1, აელ — ალკი 2:2, ნეა სალამინა — აპოლონი 2:2, პირველობას ფამაგუსტას „ანორთოსისი" ლიდერობს 19 ქულით, მეორე-მესამე ადგილებზე კი ორი ნიქოზიური კლუბია — ასევე 19 ქულიანი „აპოელი" და 17 ქულიანი „ომონია". ეს უკანასკნელი, მეოთხე ადგილზე მყოფ ლიმასოლის აელ-ს ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით უსწრებს.

**ინგლისის თასის ცხრაგზის მფლობელის „ტოტენჰემის" ახალმა მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა პირველი მოთამაშე შეიძინა — პირველი დივიზიონის კლუბ „იფსვიჩ თაუნიდან" ლონდონელებმა არგენტინელი მცველი მაურისიო ტარიკო გადაიბირეს. „ტოტენჰემის" მენეჯერის დევიდ პლატის განცხადებით, „ტოტენჰემმა" ოკეანისგაღმელი ფეხბურთელის სანაცვლოდ „იფსვიჩ თაუნს" 2,9 მილიონი დოლარი გადაუხადა. მაურისიო ტარიკო, რომელიც დაცვაში ყველა პოზიციაზე თამაშობს, ინგლისში 1994 წელს გადაბარგდა „არგენტინოს ხუნიორსიდან". ამჟამად ფეხბურთელს კოჭის ტრავმა აწუხებს.**

**ბულგარეთის** ჩემპიონატის მე-11 ტური: მინიორი — სპარტაკი 5:0, ბოტევი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 0:0, შუმენი — მეტალურგი 1:0, პირინი — ლევსკი (კუისტენდილი) 0:1, ლოკომოტივი (სოფია) — სეპტემერი 0:0, ცსკა — სლავია 1:1, ლიტექსი — ლევსკი (სოფია) 1:1, ნეფტოხიმიკი — დობრუჯა 2:0. გათამაშებას 24-24 ქულით „ლიტექსი" და დედაქალაქის „ლევსკი" ლიდერობენ, თუმცა სოფიელები ბურთების ცუდი შეფარდების გამო მეორე საფეხურზე არიან. მესამე-მეოთხე ადგილებს 22-22 ქულით „ნეფტოხიმიკი" და კუისტენდილის „ლევსკი" იყოფენ. აქაც გატანილი და გაშვებული გოლების ფაქტორი ფიგურირებს — „ლევსკი" მეოთხეა.

**რუმინეთის ჩემპიონატის მეცამეტე ტური: სტიაუა — დინამო 1:1, რაპიდი — ნაციონალი 5:0, არჯეში — ასტრა 1:2, უნივერსიტატეა (კლუჟი — უნივერსიტატეა (კრაიოვა) 1:2, რესიტა — ფორესტა 1:1, ონესტი — ოლიმპია 1:0, პეტროლული — ოცელული 2:0, ჩაჰლაული — ფარული 2:0, ბაკეუ — გლორია 3:1. ლიდერობს ბუქარესტის „რაპიდი" — 34 ქულა. მეორეზე ასევე დედაქალაქის „დინამოა" 32 ქულით, მესამეზე კი — 25 ქულიანი „ბაკეუ".**

**ფრანგი** მეკარე ლიონელ შარბონიე, რომელიც შოტლანდიის ყველაზე

## ფეხბურთის რუკასთან



ტიტულოვანი კლუბის „გლაზგო რეინჯერსის" ღირსებას იცავს, რვა თვით დაემშვიდობა ფეხბურთს, მსოფლიოს ჩემპიონი შარბონიე გლაზგოში წლეულს გადაბარგდა „ოსერიდან" ორ მილიონ დოლარად. მეკარე უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო შეხვედრისას ლევერკუზენელებთან თამაშში დაშავდა. კლუბის ექიმების დასკვნით, შარბონიეს ტრავმა გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს, აღდგენის პერიოდი კი დაახლოებით რვა თვე გასტანს.

**ჩეხეთის ჩემპიონატის მე-12 ტური: დრნოვიცე — ჩმელი 2:0, ჰრადეც კრალოვე — ბობი 2:0, კარვინა — დუკლა 2:0, ოპავა — ტეპლიცე 3:3, სიგმა — იაბლონეცი 3:1, სლოვანი — სლავია 1:1, ვიქტორია — ბანიკი 1:1. ჩემპიონატის ლიდერი „ტეპლიცე" გახლავთ 24 ქულით. მეორეა ოლომოუცის „სიგმა" — 23 ქულა, მესამე კი „დრნოვიცე" — 22.**

**უნგრეთის** პირველობის მეთოთხმეტე ტური: უიპეშტი — ჰალადაში 2:0, BVSC - MTK 0:2, დებრეცენი — კერულეტი 0:0, ვიდეოტონი — დიოშდიორი 2:3, ფერენცვაროში — სპარტაკუსი 2:1, ზალაეგერშეგი — ვაშაში 1:0, დიორ ეტო — ჰონვედი 2:2, შიოფოკი — გასცერი 2:2, ვაცი — დუნაფერი 1:0. ჩემპიონატს 35 ქულით ბუდაპეშტის MTK ლიდერობს. მეორე ადგილზეა „დიოშდიორი" 30 ქულით. ერთი ქულით ნაკლები აქვს მესამეზე მყოფ „დიორ ეტოს".

**ბრაზილიის ნაკრების ყოფილო ფეხბურთელი დონატო გამა და სილვა ესპანურ ფეხბურთში ერთ-ერთი რეკორდის ავტორი შეიქნა — ლა კორუნიელთა ლეგიონერმა ბოლო ტურში, მადრიდის „ატლეტიკოსთან" ფრედ 1:1 დასრულებულ შეხვედრაში მხოლოდ ათი წუთი ითამაშა, ეს კი სავსებით საკმარისი გამოდგა, რათა მას პრიმერა დივიზიონში 347-ჯერ ნათამაშევი მექსიკელ უგო სანჩესისთვის გაესწრო. ამრიგად, დონატო გამა და სილვას ესპანეთის უმაღლეს ლიგაში 348 თამაში დაუგროვდა, ამდენი შეხვედრა კი პრიმერა დივიზიონში არც ერთ ლეგიონერს არ უთამაშია. 35 წლის ნახევარმცველი ესპანეთში 1988-89 წლების სეზონში გადაბარგდა. ჯერ მადრიდის „ატლეტიკოში" თამაშობდა, მოგვიანებით კი ლა კორუნიის „დეპორტივოში".**

**ხორვატიის** ჩემპიონატის მეთორმეტე ტური: ჰაიდუკი — დრაგოვილიაცი 2:0, რიეკა — ციბალია 2:0, სიბენიკი — კროაცია 1:2, ოსიეკი — ზადარკომერცი 2:0, ვარტექსი — სლავენი 3:2, ზაგრები — მლადოსტი 2:1. ჩემპიონატს 11 თამაშიდან 29 ქულით ჩემპიონთა ლიგის მონაწილე „კროაცია" ლიდერობს. სპლიტის „ჰაიდუკი" 12 თამაშიდან 25 ქულით მეორეა. მესამე კი „ოსიეკია" 23 ქულით.

**იუგოსლავიის ჩემპიონატის მე-13 ტური: პარტიზანი — ბუდუჩნოსტი 1:0, ჰაიდუკი — პროლეტარი 2:0, მილიციონარი — რადი 5:0, ობილიჩი — ზემუნი 6:3, ოფკ — ვოივოდინა 0:0, რადნიჩკი (ნიში) — სარტიდი 0:0, პრისონა — ცრვენა ზვეზდა 0:1, ზელენიკი — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 2:0, სპარტაკი — მოგრენი 3:1. გათამაშებას ერთპროცენტულად, ქულადაუკარგავად ლიდერობს ბელგრადის „პარტიზანი". მათ 13 მატჩიდან ყველა მოიგეს. ლიდერს ექვსი ქულით ჩამორჩება „ობილიჩი", ხოლო მესამეა „ცრვენა ზვეზდა" — 27 ქულა.**

**იტალიის** „რომამ" განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოდან" ახალგაზრდა თავდამსხმელი ირანილდო შეიძინოს, თუმცა ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტ კლებერ ლეიტეს განცხადებით, ფორვარდს უახლოეს ხანებში არავითარ შემთხვევაში არ გაყიდიან. შეგახსენებთ, რომ „რომაში" უკვე თამაშობს ირანილდოს ოთხი თანამემამულე — პაულო სერჟიო, ალდაირი, ანტონიო კარლოს ზაგო და კაფუ. „ვიცი, რომ „რომას" ჩემი შეძენა სურს, თუმცა მოვლენები როგორ განვითარდება, ვერ ვიტყვი" — განაცხადა 22 წლის ირანილდომ.

**სლოვაკეთის პირველობის მეცამეტე ტური: დუკლა (ბანსკა ბისტრიცა) — ნიტრა 1:0, ჟილინა — სობოტა 1:0, დუკლა (ტრენჩინი) — სლოვანი 1:0, კოშიცე — კარამეტალი 3:1, ბარდეხოვი — არტმედია 3:0, ინტერი — რუჟომბეროკი 2:0, ბანიკი — ტატრანი 1:1, სპარტაკი — ზელინა 3:1. ჩემპიონატის ლიდერია ტრნავის „სპარტაკი". მას 34 ქულა აქვს, მეორე ადგილზეა ბრატისლავის „სლოვანი" — 30 ქულა, მესამე კი ასევე ბრატისლავის კლუბი „ინტერია" — 29 ქულა.**

**იტალიური** „რომას" პრეზიდენტი, ფრანჩესკო სანსი ორშაბათს საფრანგეთის საკურორტო ქალაქ ნიცას ესტუმრა. ოღონდ იტალიელს დასვენება აზრადაც არ მოსვლია. იგი მეზობელ ქვეყანაში საქმეების გამო ჩავიდა — ნიცას მერ ჟაკ პიერასთან შეხვედრაზე სანსიმ ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბის შესყიდვის სურვილი გამოთქვა. ალბათ, გახსოვთ, „ნიცამ" ორი წლის წინ საფრანგეთის თასი აიღო, მაგრამ იმავე წელს იგი პირველი დივიზიონიდან მეორეში ჩამოქვეითდა, სადაც ამჟამად ბოლო ადგილზე იმყოფება. პიერას და სანსის შეხვედრას „ნიცას" არც ერთი ხელმძღვანელი არ დაესწრო. „რომას" პრეზიდენტმა ლაჟვარდოვანი ნაპირის კლუბის ბავშვთა სკოლა და საწვრთნელი ბაზა დაათვალიერა, რის შემდეგაც ჟურნალისტებს განუცხადა: „წარსულში „ნანტის" ყიდვა გვინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ნიცაზე, როგორც დიდ და იტალიური ქალაქების მსგავს დასახლებაზე მეგობრები ბევრს მესაუბრნენ. გარიგება, ალბათ, კლუბის პრეზიდენტ მანდარიჩთან შეხვედრის შემდეგ შედგება". მილან მანდარიჩი, რომელიც იუგოსლავიური წარმოშობის ამერიკელია, საფრანგეთში კვირის ბოლოს დაბრუნდება შტატებიდან. მის არყოფნაში კი „ნიცას" სპორტულმა დირექტორმა როჟე რიკორმა განაცხადა, რომ გუნდის სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველა ღონეს იხმარენ, დასაწყისისთვის კი შვეიცარიული „სიონიდან" ფრანგი დიდიე ტოლოს სამშობლოში დაბრუნება განუზრახავთ.

**გერმანიის პირველი ბუნდესლიგის მეათე ტურის შეხვედრა დორტმუნდის „ბორუსიასა" და „ჰამბურგს" შორის 24 ნოემბერს გაიმართება — დაადგინა ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა. ეს მატჩი 31 ოქტომბრისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ ძლიერი წვიმის გამო გადაიდო. გერმანიის უპირველესმა საფეხბურთო ორგანიზაციამ უცნობი მიზეზის გამო კიდევ ორი მატჩი გადაიტანა. კერძოდ, მიონხენგლადბახის „ბორუსიასა" და მიუნხენის „ბაიერნის" შეხვედრა გუშინ, 10 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ 16 დეკემბერს შედგება. ხოლო როდის გაიმართება „შალკე — „ვერდერის" მატჩი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.**

**ბელარუსის** საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს ნაკრების და კიევის „დინამოს" ნახევარმცველი ალექსანდრ ხაცკევიჩი. ბელარუსის ყოველკვირეული სპორტული გამოცემის „პრესბოლის" და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ერთობლივად მოწყობილ გამოკითხვის შედეგად ხაცკევიჩმა 240 ქულა დააგროვა და მეტოქენი საგრძნობლად ჩამოიტოვა. ხაცკევიჩი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად პირველად აღიარეს. მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველი ვასილი ბარანოვი, მესამე კი მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი სერგეი გურენკო გახლდათ.

**ჰოლანდიის ჩემპიონ „აიაქსს" „ეინდჰოვენთან" პრინციპული შეხვედრის წინ პრობლემები არ ელევა. გუშინ, ვარჯიშზე, მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა დანიელმა მცველმა ოლე ტობიასენმა, გამოჯანმრთელებისთვის კი მას მინიმუმ თვენახევარი დასჭირდება. ცნობილია, რომ ნიგერიელი ტიჯანი ბაბანგიდა ფეხის ტრავმის გამო კარგა ხანი ვერ ითამაშებს. შეიძლება ეინდჰოვენელებთან პოლონელმა ანჯეი რუდიმაც არ ითამაშოს. საეჭვოა იარი ლიტმანენის და შოთა არველაძის თამაშიც.**

# ანდრეი ტიხონოვი
## რუსული ფეხბურთის ქარიშხალა... რჩება თუ მიდის?


ანდრეი ტიხონოვი

*თხუთმეტიოდე წლის წინ რუსული ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, ნიკიტა სიმონიანი შემთხვევით ერთი ყმაწვილის თამაშს შესწრებია და უთქვამს: „ჩვენ ტალანტები არასდროს გვაკლდა, უბრალოდ, მათი აღმოჩენა გვიჭირს და თუ ამას ვისწავლით, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. შეხედეთ ამ მორცხვ ბიჭუნას და ყურადღება მიაქციეთ. სწორედ ასეთებისგან უნდა ვაყალიბებდეთ ჩვენს საკლუბო გუნდებსა და ნაკრებს და ჯამში ამ პატარა ქარიშხლისგან ერთ დიდ ქარიშხალას მივიღებთ“.*

*სიმონიანის უდიდესი ავტორიტეტის მიუხედავად, მაშინ ეს სიტყვები იქნებ ყურადაც არავის იღო, რადგან მსგავსი პროგნოზები მრავლად თქმულა, მაგრამ მათი მცირე ნაწილი თუ გამართლებულა, თუმცა ახლა სიამოვნებით იხსენებენ მის წინასწარმეტყველებას, რადგან ყმაწვილი უკვე რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ წამყვანი ფეხბურთელი ანდრეი ტიხონოვია.*

*რამდენიმე დღის წინ „სპარტაკი“ კიდევ ერთხელ შესწვდა ყველა მოთამაშის სანუკვარ ოცნებას და კვლავ მოიპოვა თავისი ქვეყნის ჩემპიონობა, რაშიც ტიხონოვმაც უდიდესი როლი ითამაშა, მაგრამ ჩვენი შეხვედრის მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა. „სპარტაკი“ ბევრჯერ გახდა პირველი რუსეთში და ეჭვი არ არის, კიდევ მრავალჯერ გახდება. მიზეზი სხვა რამ გახლდათ, გაცილებით პირადული. ინფორმაციას, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ვერც ერთი ჟურნალისტი ვერ შეხვდა გულგრილად, აუცილებლად მის დაზუსტებას შეეცდებოდა. მეც ვცადე, თუმც საკმაოდ სიტყვაძუნწი და მორიდებული ტიხონოვი კერკეტი კაკალი გამოდგა.*

**— ანდრეი, გილოცავთ რუსეთის მორიგ ჩემპიონობას და კვლავ მრავალ წარმატებას გისურვებთ. ამ თემას მოგვიანებით დავუბრუნდები, ახლა კი დღესდღეობით თქვენთვის, ალბათ, უმთავრესზე გკითხავთ. როგორ არის იქ საქმე?**

— არ მესმის, რას გულისხმობთ.

**— კარგით, მაშინ გეტყვით. თურმე ერთ-ერთ სუპერკლუბში გადადიხართ. ისიც გავიგე, რომ ამ სეზონს „სპარტაკში“ აღარ ჩაამთავრებთ...**

— რა ვიცი, როგორ გითხრათ. გააჩნია, რას ეძახით თქვენ სუპერკლუბს.

**— მაშინ მოდით, პირდაპირ ვთქვათ. ვიცი, რომ მოსკოვში დაგიკავშირდათ ენცო სალონე — პიროვნება, რომელსაც იტალიურ კლუბებში უამრავი სარფიანი კონტრაქტი აქვს განხორციელებული და რომლის ტელეფონზეც არა ვინმე, არამედ სერია ფ-ს და სხვა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების პირველი დივიზიონების გუნდების ხელმძღვანელები რეკავენ. დაგიკავშირდათ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შემოგთავაზათ იტალიურ „ინტერში“ გადასვლა.**

— კი მაგრამ, რატომ მიიქცია ამან ახლა განსაკუთრებული ყურადღება? „ინტერზე“ ლაპარაკი შარშანაც იყო, როდესაც მან უეფას თასისთვის ბრძოლას ნახევარფინალიდან გამოგვთიშა და ამის შესახებ პრესაშიც დაიბეჭდა.

**— მაშინ სიტყვა სიტყვადვე დარჩა. ახლა კი სათქმელი პირდაპირ ითქვა — „ინტერი“ გელით.**

— არა მგონია, ახლა ამ თემაზე საუბარი გამართლებული იყოს. მე სპარტაკელი ვარ და ეს მაინც, ალბათ, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ჩვენ ჩემპიონებიც გავხდით და ჩემპიონთა ლიგის პირველ ოთხ მატჩში არცთუ ურიგო შედეგი ვაჩვენეთ. ამგვარად, მეოთხედფინალში გასვლის კარგი შანსებიც გაგვაჩნია. განა სწორი იქნება, ჩემთვის, გუნდისთვის და ბიჭებისთვის ესოდენ საპასუხისმგებლო დროს სადღაც გაქცევა გადავწყვიტო? წინადადებები ადრეც მრავლად მქონია და ახლაც არ მაკლია. რა მნიშვნელობა აქვს, რომელ კლუბებში, მთავარია, მიწვევენ, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს, ჩემპიონთა ლიგის ეს გათამაშება „სპარტაკში“ დავასრულო. გუნდმა ბევრი რამ გაიღო ჩემთვის და ასე ხელაღებით ვერ მივატოვებ.

**— კი მაგრამ, „ინტერი“ ხომ სულ სხვაა? ასეთი შანსი იქნებ არც გაგიჩნდეთ. არადა, ახალგაზრდა აღარ ხართ, ოქტომბერში ოცდარვა წლის გახდით და კარიერის მანძილზე „სპარტაკის“ კეთილდღეობისთვისაც ბევრი გაგიღიათ.**

— მოდით, მოვილაპარაკოთ. მე „ინტერის“ მიწვევის ფაქტი თქვენთვის არ დამიდასტურებია და არც შემეძლო დამედასტურებინა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი გუნდისა. რადგან ასე გაინტერესებთ, გეტყვით — საუბარი იყო, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება მაინც სხვა რამეა. ეს საკითხი ჩემთვის ჯერ არ დგას პირველ პლანზე. ჩემპიონთა ლიგა, სპარტაკი, რუსეთის ნაკრები. აი, ჯერჯერობით რაზე ვფიქრობ.

**— კარგით. მოდით, თქვენს განვლილ კარიერაზე ვისაუბროთ. მოსკოვის „სპარტაკში“ საკმაოდ გვიან გაიხსნა თქვენი შესაძლებლობები. მთელი ძალით 1996 წელს ათამაშდით, მაშინ, როცა უკვე 26-ის ხდებოდით და რუსეთის საუკეთესო ფეხბურთელადაც გაღიარეს. რით ახსნიდით ესოდენ გვიან გაბრწყინებას?**

— ჩემს კარიერაში აღმასვლა ოლეგ რომანცევთან არის დაკავშირებული. სწორედ მისმა გონივრულმა დარიგებებმა განაპირობა ის, რომ შეუმჩნეველი სათადარიგოდან გუნდის ძირითად მოთამაშედ ვიქეცი და კლუბშიც და ნაკრებშიც ჩემი ადგილი დავიმკვიდრე. ახალგაზრდობაში სათამაშო წონის ნაკლებობას განვიცდიდი. მწვრთნელები ამას ნაკლად მითვლიდნენ და ფიზიკური სისუსტე უკვე თავისებურ ფსიქოლოგიურ კომპლექსს იწვევდა ჩემში. უფროსი მეგობრები მრავლად მყოლია, მაგრამ ვერავინ შეძლო ისეთი გარდატეხის შეტანა ჩემში, როგორც რომანცევმა.

**— შეიძლება ითქვას, რომ რომანცევი საუკეთესო მწვრთნელად მიგაჩნიათ მათ შორის, ვისთანაც გიმუშავიათ?**

— ნამდვილად საუკეთესოდ და თანაც არა მხოლოდ როგორც მწვრთნელი. რომანცევი საუკეთესო მეგობარი და ფსიქოლოგია. ამას დაფასება უნდა.

**— სპეციალისტთა აზრით, წლეულს რუსეთის ჩემპიონობა შარშანდელთან შედარებით, ადვილად მოიპოვეთ. იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

— ადვილად ამხელა წარმატებას ვერ მიაღწევ. ნებისმიერ შემთხვევაში დიდი ჯაფის გაღება მოგვიწევს. ისე კი, წინა წლებში უფრო მძაფრი კონკურენცია იყო. წლეულს მხოლოდ ცსკა-მ შეძლო ჩვენი შეშფოთება და ისიც მცირე ხნით.

**— როგორ ფიქრობთ, წინა წლებთან შედარებით რუსული ფეხბურთის დონემ აიწია?**

— ალბათ, ასე უნდა იყოს, მაგრამ იმაზე მწყდება გული, რომ რუსეთის ჩემპიონატში კვლავაც უამრავი სიბინძურეა და, როგორც ჩანს, ამის აღმოფხვრას კიდევ კარგა ხანი დასჭირდება.

**— ევროტურნირებში „სპარტაკი“ თანდათან სულ უფრო და უფრო დამაჯერებლად თამაშობს. რას იტყვით გუნდის წლევანდელ გამოსვლაზე?**

— ახალს ვერაფერს. ყველაფერზე შედეგი და ქულები მეტყველებს. გული იმაზე მწყდება, რომ მოსკოვში „ინტერი“ რომ დაგვემარცხებინა, მაშინ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. ამის ძალა აშკარად შეგვწევდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, დასანანი ბურთი გავუშვით მატჩის ბოლო წუთზე, თუმცა მთავარი ბრძოლები ჯერ არ დამთავრებულა.

**— თვლით, რომ ქვეჯგუფიდან გასვლა ძალგიძთ?**

— ცხადია, განა ეს საეჭვოა? ამას ნებისმიერი ჩვენი მეტოქეც დაგიდასტურებთ.

**— ნაკრების წარუმატებლობა რით აიხსნება?**

— მიუხედავად ნაკრების მოთამაშეთა დიდი გამოცდილებისა, ჩვენი ეროვნული გუნდი ფაქტობრივად, ახალი შექმნილია და ასეთ პირობებში მეტის მოთხოვნა, ალბათ, არ იქნებოდა სწორი. თანაც, მეტოქეებიც საკმარისად ძლიერი შეგვხვდა და ამანაც დაასვა დაღი ჩვენს დებიუტს.

**— თქვენ კარგად გიცნობენ საზღვარგარეთ, როგორც ახლა ამბობენ. თქვენი აზრით, რით არის გამოწვეული ყოფილი საკავშირო რესპუბლიკების გუნდების და ნაკრებების წარუმატებლობა?**

— ალბათ, მიზეზი საერთოა და ეკონომიკურ სირთულეებში გამოიხატება, თორემ კარგი ფეხბურთელები ყველას ჰყავს და ამაში არაფერია გასაკვირი. ძლიერი გუნდები კი ცოტაა. თანამეგობრობის თასი აიღეთ: განა ბევრია ღირსეული გუნდი? არც ისე, თუ კიევის „დინამოს“ არ ჩავთვლით.

**— კიეველებთან და საერთოდ უკრაინულ ფეხბურთთან ერთობ გართულებული დამოკიდებულება გაქვთ, როგორც „სპარტაკისა“ და რუსეთის ნაკრების ფეხბურთელს. ამან კომპლექსიც ხომ არ გაგიჩინათ?**

— ნაკრები ერთხელ დამარცხდა უშედავათო ბრძოლაში, „სპარტაკი“ კი არ არის ის გუნდი, რომ ვინმემ ან რამემ კომპლექსი გაუჩინოს. მიმაჩნია, რომ კიევის „დინამომ“ კი არ გვაჯობა, არამედ შემთხვევით გვძლია. მეორე შეხვედრა რომ გამართულიყო, შეიძლება ჩვენ გაგვემარჯვა. ამით კიეველთა ოსტატობას კი არ ვაკნინებ, უბრალოდ, იმაზე მივუთითებ, რომ ბურთი მრგვალია.

**— ამას წინათ „სპორტ ექსპრესმა“ სპარტაკელთა შემოსავლების ნუსხა შესთავაზა მკითხველს. თქვენი ხელფასი გაკმაყოფილებთ?**

—იმ ნუსხაში ძალიან ბევრი შეცდომა იყო და არ ვიცი, საიდან აიღო გაზეთმა ეს ციფრები. მსგავსი ინფორმაცია ჩვენთან კონფიდენციალურია. ჩემი ხელფასიც არასწორად ეწერა. საერთოდ კი, შემოსავლით უკმაყოფილო არ გახლავართ. ჩვენს თანამემამულეთა უმეტესობას ხომ ესეც არ აქვს.

**— და მაინც, როდის დატოვებს ტიხონოვი „სპარტაკს“?**

— ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვიასპარეზებთ ლიგაში. მერე ვნახოთ.

**იური ციბანიოვი**
**მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „ბეა“**

# დაუსრულებელი ისტორია გრძელდება

არა და არ დაადგა საშველი იტალიური დოპინგსკანდალის დასრულებას. ზდენეკ ზემანის მიერ ზაფხულში ნათქვამმა, სერია A-ს, განსაკუთრებით ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელები, აკრძალული პრეპარატებით იჭყიპებიანო, აპენინებზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. გამოძიება მაშინვე დაიწყო და მისი წარმართვა პროკურორ რაფაელო გუარინიელოს დაევალა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გუარინიელომ მრავალი ფეხბურთელი დაკითხა — ზიდანი, დელ პიერო, დეშამპი, ვიალი, რავანელი და სხვები. ჩატარდა რეიდები იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ლაბორატორიებში, რასაც უამრავი გასაიდუმლოებული მასალის აღმოჩენა და შედეგად ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის დაპატიმრება მოჰყვა. გაირკვა ისიც, რომ ზემანის მიერ ნახსენები კრეატინი არ არის დოპინგი და მისი მიღება კანონით არ იკრძალება. ამ პრეპარატის მოხმარება დაკითხულთა უმეტესობამ აღიარა კიდეც, ოღონდ დაამატა, ტრავმის მოშუშებაში გვეხმარებოდა და ამიტომაც ვსვამდითო.

ამ ცოტა ხნის წინ გუარინიელომ „მარსელის“ ბომბარდირი, თმაჭაღარა ფაბრიციო რავანელიც დაკითხა. ამის შემდეგ იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ჟურნალისტებსაც შეხვდა და გულღიადაც გაესაუბრა. გუშინ კი პროკურატურაში მისვლა ერთ დროს „იუვენტუსში“ რავანელისთან ერთად მოთამაშე ანჯელო დი ლივიოსაც მოუწია. ვეტერანი ნახევარმცველი გუარინიელოს დაახლოებით ორი სათის განმავლობაში ესაუბრა, ხოლო მერე ჭკუა იხმარა და შენობა უკანა შესასვლელიდან დატოვა, რათა მასმედიის წარმომადგენელთათვის თავი აერიდებინა. ასე რომ, რაზე ილაპარაკეს ფეხბურთელმა და თემიდის მსახურმა ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. ახლა საკითხავი ის არის, რომელ ვარსკვლავთან მოისურვებს პროკურორი მომავალში გასაუბრებას და საერთოდ, როდის მოელება ბოლო ამ ერთი შეხედვით დაუსრულებელ ისტორიას.


ანჯელო დი ლივიო

# რეალს გაუჭირდა

ესპანეთის ჩემპიონატის მე-9 ტური მადრიდის „რეალისთვის“ მეტად უიღბლო გამოდგა — პრიმერა დივიზიონის დებიუტანტ „ალავესთან“ ფრედ 1:1 ითამაშა, ორი ქულა დაკარგა, რითაც ლიდერის პოზიციები დათმო, წინ „მალიორკა“ გაუშვა და ყველაზე მთავარი — ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულებს ფერნანდო იერო დაუშავდათ. მადრიდელთა და ესპანეთის ნაკრების დაცვის ბურჯს, რომელიც ბოლო ტურებში შეტევაშიც მშვენივრად ირჯებოდა, კუნთი დაუზიანდა და სულ ცოტა, ერთი თვის განმავლობაში ველარ შეძლებს ფეხბურთის თამაშს. მადრიდელებს კიდევ ერთი პრობლემა აქვთ — მსოფლიოს ჩემპიონი კრისტიან კარემბუა ტრავმირებული. იგი ვარჯიშზე დაშავდა და იეროზე დიდხანს დარჩება უფეხბურთოდ. არადა, „რეალს“ წინ უმინშვნელოვანესი მატჩები ელის. ესპანური კლუბი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში შინ ხვდება მოსკოვის „სპარტაკს“ და მილანში „ინტერს“, ხოლო პირველ დეკემბერს იაპონიის დედაქალაქს უნდა ენვიოს, რათა საკონტინენტთაშორისო თასის შეხვედრაში გაირკვეს, რომელია მსოფლიოს უძლიერესი გუნდი — „რეალი“ თუ ბრაზილიური „ვასკო და გამა“.


ფერნანდო იერო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს ბურთის ლაურეატები

## 1980, 1981

## კარლ ჰაინც რუმენიგე

# კარო არმატო

კონსტანტინე გოგიშვილი

როცა ოქროს ბურთის ლაურეატების შესახებ მიწევს წერა, ვცდილობ შეძლებისდაგვარად ავუარო გვერდი ყველასთვის ცნობილ, სააშკარაოზე ათასჯერ გამოტანილ ფაქტებს და აქცენტი მოცემული კანდიდატის ჩემეულ წარმოდგენაზე გავაკეთო. ვცდილობ გავიხსენო ის, რაც წამიკითხავს, მინახავს ან მოუყოლიათ და ამათგან ღირსშესანიშნავი ჯერ ფურცელს, მერე კი მკითხველს გადავაბარო.

„კარო არმატო" იტალიელმა ფეხბურთელებმა შეარქვეს კარლ ჰაინც რუმენიგეს. „კარო არმატო" იტალიურიდან თარგმანში დაახლოებით ტანკს ნიშნავს. მძლავრი აგებულებისთვის თუ მონათლეს ასე რუმენიგე ინტერელებმა. თუმცა ეს მოგვიანებით იყო, მანამდე კი... მანამდე საფეხბურთო მსოფლიო რუმენიგეს უბრალოდ კალედ იცნობდა. კაცს, ვინც თამაშობდა, თუმცა კი გერმანელისთვის დამახასიათებელი ზედმეტი ეფექტურობის გარეშე, მაგრამ კარგად კი თამაშობდა.

რუმენიგეს ხანგრძლივი, ჩვიდმეტწლიანი კარიერიდან განსაკუთრებით ორი შემთხვევა შემორჩა ჩემს ბიჭურ მეხსიერებას, ორი მატჩი, ორი საფეხბურთო მოვლენა. ნებისმიერი ამ ორთაგანი შეიძლება ბრწყინვალე საფეხბურთო სპექტაკლად ვაღიაროთ და ამ თამაშებში გამოჩნდა ყველაფერი, რითაც მშვენიერია ფეხბურთი, ანუ ამ თამაშებში გამოჩნდა ყველაფერი ის, რითაც მშვენიერია ფეხბურთი. და ორივეგან ინტრიგა მატჩებს, მინდორზე კარლ ჰაინც რუმენიგეს გამოჩენამ შემატა.

მაშ ასე, მატჩი პირველი. ესპანეთი. სევილია. 1982 წელი. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი. საფრანგეთის უმშვენიერესმა ნაკრებმა დამატებით დროში ორი ბურთი გაუტანა „გერმანულ მანქანას" და 3:1 დაწინაურდა. თითქოს გადაწყვეტილი ჩანდა ყველაფერი, პლატინი და კომპანია ძნელად თუ ვინმეს დანებებიან ასეთ მატჩში გამარჯვებას, მაგრამ აი, მოედანზე ტრავმირებული რუმენიგე გამოჩნდა და მონასტერიც აირია... აირია გერმანელთა სასარგებლოდ — კალეს აქტიურობამ ორი უმალი, საპასუხო გოლი გამოაცხო, ამით ძირითადი დროც მორჩა და მერე პენალტებში გერმანელებმა დაასამარეს სამფეროვნები. სევილიურმა შეხვედრამ ნათლად დაგვანახა, თუ რას ნიშნავს მოედანზე ლიდერის ყოფნა. რუმენიგე-ლიდერმა მატჩის ბედი გადაწყვიტა.

და მატჩი მეორე. მექსიკა. მეხიკო. 1986 წელი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. აქეთ მარადონა, იქეთ კვლავ „გერმანული მანქანა" და მანქანა ისევ ორ ბურთს აგებს. თითქოს აქაც წყალი არ გაუვა, ყველაფერი გადაწყვეტილია, მაგრამ ორი კუთხური, რუმენიგეს გაელვება და შესაბამისად, კვლავ, უმალ საპასუხო გოლი. ერთი რამეც არ შორდება თვალს — პირველი გოლის შემდეგ თავისსავე დარტყმულს კალე კარებში შეჰყვა. ბურთს ხელი დაავლო და ცენტრისკენ გაიქცა. იმ მომენტში კარლ ჰაინც რუმენიგე მთლიანად შემართება იყო, კაცი, ვისიც უნდა გეშინოდეს და ვისთვისაც მარცხი არ არსებობს.

პირადად მე უკეთესი რუმენიგე არ მინახავს. პირადად ჩემთვის უკეთეს რუმენიგეზე არ მოუყოლიათ, არც წამიკითხავს სადმე რამე უკეთესი რუმენიგეს შესახებ.

ჰოდა, აქედან დასკვნაც უმნიშვნელოვანესი — რუმენიგე დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მისი, როგორც ფეხბურთელის ღირსება ყველაზე უფრო ლიდერობაშია. ტყუილად როდი აირჩიეს კალე „გერმანული მანქანის" კაპიტნად.

კარიერა კი... ერთი კაცის სამყოფი ტიტულებიც გააჩნდა რუმენიგეს. ორჯერ გფრ-ის ჩემპიონი, ორჯერ გფრ-ის თასის მფლობელი, ორჯერ ჩემპიონთა თასის ლაურიატი, ერთხელ საკონტინენტთაშორისო თასსაც შეავლო ხელი ამ კაცმა. ევროპის ჩემპიონობა და ორჯერ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაში ხომ ბარე ორს არ ღირსებია. როგორ ფიქრობთ, ცოტაა?

რუმენიგეს ბედნიერება იმაშიაც იყო, რომ დიდ „ბაიერნში" მოუწია თამაში — ბეკენბაუერის, მაიერის, მიულერის გვერდით. ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა დიდ „ბაიერნში" და რუმენიგე რის რუმენიგე იქნებოდა, ეს „ბევრი რამე" არ ესწავლა. ამის შემდეგ „ინტერში" გადავიდა კალე. იქაც კაი დიდი ფეხბურთელების „თაიგული" დახვდა „კარო არმატოს" კაუზიო, ალტობელი, ბინი და აჰა, „ინტერის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის, მარინის კომენტარიც პირველივე ვარჯიშის შემდეგ — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ სეზონში მეოთხე ადგილზე ვიყავით, რუმენიგესთან ერთად კი აუცილებლად მეტს მივაღწევთ.

ასეა, კაცის სიდიადე თვალის ერთი შევლებითაც ჩანს.

რუმენიგეს „ინტერში" გადასვლას ერთი, ცოტა არ იყოს, სახამუშო ამბავიც სდევდა თან. ეს ამბავი ფეხბურთის, ალბათ, ყველაზე დიდი და უძლები ბავშვის ბერნდ შუსტერის პიროვნებასთანაა დაკავშირებული. მან ჩვეულად, ოხუნჯურად „აუხსნა" კალეს, რად არ უნდა გადასულიყო იტალიაში. თვითონ „კარო არმატო" ამის შესახებ ასე იხსენებს:

— საოცარია, მაგრამ „ინტერში" ჩემთვის ყველაფერი ისე დაიწყო, არავითარი სერიოზული პრობლემა არ წამოჭრილა. მართალი გითხრათ, თავიდან ძალიან მეშინოდა, ბერნდტ შუსტერი მაფრთხილებდა, შენივე გუნდის ფეხბურთელები მოგტეხენ ვარჯიშზე ფეხს, სანამ ოფიციალურ მატჩში გამოხვიდოდეო. ეს არ ყოფილა სწორი, „ინტერში" ისე შემხვდნენ, როგორც დიდი ხნის კეთილ ნაცნობს.

რუმენიგეს „ინტერში" თამაშისას იტალიურ გუნდს არ ჰქონია განსაკუთრებული და გაუგონარი წარმატებები. მაშინ იტალიაში საკლუბო ფეხბურთის არნახული ბუმი გახლდათ, ბებერ ქალბატონს ახალგაზრდულად უძგერდა გული, „მილანი", „რომა", „ვერონა" და „სამპდორიაც" თავისას ერეკებოდნენ და მათ მარაქაში პირველობა ნებისმიერი გუნდისთვის არ იყო იოლი საქმე. იგივე დაემართა მილანის „ინტერს".

რუმენიგე კი, იტალიელ ფეხბურთელთაგან „კარო არმატოდ" წოდებული, ნამდვილ გერმანულად, მანქანასავით, ზუსტად, უშეცდომოდ აკეთებდა თავისას. ერთხელ „ინტერის" ბაზაზე კაუზიომ მარადონას ახალი „სუპერტრიუკის" შესახებ მოიტანა ამბავი და შეეცადა, იქვე ეჩვენებინა თანაგუნდელებისთვის დიეგოს ილეთი. არ გამოუვიდა. ალტობელიც, მარინიც, ბინიც ტყუილად გაისარჯნენ. მაშინ კალე მივიდა ბურთთან და უშეცდომოდ გაიმეორა მარადონას ტრიუკი. ბრავო კალე — გაისმა „ინტერის" ბაზაზე. ეს ნამდვილი რუმენიგე იყო, ჩუმი, ბევრის მცოდნე და ბევრისმნახველი.

„კეთილმა ნაცნობმა" სამი სეზონი დაჰყო მილანურ გუნდში და კარიერა შვეიცარიულ „სერვეტში" დაასრულა, რომელიც იმ დროს (87-89 წლები) სულაც არ წყვეტდა ვარსკვლავებს და რომლის ყველაზე დიდი ღირსება თვით რუმენიგე იყო.

თვით რუმენიგე კი... აღარ იყო რუმენიგე. მე ძველ რუმენიგეზე მოგახსენებთ. „სერვეტის" რუმენიგე უკვე ოცდათორმეტ-ოცდაცამეტი წლის გახლდათ და ვეღარ უჭრიდა ძველებურად მუხლი. იმხანად ნაკრებში თამაშისთვისაც დანებებული ჰქონდა თავი კალეს.

მეხსიერებას და თვალს კი ის ძველი კალე არ შორდება. აი, გოლი რომ გაიტანა, კარში რომ შეჰყვა, ბურთს ხელი რომ დაავლო და ცენტრისკენ გაიქცა შემართული, მძლავრი, ჭეშმარიტად „კარო არმატო"...

აი, ნამდვილი რუმენიგე ის იყო.



**კარლ ჰაინც რუმენიგე**

დაიბადა 1955 წლის 25 სექტემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ლიპშტადში

თავდამსხმელი

სიმაღლე: 1,82

წონა: 78 კგ

კლუბები: „ლიპშტადი" (გფრ, 1972-74); „ბაიერნი" (გფრ, 1974-84); „ინტერი" (იტალია, 1984-87); „სერვეტი" (შვეიცარია, 1987-89)

ტიტულები: გფრ-ის ჩემპიონი — 1980,81; გფრ-ის თასი — 1982,84; ჩემპიონთა თასი — 1975,76; საკონტინენტთაშორისო თასი — 1976; მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1982,86; ევროპის ჩემპიონი — 1980

ნაკრებში 95 თამაშში გაიტანა 45 გოლი — (1976-86)

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. მე-12 ტური

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — ბოხუმი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დორტმუნდი — დუისურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შტუტგარტი — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| აინტრახტი — ფრაიბურგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ჰერტა — ლევერკუზენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**ინგლისის ლიგის თასის მერვედფინალი**

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესტერი — ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| მანჩესტერი — ნოტინგემი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| არსენალი — ჩელსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ევერტონი — სანდერლენდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** მე-13 ტური

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სოშო — ბასტია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მონაკო — ოსერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ლანსი — რენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლიონი — მონპელიე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| პსჟ — მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ტულუზი — სტრასბური | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| ლორიანი — ბორდო | 3,8 | 2,8 | 1,9 |

**იტალიის თასის მერვედფინალი.** საპასუხო მატჩები

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვენეცია — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ბოლონია — სამპდორია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვიჩენცა — უდინეზე | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პარმა — ბარი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| დი სანგრო — ინტერი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| მილანი — ლაციო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 12 ნოემბერი | | | |
| რომა — ატალანტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** მე-13 ტური

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კამბური — ალკმაარი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| მაასტრიხტი — ფეიენოორდი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| სიტარდი — გრააფსხაპი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ტვენტე — ჰერენვენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| უტრეხტი — სპარტა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აიაქსი — როდა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| ბრედა — ნაიმეგენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 12 ნოემბერი | | | |
| ეინდჰოვენი — ვიტესი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

**ავსტრიის ჩემპიონატი.** მე-16 ტური

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აუსტრია — გრაცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| რიდი — ზალცბურგი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| შტაირი — ლუსტენაუ | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| შტურმი — რაპიდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ტიროლი — ლინცერი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

**ესპანეთის თასი.** საპასუხო მატჩები

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესტრემადურა — ლევანტე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| სალამანკა — სევილია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ტენერიფე — რეიესი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| სარაგოსა — სპორტინგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| ვალიადოლიდი — მალაგა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| ალავესი — ლას პალმასი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ვილიარეალი — ტალავერა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| რასინგი — ნუმანსია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| ოვიედო — ბადახოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| ოსასუნა — ლეიდა | 2,1 | 2,8 | 3,3 |

## ჰოკეი - NHL

11 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — ედმონტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნიუ ჯერსი — მონრეალი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ფლორიდა — რეინჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| დეტროიტი — სტ. ლუისი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| დალასი — ფინიქსი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ანაჰაიმი — კაროლინა | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 12 ნოემბერი | | | |
| ოტავა — ედმონტონი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| აილენდერსი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — ფლორიდა | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| ვაშინგტონი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ჩიკაგო — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| კალგარი — ვანკუვერი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ლოს ანჯელესი — ნეშვილი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| სან ხოსე — კაროლინა | 1,9 | 4,4 | 2,1 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ფრანგული შთაბეჭდილებები...

საფრანგეთში მყოფი ჩვენი ბორჯღალოსნების ამბებს ხშირად კი გაგებინებდით, მაგრამ თვითმხილველის ნაამბობი მაინც სულ სხვაა. ამიტომაც საფრანგეთიდან ჩამოსვლისთანავე შევეხმიანეთ **კახა ალანიას და რატი ურუშაძეს**, რომლებიც საირლანდიო ნაკრებში ვერ მოხვდნენ. ჯერ კახას გავესაუბრეთ.

— ფრანგული ტურნეთი ყველა კმაყოფილი დარჩა. ჩვენი ნაკრები ცხოვრობდა მონპელიესთან ახლოს, ზღვისპირა საკურორტო ქალაქ გრან მონტეში, სადაც ვარჯიშისა და დასვენების იდეალური პირობები გვქონდა. ვცხოვრობდით ნორმალურ სასტუმროში, გვქონდა კარგი სავარჯიშო მოედნები და დარბაზები, თავისუფალ დროს მივდიოდით პლაჟზე, ვთევზაობდით, ვთამაშობდით ფრენბურთს. სამხრეთ საფრანგეთში ისეთი სიცხეები იყო, ამ გვიან შემოდგომაზე მზეზეც კი გავირუჯეთ. დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით და თუ აქამდე მოწყობილი ტურნე-შეკრებებისას ფიზიკურ მომზადებას შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, ახლა ძირითადი აქცენტი მასზე გაკეთდა. დილაობით დაახლოებით 10-კილომეტრიან კროსს ვაწყობდით, სალამოობით კი ძირითადად ბურთით ვვარჯიშობდით. სიქას გვაცლიდა ფიზმომზადების ფრანგი სპეციალისტიც. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად საკმაოდ ვიტვირთებოდით, მაინც კარგად დავისვენეთ და რაც მთავარია, ეს ტურნირი სასარგებლო იყო წმინდა სპორტული თვალსაზრისით, თუმცა შედეგი ჩვენთვის მთავარი არც იყო.

**— საფრანგეთში როგორ გამოეხმაურნენ თქვენს სტუმრობას?**

— მასპინძლები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი ჩვენს შესახებ. ყველა ქალაქში, სადაც კი ჩასვლა გვიწევდა, გვიწყობდნენ მიღებებს, ოფიციალურ შეხვედრებს, პრესკონფერენციებს... რაც უფრო ძლიერ გუნდს ვხვდებოდით, მასპინძლობაც მით უფრო გრანდიოზული იყო.

დაინტერესდა პრესაც. ძირითადად აქვეყნებდნენ ინფორმაციებს, მაგრამ იყო წერილებიც. ჟურნალისტებიც ხშირად გვაკითხავდნენ ინტერვიუსთვის. ფრანგებზე ცივი შხაპივით იმოქმედა „ბრივისა“ და „ტულუზის“ წაგებებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდები ახალგაზრდული შემადგენლობით გვეთამაშნენ.

**— ჩვენი ნაკრები როგორ შეაფასა იქაურმა პრესამ?**

— ნაკრების დონეზე ეს ფაქტიც მეტყველებს — ირბ-ს განზრახული აქვს ჩაატაროს „ექვსი ერის B პირველობა“, რომელშიც რუმინეთთან, ხორვატიასთან, ჰოლანდიასთან, პორტუგალიასთან და ესპანეთთან ერთად საქართველოს მიწვევასაც აპირებენ. ცხადია, ფრანგული პრესაც სათანადოდ გვაფასებდა, მაგრამ რაც მთავარია, ჩვენი თამაშით კმაყოფილი თავად კლოდ სორელი იყო.

**— ძალიან საინტერესო ცნობაა. ღმერთმა ქნას, ეს იდეა რეალობად იქცეს. ამ გუნდებთან რა შანსები გვექნება? მათგან უმეტესობას ვიცნობთ, ჰოლანდია — პორტუგალიასთან კი წაგვიგია კიდეც.**

— ამ გუნდებს შორის, სულ ცოტა, მეორე ადგილი წინასწარ შეგვიძლია დავგეგმოთ. ერთადერთმა, შეიძლება, ისევ რუმინეთმა გვაჯობოს. რაც შეეხება ჰოლანდია — პორტუგალიას, ისინი დღეს ჩვენი მომგებნი არ არიან. პორტუგალია, საერთოდ, ცალკე საუბრის თემაა, მასთან თამაში მსაჯმა წაგვაგებინა. ამაზე თავის დროზე ბევრი დაიწერა ჩვენს პრესაში და ახლა სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ მას შემდეგ მათი ჯავრი გვკლავს და მუდამ იმაზე ვოცნებობთ, სადმე გადავეყაროთ. არადა, ის მატჩი რომ არ წაგვეგო, ახლა შედარებით იოლ შესარჩევ ჯგუფში ვიქნებოდით და წარმატების მეტი შანსიც გვექნებოდა, რადგან ესპანეთთან მოგვიწევდა შეხვედრა. ესპანელები კი, მოგეხსენებათ, რუმინელებზე სუსტები არიან.

**— კახა, მოდით, ისევ თქვენს ფრანგულ ტურნირს დავუბრუნდეთ. იქ გამართული შეხვედრებიდან რომელს გამოარჩევდი?**

— კარგად ვითამაშეთ „ბრივთან“, „ტულუზთან“, ბასკეთის ნაკრებთან. მართალია, ამათთან მე უკვე აღარ მითამაშია, რადგან კოჭი ვიტკინე, მაგრამ ეს თამაში ნამდვილად კარგი იყო. ბასკებმა ძლიერი შემადგენლობა გამოგვიყვანეს, ძირითადად ესპანეთის ბასკები იყვნენ და მათთან მოგება მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტი იყო.

**— ჟუანვილის ბატალიონზე მინდა გკითხოთ. ვიცი, რომ ეს წაგება ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობას დაბრალდა. თქვენ როგორ თვლით, შეიძლებოდა მათთან მოგება?**

— ამ გუნდს შარშანაც შევხვდით და მაშინაც წავაგეთ, თუმცა ის ნაკრები სულ სხვა — უფრო ძლიერი იყო. წელსაც გვეგონა, რომ მოვუგებდით, რადგან ძირითადად ახალგაზრდები ჰყავდათ. ვთვლი, რომ მაინც უნდა მოგვეგო.

**— ფრანგული კლუბები ზოგი ჩვენი მორაგბით კმაყოფილები არიანო...**

— ლევან ცაბაძე „ნარბონის“ ძირითად შემადგენლობაშია. იგივე შეიძლება ითქვას ორიაკელ ზაზა ლეჟავაზეც. ტულუზელები — ურჯუკაშვილი და რაფავა ძირითად შემადგენლობაში ჯერ არ არიან, მაგრამ ძირითად გუნდთან კი ვარჯიშობენ. საფრანგეთში წესია — ძირითადი გუნდი თავისი სათადარიგოებით ცალკე ვარჯიშობს, ხოლო სარეზერვო — ცალკე. რაფავას თავიდანვე ძირითად გუნდთან ავარჯიშებდნენ, ურჯუკაშვილი ჯერ სარეზერვო გუნდთან ვარჯიშობდა, მაგრამ ახლა ისიც ძირითადში გადაიყვანეს. აქვე გეტყვით, რომ სოსო ნიკოლაენკო საფრანგეთში დარჩა. იგი ერთ-ერთ იქაურ კლუბში გადადის. სახელი არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ძლიერ კლუბზეა ლაპარაკი. საფრანგეთის ერთ-ერთი კლუბი ეპატიჟება „პენზაში“ მოთამაშე გიორგი ლაბაძესაც, რომელიც ძალიან მოწონებიათ ფრანგებს.

**— ნაკრებში ვერმოხვედრა მუდამ გულდასაწყვეტია, ასეთ დროს — მით უფრო. ნაკრების შემადგენლობის გამოცხადებას როგორ შეხვდა გუნდი?**

— მართალი ხართ, ასეთ დროს ნაკრებში ვერმოხვედრა მართლაც გულდასაწყვეტია, მაგრამ მთელი ჩვენი გუნდი ერთი საძმო-სამეგობროა და ამიტომ არანაირი უკმაყოფილება არ ყოფილა. არც მწვრთნელებს გამოუჩენიათ რაიმე მიკერძოება. ჩვენთვის უმთავრესი ირლანდიაში წარმატების მიღწევაა. ამისი იმედი კი ფრანგულმა ტურნემ კიდევ უფრო განგვიმტკიცა.

ფრანგული ტურნეს შეფასებაში მეგობარს არც რატი ურუშაძე ჩამორჩა.

— ეს ტურნე საირლანდიო სამზადისად მართლაც ჩინებული იყო. ფრანგებმა ძალიან კარგად გვიმასპინძლეს. ეს პირველ რიგში იმ კლუბებზე ითქმის, რომლებსაც ვხვდებოდით. ისინი გვითმობდნენ თავიანთ სავარჯიშო მოედნებს, გვაბინავებდნენ საუკეთესო სასტუმროებში და საერთოდ, ვარჯიშის, დასვენებისა და რეაბილიტაციის საუკეთესო პირობებს გვიქმნიდნენ. იმ მოედნებზეც კი გვათამაშებდნენ, სადაც მათი ძირითადი გუნდები თამაშობდნენ.

ვარჯიშითაც ბევრს ვვარჯიშობდით, თამაშის დღესაც კი. ნაკრები ახლა ნამდვილად კარგ ფორმაშია. ტრავმირებული არავინაა. ერთადერთს, ბუგიანიშვილს გაუტყდა ცხვირი, მაგრამ ისიც გამოჯანმრთელდა და ბოლო მატჩებში ითამაშა კიდეც.

**— მეტოქეებიც არ გყავდათ იოლი, თუმცა ზოგიერთი შესუსტებული შემადგენლობით გაგეჯიბრათ.**

— ფრანგული შეხვედრებიდან საუკეთესოდ „ტულუზთან“ მატჩს მივიჩნევ, ყველაზე უარესად კი ჟუანვილის ბატალიონთან ვითამაშეთ. მათზე ძლიერი გუნდი გვყავდა — ტექნიკურად, ფიზიკურად, მაგრამ მაინც წავაგეთ, რადგან სათანადოდ ვერ შევაფასეთ ახალგაზრდა ბიჭები. ისინი ძალიან მაღალ ტემპში გვეთამაშნენ და, ფაქტობრივად, არც ერთი შეცდომა არ გვაპატიეს. ვერც კოლექტიური თამაში ავაწყვეთ. ერთი სიტყვით, თავდაჯერებამ დაგვღუპა.

**— ეს თამაში რუმინელებმაც გადაიღეს.**

— გადაღებით კი გადაიღეს, მაგრამ მათ საკუთარი თავი გაჭირვებიათ. მათი ნაკრების რამდენიმე წევრი ჩვენი ლეგიონერების თანაგუნდელია საფრანგეთში. ჩვენი ბიჭებისგან ვიცი, რომ რუმინეთის ნაკრებში ფინანსური პრობლემების გამო უთანხმოებაა. გუნდს მარშან მილიონიან პრემიას შეპირდნენ, მიცემით კი თითოეულ მოთამაშეს 300-300 დოლარი მისცეს, ამიტომაც საუკეთესონი ნაკრებში თამაშს უარობენ.

**— ჩვენს ნაკრებშიც რომ ასეთი ვითარება შეიქმნას, მაშინ...**

— ჩვენთან ფულზე ლაპარაკი საერთოდ არ არის. ბიჭებისთვის მთავარია მოგება და არა ფული.

**— შემადგენლობაზე რას იტყოდით?**

— ვინც კი მწვრთნელებმა საფრანგეთში წაიყვანეს, ყველას მისცეს თამაშის და თავის გამოჩენის შანსი. ამიტომ შემადგენლობა ყველა შეხვედრისას იცვლებოდა. ამის ერთი მიზეზი ლეგიონერებიც იყვნენ — ისინი ზოგჯერ თავიანთ კლუბებში მიდიოდნენ და ჩვენ 15-16 კაცის ამარა ვრჩებოდით. ამით იმის თქმა მინდა, რომ მწვრთნელებს ყველა მოთამაშის შემოწმების საშუალება ჰქონდათ. შემადგენლობა ძირითადად კლოდ სორელმა შეარჩია. თუ ადრე იგი ბურძგლაზე იყო დამოკიდებული, დღეს საქმე ასე აღარაა. იგი უკვე თითქმის ყველას იცნობს და ახლა მოდებაძე უფრო ასრულებს ასისტენტის როლს, ვიდრე სორელი. მართალია, კლოდი გურამს რჩევას კი ეკითხება, მაგრამ ვარჯიშით მაინც სორელი გვავარჯიშებდა.

**ირაკლი თავაძე**

## ქართველებს ესენი დაუხვდებიან

ირლანდიის მორაგბეთა ნაკრების თავკაცებმა გუშინ დაასახელეს ის 22 კაცი, რომლებიც 14 და 21 ნოემბერს შინ, „ლენსდაუნ როუდზე“ დაუხვდებიან საქართველოს და რუმინეთს. ადრე გამოცხადებულ შემადგენლობასთან შედარებით ერთი ცვლილებაა — ფრთის მორკინალმა ალან კინლანმა მხარი იტკინა და გუნდს გამოაკლდა.

ირლანდიელებმა ის 15 მოთამაშეც შეიგულეს, 14 ნოემბერს ქართველებს რომ დაუპირისპირდებიან: კონორ ოშეი (15, ლონდონ აირიში), ჯასტინ ბიშოფი (14, ლონდონ აირიში), პატ დიუნენი (13, გოლვეგიანზი), ჯონათან ბელი (12, დიუნგენონი), კევინ მაგზი (11, ბათი), ერიკ ელვუდი (10, გოლვეგიანზი), კონორ მაკგინესი (9, სენტ მერი), ვიქტორ კოსტელო (8, სენტ მერი), ენდი უორდი (7, ბალინაჰინჩი), ერიკ მილერი (6, ტერენიუ), მალკოლმ ოკელი (5, ლონდონ აირიში), პედი უოლესი (3, სერეზინზი), ჯონ ნესდეილი (2, ნიუკასლი), პიტერ კლოჰესი (1, იანგ მანსტერი)

სათადარიგო უკანახაზელები: გირვენ დემპსი (ტერენიუ), დევიდ ჰამფრიზი (დიუნგენონი), ქიარან სქალი (UCD).

სათადარიგო მორკინალები: ჯასტინ ფიცპატრიკი (დიუნგენონი), ალენ კლარკი (დიუნგენონი), ჯერემი დევიდსონი (კასტრი), დიონ ოკინიგენი (სეილი).

ერთადერთი მოთამაშე, ვისაც აქამდე ირლანდიის ნაკრებში არ უთამაშია, 26 წლის შუამარბი პატ დიუნენი გახლავთ.

# ჩაწყობა ევროპაშიც იციან




სებასტიან ვიარის „ბეგლ-ბორდო“ პარიზელებმა გასწირეს

ამ უქმეებზე რაგბიში ევროთასის გათამაშების ბოლო, მე-6 ტურის მატჩები გაიმართა და ყველა მეოთხედფინალისტიც გაირკვა. სამ ჯგუფში პირველ ადგილზე ფრანგული კლუბი გავიდა; C ჯგუფში კი როგორ „წაართვეს“ ტულუზს პირველობა, ამაზე ცოტა ქვემოთ. რვა საუკეთესოს შორის ოთხი ფრანგული გუნდია, ორი უელსური და ორიც ირლანდიური.

A ჯგუფში ბოლო ტურში ორი ფრანგული გუნდი შეხვდა ერთმანეთს. პარიზულმა „სტად ფრანსემ“ „ბეგლ-ბორდოს“ უმასპინძლა. მოგების შემთხვევაში ჟირონდელები მეორე ადგილს დაისაკუთრებდნენ და მეოთხედფინალისკენაც გაიკაფავდნენ გზას, ხოლო „სტად ფრანსეს“ პირველი ადგილი უკვე განაღდებული ჰქონდა. ამიტომ შეიძლება ვინმეს ეფიქრა, რომ დედაქალაქელები თავს არ გაიგიჟებდნენ და თანამემამულეებს შემდეგ ეტაპზე გასვლაში ხელს თუ არ შეუწყობდნენ, არ შეუშლიდნენ მაინც. მასპინძლებმა მთელი ძალით ითამაშეს და ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ (ჩემპიონატში „ბურგუნდთან“ და ევროთასზე „ლიანელისთან“) ცხრა ათასი მაყურებლის თვალწინ გაიმარჯვეს. სტუმრებისთვის ორივე ტაიმის დასაწყისი დამღუპველი აღმოჩნდა, რადგან პირველი ლელო მე-4 წუთზე გაუშვეს, მესამე კი 41-ეზე. პირველი ნახევრის შუაწელში კი მათ მეორე ლელო გაატანინეს მეტოქეს. ჩინებულ ფორმაში იყო „სტად ფრანსეს“ დამრტყმელი რიშარ დურთიც, რომელმაც ორ გარდასახვას ხუთი საჯარიმოც მიუმატა და თავის გუნდს ცხრამეტი ქულა შესძინა. დურთი ადრე „დაქსში“ გამოდიოდა და ფრანგი მამლების რიგებშიც უთამაშია ხუთი ერის პირველობაზე, მაგრამ შემდეგ ტრავმის გამო კარგა ხანს ვერ გამოიყურებოდა ძველებურად და მისმა ხელახალმა აღზევებამ ფრანგთა ნაკრების თავკაცი ძალიან გაახარა. მასპინძელთა მწვრთნელი ბერნარ ლაპორტიც იგივე აზრის იყო: „ეს ბიჭი ნდობას გაამართლებს და როცა დასჭირდებათ, მშვენიერ ფორმაშიც იქნება“.

ჯგუფის მეორე მატჩი ირლანდიაში გაიმართა, სადაც ადგილობრივმა „ლენსტერმა“ უელსურ „ლიანელის“ უმასპინძლა. მასპინძლებს მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად ფრეც ჰყოფნიდათ („ბეგლ-ბორდოს“ მარცხის შემთხვევაში), მაგრამ ეს მეტად დაძაბული შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. ახლა „ლიანელი“ ნახევარფინალში გასასვლელად „პერპინიანს“ შეერკინება სტუმრად.

B ჯგუფში შემდეგ ეტაპზე გამსვლელთა ვინაობა წინა ტურში გაირკვა. მე-6 ტურის მატჩებს მხოლოდ ერთ კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი — ვინ გახდებოდა ჯგუფში პირველი და შესაბამისად ვინ ჩაატარებდა მეოთხედფინალის ერთადერთ თამაშს საკუთარ მინდორზე. უპირატესობა ფრანგული გუნდის მხარეს იყო, ვინც „ნითს“ მასპინძლობდა და თან პადოვაში სათამაშოდ წასულ კონკურენტ „მანსტერს“ ერთი ქულით უსწრებდა. ორივე შეხვედრაში ფავორიტებმა გაიმარჯვეს. „პერპინიანმა“ 60:24 გაანადგურა „ნითი“, ხოლო ირლანდიელებმა 5 ლელო გაუტანეს იტალიელებს და 35:21 მოიგეს. ასე რომ, საკუთარი მინდვრის უპირატესობა მეოთხედფინალისთვის ფრანგებმა მოიპოვეს.

C ჯგუფში „ოლსტერი“ შოტლანდიას ეწვია იქაურ „ედინბურგთან“ საბრძოლველად. გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლები ჯგუფურ მეორე ადგილს დაეუფლებოდნენ და შემდეგ ეტაპზეც გავიდოდნენ, ფრე კი სტუმრებს გაახარებდა. თითქმის ყველა სპეციალისტი მოგებას „ედინბურგს“ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ პროგნოზების მიუხედავად, ირლანდიელებმა იმარჯვეს. არადა, პირველი ორმოცი წუთი შოტლანდიელთა უპირატესობით წარიმართა და 11:6 დასრულდა მათ სასარგებლოდ. მეორე ტაიმი კი სტუმრების გამოდგა და საბოლოო მოგებაც მათ დარჩათ 23:21. „ოლსტერს“, ალბათ, ეგონა, ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავეო, რადგან აუტსაიდერ „ებ ვეილის“ „ტულუზთან“ გამარჯვებას აბა, ვინ იფიქრებდა. მაგრამ როცა მსაჯი შენს წინააღმდეგაა, ვერას გახდები.

რამდენიმე კვირის წინ ფრანგებმა უელსურ „ებ ვეილს“ შინ 108:16 მოუგეს. სტუმრად კი 19:11 დამარცხდნენ.

„ამ ტურნირის გამართვის მიზანშეწონილებაში ადრეც ეჭვი გვეპარებოდა და ინგლისელების მსგავსად მის ბოიკოტირებას ვაპირებდით, თუმცა ბოლოს მაინც გადავწყვიტეთ მონაწილეობა. როგორც ამ სალამოს გამოჩნდა, მწარედ შევმცდარვართ“ — აღშფოთებას ვერ მალავდა „ტულუზის“ პრეზიდენტი რენე ბუსკატელი. უკმაყოფილების საბაბი კი მას მართლაც აქვს. უელსში, მატჩის 38-ე წუთზე ერთ-ერთმა მასპინძელმა მეტოქეს წიხლი ჩააზილა, მაგრამ შოტლანდიელი მსაჯის ედ მიურაის სასტვენი დუმდა. ამის გამო ატეხილი არეულობის მერე კი მსაჯმა სტუმართა მორაგბე ვანშერი გაუყენა გასახდელების გზას. ცოტა მოგვიანებით შოტლანდიელმა წესრიგის დამცველმა „ტულუზს“ სამი ლელოც არ ჩაუთვალა, რომელთაგან ერთი ნამდვილად არ იწვევდა ეჭვს, დანარჩენ ორს კი ასიდან 95 მსაჯი უყოყმანოდ ჩათვლიდა. „ამას ასე არ დავტოვებ. საჩივარს შევიტან რაგბის ფრანგ ჩინოსნებთან და ყოველნაირად ვეცდები, ამ „ჩაწყობილი“ მატჩის დამნაშავეების დასჯას მივაღწიო. ასეთი მსაჯობის გამო ევროთასს ინტერესი ეკარგება“ — რენე ბესკატელის ტონი ძალიან კატეგორიული იყო.

დაბოლოს, D ჯგუფში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა. „პონტიპრიდმა“ იოლად შეძლო „გლაზგოს“ დამარცხება და იტალიურ „ტრევიზოს“ ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით აჯობა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ევროთასი. VI ტური

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| ლენსტერი 27:34 ლიანელი | პადოვა 21:35 მანსტერი |
| სად ფრანსე 34:21 ბეგლბორდო | პერპინიანი 60:24 ნითი |

| C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|
| ებ ვეილი 19:11 ტულუზი | პონტიპრიდი 43:3 გლაზგო |
| ედინბურგი 21:23 ოლსტერი | კოლომიე 41:7 ტრევიზო |
| | (გაიმართა 25 ოქტომბერს) |

### სატურნირო ვითარება

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტად ფრანსე | 6 | 5 | 0 | 1 | 216:120 | 10 |
| ლიანელი | 6 | 3 | 0 | 3 | 113:180 | 6 |
| ბეგლ-ბორდო | 6 | 2 | 0 | 4 | 144:121 | 4 |
| ლენსტერი | 6 | 2 | 0 | 4 | 107:177 | 4 |

| B ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პერპინიანი | 6 | 5 | 0 | 1 | 238:108 | 10 |
| მანსტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 144:108 | 9 |
| ნითი | 6 | 1 | 1 | 4 | 118:194 | 3 |
| პადოვა | 6 | 1 | 0 | 5 | 79:168 | 2 |

| C ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლსტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 197:168 | 9 |
| ტულუზი | 6 | 4 | 0 | 2 | 234:103 | 8 |
| ედინბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 179:146 | 5 |
| ებ ვეილი | 6 | 1 | 0 | 5 | 114:307 | 2 |

| D ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლომიე | 6 | 4 | 0 | 2 | 176:120 | 8 |
| პონტიპრიდი | 6 | 3 | 0 | 3 | 160:141 | 6 |
| ტრევიზო | 6 | 3 | 0 | 3 | 142:150 | 6 |
| გლაზგო | 6 | 2 | 0 | 4 | 123:185 | 4 |

### მეოთხედფინალები 12-13 დეკემბერი

პერპინიანი (საფრანგეთი) — ლიანელი (უელსი)

ოლსტერი (ირლანდია) — ტულუზი (საფრანგეთი)

კოლომიე (საფრანგეთი) — მანსტერი (ირლანდია)

სტად ფრანსე (საფრანგეთი) — პონტიპრიდი (უელსი)

# მოსეშვილი ავად გამხდარა



ლეგიონერთაგან ნაკრებს პირველი ლევან ქარაბაკი შეუერთდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

*მოსეშვილის მაგივრობას კი პაატა გურასპაული და ზაზა ცაგარეიშვილი ეწეოდნენ. გაყინულ დარბაზში ჯერ ბიჭები კარგად გაახურეს, შემდეგ ხანგრძლივი მოთელვა ჩაუტარეს და ახლა ბურთზე მუშაობაც დაავალეს.*

*სასიხარულო კი ის არის, რომ აქ მოვარჯიშე ნაკრების წევრ-კანდიდატებს გუშინ* ***ლევან ქარაბაკიც*** *შეუერთდა. ვიცოდით, რომ ლევანი უკრაინაში, კერძოდ ქალაქ ბელაია ცერკოვის რომელიღაც გუნდში თამაშობდა, მაგრამ მასთან დაკავშირებას ვერაფრით ვახერხებდით და ინფორმაციას მხოლოდ მისი ოჯახისგან თუ ვიღებდით. ახლა კი თანაგუნდელების მონახულების შემდეგ ქარაბაკმა „სარბიელისთვისაც" მოიცალა:*

— ბელაია ცერკოვში პირველად ამ ზაფხულს მოვხვდი. ვიცოდი, რომ ჩემით დაინტერესებულნი იყვნენ და გასინჯვაზე ჩავედი. იქ კი აღმოჩნდა, რომ საოპერაციო ვყოფილვარ. ექიმებმა ვარჯიში ამიკრძალეს და თბილისში გამომიშვეს.

**— ლევან, ბოლო დროს ძალიან დაითარსე. ორი მძიმე ოპერაცია გადაიტანე და, ფაქტობრივად, წელიწადნახევარია, არსად გითამაშია. შეუძლებელია, ყოველივე ამას უკვალოდ ჩაევლო. მიუხედავად ამისა, მოსეშვილმა ნაკრებში გამოგიძახა. ეს, ალბათ, უდიდესი ნდობაა.**



ლევან მოსეშვილის არყოფნაში მწვრთნელ პაატა გურასპაულს (ბურთით) და კაპიტან ვატო ნაცვლიშვილს საქმე გაუორმაგდათ

— გეთანხმებით. მიხარია, რომ შეკრებაზე მეც დამიძახეს. სიმართლე გითხრათ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც მე გადავიტანე, ნაკრების ხელმძღვანელთა ასეთ ნდობას არც მოველოდი. ხუმრობა ხომ არაა, კალათბურთელს წელიწადნახევარია არსად გითამაშია და...

**— მოდი, ახლა სიმართლეში გაგვარკვიე. ზოგი ამბობდა, ქარაბაკი უკრაინაში სამკურნალოდ წავიდა, ზოგიც — სათამაშოდო. სიმართლე დღემდე ვერ დავადგინეთ.**

— მართლაც ასე იყო. სწორედ გაგიგიათ. იქ თავდაპირველად ინდივიდუალური მეთოდით, ექიმების ზედამხედველობის ქვეშ ვვარჯიშობდი. შემდეგ ნელ-ნელა მოვუმატე დატვირთვებს და ახლა ბოლო ორი კვირაა, გუნდთან ერთად სრულყოფილად ვვარჯიშობ.

**— რომელ გუნდთან? ამაზე არაფერი ვიცოდით.**

— ბელაია ცერკოვის გუნდია, „ნეფტოხიმავალი", რომელიც უკრაინის სუპერლიგაში გამოდის. სწორედ იქ ვვარჯიშობ. ეგ კი არა, უკვე ორი თამაშიც ჩავატარე.

**— გამოდის, რომ მათი საკუთრება ხარ. მაშ, კონტრაქტიც გააფორმე?**

— არა, კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია. არ ვჩქარობ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი თანახმანი არიან და პირობებსაც მისაღებს მთავაზობენ, მინდა, ჯერ ბოლომდე აღვიდგინო ფორმა, ნაკრებშიც ვითამაშო. იქნებ ამასობაში უკეთესი ვარიანტიც გამოჩნდეს. თუ არა და ეს გუნდი არსად გაიქცევა. უკრაინელები ჩემით მართლაც სერიოზულად დაინტერესდნენ.

**— იქაურ ლიგაზეც გვითხარი რამე, თანაც უკვე გითამაშია კიდეც.**

— ახლა უკრაინაში გახურებული სეზონია. ათგუნდიან ჩემპიონატში „ნეფტოხიმავალი" ამჟამად მეცხრე ადგილზე იმყოფება, თუმცა ბოლო ხანს გაცილებით მოვუმატეთ და მალე, ალბათ, ცხრილშიც ავინაცვლებთ.

პირადად ჩემი თამაშით, გადაჭარბებულად თუ არ ჩამითვლით, კმაყოფილი ვარ. ბოლო შეხვედრაში თითქმის ტაიმნახევარი მოედანზე დავყავი და 18 ქულაც გავაკეთე. ურიგო შედეგი ნამდვილად არაა, მაგრამ ისეც არ გაიგოთ, რომ საუკეთესო ფორმაში ვარ. ეს ჩემი ტრავმების გადამკიდე, შეუძლებელიცაა. მაგრამ ვატყობ, რომ კონდიციებს ნელ-ნელა ვიუმჯობესებ და სულ მალე გულშემატკივარიც ისევ ძველებურ ლევან ქარაბაკს იხილავს.

*ქარაბაკთან სასიამოვნო საუბრის შემდეგ ჩვენი ნაკრების კაპიტანის,* ***ვატო ნაცვლიშვილის*** *ამბებითაც დავინტერესდით, რომელსაც, ისე როგორც ლევანს, რა ხანია, აღარ უთამაშია და ამის მიზეზიც ტრავმებია.*

**— ვატო, ფეხი როგორა გაქვს?**

— ცოტა ტკივილები კიდევ მაწუხებს, მაგრამ შედარება არ შეიძლება. ახლა გაცილებით უკეთ ვარ და უკვე მთელი ძალით ვვარჯიშობ.

**— ეგ მართლაც კარგი ამბავია. ესე იგი 25-ში ჩეხეთთან შენც ითამაშებ. არადა, თითქოს ამის შანსი ნაკლებად იყო.**

— თუ ასე გაგრძელდა, ჩეხებთან აუცილებლად ვიქნები. იქამდე კი ფორმა უნდა აღვიდგინო. დიდი სურვილი მაქვს, ნაკრებს დავეხმარო, თანაც რაღაც განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. პარალელურად ფიზიოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობის კურსს გავდივარ. ექიმებიც მაიმედებენ, ყველაფერი კარგად იქნებაო.



აბრამიძემ, ნინიაშვილმა და ჯაფარიძემ სულის მოსათქმელადაც მოიცალეს

*ამას წინათ, დილმის ბაზიდან ნაკრების მზადების რეპორტაჟი რომ შემოგთავაზეთ, მაშინ მოსეშვილი ისრაელის შეკრებაზეც საუბრობდა. ებრაელები 15 ნოემბრისთვის გველიან და ფული თუ გამოჩნდება, აუცილებლად წავალთო. მოსეშვილის არყოფნაში ამის გასარკვევად გუნდის მეორე მწვრთნელს,* ***პაატა გურასპაულს*** *გავესაუბრეთ, რომელმაც სხვაც ბევრი გვიამბო:*

— ისრაელში მართლაც მივემგზავრებით. ამის შესახებ მეც ახლახანს შევიტყვე და თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, უნდა წავიდეთ.

**— ცოტა არ იყოს, უცნაურიც კია. აქ კვების საკითხი ვერ მოგვარდა, ნაკრები ორჯერად ვარჯიშზე ვერ გადაიყვანეთ, ახლა კი ისრაელიო, სადაც, თუ არ ვცდები, გვარიან თანხებზეა საუბარი.**

— პირდაპირ გეტყვით. მე მწვრთნელი ვარ და ჩემი ფუნქციები მაკისრია. საფიქრალი სხვაც თავზესაყრელი მაქვს და ფინანსებში არც ვერევი. ამაზე კალათბურთის ფედერაცია და სპორტის დეპარტამენტი ზრუნავს. ამ შეკრებასაც სწორედ ესენი აფინანსებენ. გასაგებია, რომ ჩვენს პირობებში ამის გაკეთება ძალიან ძნელია, მაგრამ აუცილებელია. სხვანაირად არაფერი გამოვა. გუნდი ხომ უნდა შევაკოწიწოთ, დავაკომპლექტოთ. თუ ნორმალურად არ მოვემზადეთ, ნორმალურ პირობებში, რა წარმატებაზე უნდა ვიფიქროთ?

**— გამოდის, რომ ისრაელში კარგ პირობებს გთავაზობენ...**

— რამდენადაც ვიცით, ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს. თანაც იქ ადრეც ვიყავით და ვიცით, სადაც მივდივართ. სამი ამხანაგური შეხვედრაც დაგეგმილი გვაქვს, აქედან ერთი 22-ში, ისრაელის ეროვნულ გუნდთან. უეჭველია, ეს ყოველივე ძალიან წაგვადგება.

**— 15-მდე რაღა დარჩა, ოთხიოდ დღე. არადა, მოსეშვილი ჯანმრთელად ვერ ყოფილა...**

— ექიმები ამბობენ, ორ-სამ დღეში ფეხზე დავაყენებთო. ღმერთმა ქნას, ასეც იყოს არადა, სხვა რა გზაა, ისრაელს უმისოდ გავფრინდებით. ამ შანსს ხელიდან ვერ გაუშვებთ. თუმცა მე მაინც მჯერა, რომ ასე არ მოხდება. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან ერთად მოსეშვილიც წამოვა.

**— სხვა მხრივ რა ხდება გუნდში, ბიჭების მზადყოფნა თუ გაკმაყოფილებთ?**

— ნელ-ნელა უკეთესობისკენ მივდივართ. იდეალურობაზე საუბარიც ზედმეტია. ამას დრო სჭირდება. მონდომებას კი ვერავის დავუკარგავ, ბიჭები გულმოდგინედ ვარჯიშობენ. რა გამოგვივა, ამასაც მალე ვნახავთ.

**— რადგან ისრაელური ვარიანტი დადებითად გადაწყდა, ალბათ, ლეგიონერებიც პირდაპირ იქ შემოგიერთდებიან.**

— ჩვენ ყველას შევეხმიანეთ და მას შემდეგ, რაც თავიანთ კლუბებს დაეხმარებიან, ისრაელში ჩამოვლენ. ერთადერთი ქარაბაკი ჩამოვიდა თბილისში, თუმცა საქმეში ჯერ არ გვინახავს და მასზე ვერაფერს გეტყვით. ჩხეიძე იქ დაგვხვდება. მოგეხსენებათ, ჩხირო იქაურ ლიგაში ბურთაობს. იქვე ველით ბერძენიშვილსა და ვაშაკიძეს, რომელნიც ასე 18-ისთვის იქნებიან ადგილზე. შედარებით უგვიანდებათ სტეფანიასა და ბოისას. შეიძლება ისინი პირდაპირ პრაღაში შემოგვიერთდნენ.

**— კონკრეტულად ჩეხებზეც მინდა გკითხოთ. ალბათ, გახსოვთ მათთან თბილისური შეხვედრა. მეტისმეტად მაღალი გუნდია და ფარზე დიდ პრობლემებს შეგვიქმნის. თავის მხრივ იმ მატჩში სტეფანიაც უძლური იყო, ტანმაღალ ცენტრებთან ვერაფერი გააწყო. თუ შეიმუშავეთ რაიმე ტაქტიკური სქემა ჩეხების დასამარცხებლად?**

— თავდაპირველად იმას გეტყვით, რომ ნაკრების ყველა თამაში კასეტებზეა გადაღებული. ჩვენ, მწვრთნელებმა, არაერთხელ ვნახეთ ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერი და, ბუნებრივია, ჩვენეული ვარიანტიც შევიმუშავეთ. ტანმაღალ ჩეხებს სწრაფი თამაში უნდა დავუპირისპიროთ. მხოლოდ ასე თუ მივაღწევთ წარმატებას. ამისათვის კი უკანახაზელებმა უნდა გაამართლონ. ჟღენტი და აბრამიძე ნაკრების ახალი წევრები არიან და ახლა მათზეა დამოკიდებული, როგორ ჩაჯდებიან გუნდის მონახაზში.

ასევე ბევრი ვიმუშავეთ პოზიციური თამაშის დასახვეწად. შემუშავებული გვაქვს რამდენიმე კომბინაცია, რომელთაც საჭიროებისამებრ გამოვიყენებთ. არაა გამორიცხული, მოწინააღმდეგეს პრესინგიც შევთავაზოთ. ამისთვისაც მზად ვართ.

მიუხედავად ყველაფრისა, პრაღაში გამარჯვება მეტისმეტად გაგვიჭირდება. თანაც შინაური კედლების ფაქტორიც ხომ იცით? ძალიან ბევრია დამოკიდებული ბიჭების ჯანმრთელობაზეც. თუ ისეთივე შემადგენლობა გვყავდა, როგორც ლატვიასა და იტალიასთან, მაშინ ჩათვალეთ, რომ შანსი არა გვაქვს.

თუ მწყობრში იქნებიან ნაცვლიშვილი, ქარაბაკი, სტეფანია, ბერძენიშვილი, მერწმუნეთ, ნებისმიერ მეტოქეს გავუმართავთ ბრძოლას. ადვილად არავის დავეჩაგვრინებით. ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ. აი, შვედეთს კი აუცილებლად უნდა მოვუგოთ. სხვანაირად ფიქრიც არ შეიძლება. მაშინ აღარ გვცოდნია კალათბურთი და ეგაა.

**გიორგი ბიძაშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# შევარდენი ამოფრინდა

შავარდენს ფრთა ჩამოვარდნოდა, დასუსტებულიყო, კაკანათშიც იოლად გაება, მაგრამ მახე ბედისწერად კი არა, ბედად ექცა: აწ უკვე ლამის გადაშენებული, წითელ წიგნში შეტანილი ფრინველი ოზურგეთელი გიგა ლომთაძის ხელში მოხვდა და ახლა, ნამკურნალევი, ამაყი და ყელმოღერებული ელოდა თავის ჯერს ანუ თავისი წილი მწყერის აფრენას.

— ეს რა კარგი შეჯიბრი გქონიათ! ჩვენთანაც ეწყობა დამჭერი ფრინველებით ნადირობა-ტურნირები, მაგრამ ისინი ასე კარგად მოფიქრებულ-ორგანიზებული არ არის — ალალად აღიარა ჰოლანდიელმა სტუმარმა, მოყვარულმა ბაზიერმა.

მართლაც ერთ რამედ ღირდა ჩოხატაურის სტადიონზე ახლახან გამართული საქართველოს ბაზიერთა პირად-გუნდური პირველობის ხილვა. ღირდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი ხალხის მართლაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ქართველთა ცხოვრების თვითმყოფადობის დასტური და თვალისჩინივით გასაფრთხილებელი ნიმუში.

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის ბაზიერთა ასოციაციის მიერ გამართულმა ამ შეჯიბრებამ თავი მოუყარა აჭარელ, ჩოხატაურელ, ფოთელ, ოზურგეთელ, მარტვილელ და ლანჩხუთელ ბაზიერებს, რომელთაც ხელზე დაგეშილ-გაწვრთნილი ქორ-შევარდენი, მიმინო, ალალი და მარჯანი ესხათ.

გუნდურ პირველობაში აჭარელმა ბაზიერებმა იმარჯვეს: ჩემპიონი აჭარის ნაკრები გახდა და საქართველოს მონკავშირის პრიზიც მას გადაეცა და ცნობილი ბაზიერის პაჭუ ჟორდანიას გარდამავალი თასიც. მეორე იყო ცალკე გუნდად წარმოდგენილი ქობულეთის ნაკრები, მესამე — მასპინძელი ჩოხატაურელები.

ნარდი მიმინოებით შეჯიბრში ჩემპიონიც, ვიცე-ჩემპიონიც და მესამე პრიზიორიც აჭარის წარმომადგენლები გახდნენ, შესაბამისად, მალხაზ ირემაძე, გია ირემაძე და ტარიელ კახიძე.

ქორებით ყველას აჯობა ჩოხატაურელმა თამაზ ჩხიკვაძემ, მეორე-მესამე ადგილებზე აჭარელი ბაზიერები ზებურ ბერიძე და ჯემალ ასანიძე გავიდნენ.

კაპოეტები ანუ სახლში გამოზამთრებული მიმინოები ყველაზე უკეთ წარმოადგინეს ჩოხატაურელებმა გივი მეფარიშვილმა, ლადო ბერძენიშვილმა და ზაურ ლუტიძემ, რომელთაც საპრიზო ადგილები სწორედ ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს.

ბათუმელმა გოჩა ბერიძემ კი წარმოადგინა ჩვენში იშვიათი ფრინველი ალალი, რომელიც შესანიშნავია მწყერზე ნადირობისას.

**გივი ჩოგოვაძე**
ბაზიერთა ასოციაციის პრეზიდენტი

# იქნებ აქედან იწყება?

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" 80 წლოვანი იუბილესადმი მიძღვნილ საჭადრაკო ტურნირზე, რომელშიც ბავშვთა საჭადრაკო სკოლის 28 აღსაზრდელი მონაწილეობდა, I-II ადგილები 7 შესაძლებლიდან 6-6 ქულით კახა ბიწაძემ და რომიკო ჩიტაძემ გაიყვეს, მესამე ადგილზე 5,5 ქულით არჩილ ბერუაშვილი გავიდა. გამარჯვებულები დიპლომებითა და საჭადრაკო ლიტერატურით დაჯილდოვდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნუ გაყინავთ მეკარეს

9 ნოემბერი

**ვანკუვერი — ლოს ანჯელესი 3:4 (1:2 1:1 1:1)**

0:1 მიურეი 5'22 (5); 0:2 რობიტაილი 6'28 (7); 1:2 მოგილნი 11'47 (4); 2:2 ზეზელი 24'36 (3); 2:3 რობიტაილი 29'00 (8); 3:3 ნესლუნდი 54'22 (5); 3:4 ციპლაკოვი 56'03 (3)

ნჰლ-ში თავის მე-600 მატჩში ვანკუვერელმა ალექსანდრ მოგილნიმ (1+1) განსაკუთრებით მოინდომა, უმცირესობაში გოლიც გაიტანა, მაგრამ ეს მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბოლო წლებში მაყურებელთა კლების ტენდენცია ვანკუვერსაც შეეხო და 1995 წელს გახსნილ „GM Place" არენაზე გამართულ ამ თამაშს მხოლოდ 13 906 კაცი დაესწრო.

REUTERS ვანკუვერიდან



სეზონის გამორჩეული ახალბედების, ლოსანჯელესის მეკარე მენი ლეგაჩეს და ვანკუვერელი ბილ მუკალტის დუელი მეკარემ მოიგო

**მონრეალი — ფილადელფია 5:1**

**2:0 1:1 2:0**

1:0 რუჩინსკი 15'37 (2); 2:0 სავაჟი 15'52 (3); 2:1 დეიგლი 33'12 (2); 3:1 სტივენსონი 36'55 (1); 4:1 სავაჟი 42'25 (4); 5:1 კორსონი 51'30 (3)

კანადელებმა რომ საკადრო პრობლემები მოაგვარეს და ყველა თავისუფალ აგენტთან შეთანხმდნენ, მათ თამაშსაც დაეტყო. თანაც ყველაზე მეტად ყოფილი გაფიცულები გამოირჩევიან. ორმა მათგანმა კი, მარტინ რუჩინსკიმ (1+1) და ბრაიან სავაჟმა (2+1) პირველი პერიოდის 15 წამში გადამწყვეტი გოლები გაიტანეს. თუმცა მონრეალელთა დაცვის გარჯა მაინც განსაკუთრებული გახლდათ. მათ კარგად გაართვეს თავი ერიკ ლინდროსის პერსონალურ მეურვეობას და იგორ ულანოვმა „მფრინავთა" ლიდერს ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცა.

**ტორონტო — აილენდერსი 1:3**

**0:0 0:0 1:3**

0:1 ლაპოინტი 40'46 (6); 1:1 მაკოლი 44'53 (3); 1:2 ოჯიკი 47'21 (3); 1:3 ნემჩინოვი 52'26 (1)

ტორონტოს გოლკიპერი კერტის ჯოზეფი პირველ ორ პერიოდში სულ უსაქმოდ იყო და, ეტყობა, ისე გაიყინა, რომ მესამეში ექვსი დარტყმიდან ნახევარი გაუშვა. სტუმართა მეკარემ ტომი სალომ კი ბოლომდე ივაჟკაცა (38 მოგერიება). აღსანიშნავია, რომ სალო კლუბის ცამეტივე მატჩში მონაწილეობდა და კარს მხოლოდ მეექვსე მოთამაშით შეცვლისას თუ ტოვებდა. საინტერესოა აილენდერსელი დევიდ ჰარლოკის „მიღწევაც" — მცველმა თავის ექვსწლიან კარიერაში (თუმცა ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა) პირველი ქულა (პასი გააკეთა) ჩაიწერა.

REUTERS ვაშინგტონიდან



მონრეალელმა იგორ ულანოვმა ყველა ორთაბრძოლაში აჯობა ფილადელფიელ ერიკ ლინდროსს (88)

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 36:26 | 15 |
| მონრეალი | 13 | 6 | 2 | 5 | 34:33 | 14 |
| ტორონტო | 14 | 6 | 2 | 6 | 41:44 | 14 |
| ბუფალო | 11 | 5 | 3 | 3 | 30:23 | 13 |
| ოტავა | 11 | 6 | 0 | 5 | 37:34 | 12 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 13 | 7 | 0 | 6 | 37:30 | 14 |
| სენტ ლუისი | 12 | 5 | 4 | 3 | 30:26 | 14 |
| ჩიკაგო | 13 | 4 | 2 | 7 | 28:39 | 10 |
| ნეშვილი | 12 | 4 | 1 | 7 | 30:37 | 9 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 11 | 7 | 2 | 2 | 29:23 | 16 |
| ფინიქსი | 9 | 6 | 1 | 2 | 27:15 | 13 |
| ლოს ანჯელესი | 14 | 5 | 3 | 6 | 30:33 | 13 |
| ანაჰაიმი | 12 | 3 | 4 | 5 | 26:27 | 10 |
| სან ხოსე | 12 | 2 | 4 | 6 | 28:31 | 8 |

**ჩრდილო-დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 13 | 8 | 0 | 5 | 46:34 | 16 |
| ვანკუვერი | 13 | 6 | 1 | 6 | 40:34 | 13 |
| კალგარი | 13 | 5 | 2 | 6 | 34:36 | 12 |
| კოლორადო | 13 | 4 | 1 | 8 | 43:44 | 9 |

**ატლანტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 12 | 7 | 0 | 5 | 25:26 | 14 |
| აილენდერსი | 14 | 7 | 0 | 7 | 34:35 | 14 |
| პიტსბურგი | 12 | 5 | 4 | 3 | 43:32 | 14 |
| ფილადელფია | 14 | 5 | 4 | 5 | 34:33 | 14 |
| რეინჯერსი | 13 | 3 | 4 | 6 | 24:36 | 10 |

**სამხრეთ-აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 14 | 6 | 3 | 5 | 34:29 | 15 |
| ტამპა | 14 | 6 | 2 | 6 | 36:39 | 14 |
| ფლორიდა | 12 | 4 | 3 | 4 | 27:35 | 11 |
| ვაშინგტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 28:35 | 11 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 19 (5+14); რეკი (მონრეალი) 18 (5+13); შენაჰანი (დეტროიტი) 17 (9+8); ფორსბერგი (კოლორადო) 17 (2+15); ლინდროსი (ფილადელფია) 16 (9+7); გერინი (ედმონტონი) 15 (10+5); ფლერი (კალგარი) 15 (9+6); ლეკლერი (ფილადელფია) 15 (8+7); მესიე (ვანკუვერი) 15 (7+8); კარია (ანაჰაიმი) და ბრინდამორი (ფილადელფია) 15 (6+9); სუნდინი (ტორონტო) 15 (5+10); აიზერმანი (დეტროიტი) და ელისონი (ბოსტონი) 15 (4+11).

*გოლები:* გერინი 10; ფლერი, ამონტე (ჩიკაგო), კლარკი (ტამპა), შენაჰანი და ლინდროსი 9; რობიტაილი (ლოს ანჯელესი) და ლეკლერი 8.

*პასები:* ფორსბერგი 15; იაგრი 14; რეკი 13; ჯენი (ტამპა) 12; ელისონი, აიზერმანი და რობერტსი (კაროლინა) 11.

*დარტყმები:* კარია 72; შენაჰანი 62; ბონდრა (ვაშინგტონი) 61; ფლერი და რობიტაილი 56; სუნდინი 55.

*საჯარიმო წუთები:* ოჯიკი (აილენდერსი) 80; უიმერი (კალგარი) 63; დომი (ტორონტო) 62; პრობერი (ჩიკაგო) 61

*ახალბედები:* პერიში (ფლორიდა) 9 (6+3); მუკალტი (ვანკუვერი) 9 (4+5); მანელიუკი (ფილადელფია) 8 (2+6); ჰეიდუკი (კოლორადო) 7 (2+5); რიზონერი (სენტ ლუისი) 7 (1+6); მორისონი (ნიუ ჯერსი) და უოტი (აილენდერსი) 6 (2+4).

# გოძილა გაცოცხლდება

ვაშინგტონის მეკარემ ოლაფ კოლციგმა არცთუ ისე კარგად დაიწყო სეზონი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა მას მაინც ბოლომდე ენდობა და თვლის, რომ მისი ამჟამინდელი წარუმატებლობა (გერმანელი ერთ თამაშში საშუალოდ 2,83 გოლს უშვებს, ორჯერ კი იმიტომ გამოცვალეს, რომ იოლი შაიბები გაუშვა) დროებითი მოვლენაა და „გოძილა" მალე დაიბრუნებს ფორმას. ორშაბათს გერმანელმა გოლკიპერმა ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის საერთო თანხა 12 მილიონი დოლარია. ეს იმის ოფიციალური დასტურია, რომ ოლაფ კოლციგი ნჰლ-ის ელიტას ეკუთვნის.



ვაშინგტონში სჯერათ: კოლციგი ისევ იყოჩაღებს

# ვარსკვლავები ასარჩევად

**ALL STAR GAME**

1999 წლის 24 იანვარს აშშ-ის ქალაქ ტამპაში „ოლ სტარის" მორიგი მატჩი ჩატარდება. ზედიზედ მეორედ შეხვდება ჩრდილოეთ ამერიკის ნაკრები დანარჩენი მსოფლიოს რჩეულთ. როგორც ყოველთვის, სეზონის დასაწყისში ქვეყნდება კანდიდატთა ვინაობა, გულშემატკივარი კი მათგან ღირსეულთ ირჩევს.

### ჩრდილო ამერიკა

*მეკარეები:* ტომ ბარასო (პიტსბურგი), მაიკ რიხტერი (რეინჯერსი), ჯონ ვანბისბრუკი (ფილადელფია, ყველა აშშ), ედ ბელფორი (დალასი), კერტის ჯოზეფი (ტორონტო), მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი), კრის ოსგუდი (დეტროიტი) და პატრიკ რუა (კოლორადო, ყველა კანადა).

*მცველები:* რობ ბლეიკი, სტივ დიუშენი (ორივე ლოს ანჯელესი), რეი ბურკი (ბოსტონი), ერიკ დეჟარდენი (ფილადელფია), ელ მაკინისი, კრის პრონგერი (ორივე სენტ ლუისი), ლარი მერფი (დეტროიტი), სკოტ ნიდერმაიერი, სკოტ სტივენსი (ორივე ნიუ ჯერსი), დერილ საიდორი (დალასი, ყველა კანადა), კრის ჩელიოსი (ჩიკაგო), დერიან ჰეჩერი (დალასი), კევინ ჰეჩერი (პიტსბურგი), ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი, ყველა აშშ).

*ცენტრფორვარდები:* ჯესონ ელისონი (ბოსტონი), რონ ფრენსისი, კეიტ პრიმო (ორივე კაროლინა), დუგ გილმორი (ჩიკაგო) უეინ გრეცკი (რეინჯერსი), ერიკ ლინდროსი (ფილადელფია), მარკ მესიე (ვანკუვერი), ჯო ნუინდაიკი (დალასი), ადამ ოუთსი (ვაშინგტონი), მაიკლ პეკა (ბუფალო), ჯო საკიკი (კოლორადო), პიერ ტარჯონი (სენტ ლუისი), სტივ აიზერმანი (დეტროიტი, ყველა კანადა), მაიკ მოდანო (დალასი), ჯერემი რენიკი (ფინიქსი), დუგ უეიტი (ედმონტონი, ყველა აშშ).

*გარემარბები:* ტონი ამონტე (ჩიკაგო), ადამ დედმარში (კოლორადო), ბილ გერინი (ედმონტონი), ბრეტ ჰალი (დალასი), ჯონ ლეკლერი (ფილადელფია), კეიტ ტკაჩუკი (ფინიქსი, ყველა აშშ), როდ ბრინდამორი (ფილადელფია), შეინ კორსონი, მარკ რეკი (ორივე მონრეალი), ტეო ფლერი (კალგარი), ჯეფ ფრიზენი, ოუენ ნოლანი (ორივე სან ხოსე), პოლ კარია (ანაჰაიმი), ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი), პეტ ვერბიკი (დალასი), რეი უიტნი (ფლორიდა), რობ ზამუნერი (ტამპა).

### მსოფლიოს ნაკრები

*მეკარეები:* დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო, ჩეხეთი), არტურ ირბე (კაროლინა, ლატვია), ნიკოლაი ხაბიბულინი (ფინიქსი), მიხაილ შტალენკოვი (ედმონტონი, ორივე რუსეთი), ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი, გერმანია), ტომი სალო (აილენდერსი, შვედეთი).

*მცველები:* სერგეი გონჩარი (ვაშინგტონი), ბორის მირონოვი (ედმონტონი), ოლეგ ტვერდოვსკი (ფინიქსი), სერგეი ზუბოვი (დალასი, ყველა რუსეთი), რომან ჰამრლიკი (ედმონტონი, ჩეხეთი), კენი იუნსონი (აილენდერსი), ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი), მატიას ოლუნდი (ვანკუვერი, ყველა შვედეთი), დარიუს კასპარაიტისი (პიტსბურგი, ლიტვა), უვე კრუპი (კოლორადო, გერმანია), ტეპო ნუმინენი (ფინიქსი, ფინეთი), სანდის ოზოლინში (თავისუფალი აგენტი, ლატვია), რობერტ შვეჰლა (ფლორიდა, სლოვაკეთი), ალექსეი ჟიტნიკი (ბუფალო, უკრაინა).

*ცენტრფორვარდები:* სერგეი ფიოდოროვი, იგორ ლარიონოვი ორივე დეტროიტი), ვიქტორ კოზლოვი (ფლორიდა), ალექსეი იაშინი (ოტავა), ალექსეი ჟამნოვი (ჩიკაგო, ყველა რუსეთი), პეტერ ფორსბერგი (კოლორადო), მატს სუნდინი (ტორონტო, ორივე შვედეთი), ბობი ჰოლიკი, პეტრ სიკორა (ორივე ნიუ ჯერსი), მარტინ სტრაკა (პიტსბურგი), რობერტ რაიხელი (აილენდერსი, ყველა ჩეხეთი), საკუ კოივუ (მონრეალი, ფინეთი), იოზეფ შტუმპელი (ლოს ანჯელესი, სლოვაკეთი), მარკო შტურმი (სან ხოსე, გერმანია).

*გარემარბები:* დანიელ ალფრედსონი (ოტავა), მიკაელ რენბერგი (ტამპა), ნიკლას სუნდსტრიომი (რეინჯერსი, ყველა შვედეთი), პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი), ზიგმუნდ პალფი (თავისუფალი აგენტი, ორივე სლოვაკეთი), პაველ ბურე, ალექსანდრ მოგილნი (ორივე ვანკუვერი), ვალერი ბურე (კალგარი), ვალერი კამენსკი (კოლორადო), ალექსეი კოვალიოვი (რეინჯერსი), სერგეი კრივოკრასოვი (ნეშვილი), სერგეი სამსონოვი (ბოსტონი, ყველა რუსეთი), იარომირ იაგრი (პიტსბურგი), მარტინ რუჩინსკი (მონრეალი, ორივე ჩეხეთი), სამი კაპანენი (კაროლინა), იერი ლეჰტინენი (დალასი), ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი, ყველა ფინეთი), დმიტრი ხრისტიჩი (ბოსტონი, უკრაინა).

**სამველ ლარიბიანი**

# ამერიკა გადარჩა

1998 წლის მაისში მსოფლიოს ჩემპიონატზე უსუსური გამოსვლის შემდეგ აშშ-ის ნაკრები ერთობ მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. მსოფლიო ჰოკეის ერთ-ერთ გრანდს უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად საკვალიფიკაციო ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა, თანაც ძალიან ცუდ დროს. ნოემბერში ხომ ნჰლ-ისა და ჩრდილოამერიკის სხვა ლიგების ჩემპიონატები მიმდინარეობს. ამიტომაც ნაკრების მწვრთნელმა ბენ სმიტმა უკიდურეს ზომას მიმართა — ტურნირზე ნჰლ-ში კარიერადასრულებულ ვეტერანთა და ევროპაში მოთამაშე ამერიკელთა გუნდი წაიყვანა. ნჰლ-ის ყოფილმა მოთამაშემ, 1980 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნილ ბროტენმა გულახდილადაც განაცხადა, თითქმის ორი წელია, ჰოკეი არ მითამაშია, თხუთმეტჯერ ვარჯიში ძლივს მოვასწარიო. ასეა თუ ისე, ამერიკელებს ასეთ შემადგენლობითაც არავითარი პრობლემა არ შექმნიათ და სამი გამარჯვების შემდეგ (ყაზახეთთან 3:0, ავსტრიასთან 2:0, ესტონეთთან 7:1) მათ, A ჯგუფის მასპინძელ ავსტრიასთან ერთად, შეინარჩუნეს ადგილი უმაღლეს ეშელონში. ზემოხსენებული ბროტენი კი 6 (3+3) ქულით ტურნირის ბომბარდირი გახდა. მეორე ჯგუფიდან მოულოდნელად უკრაინამ და საფრანგეთმა იმარჯვეს, გერმანიის ძლიერმა ნაკრებმა კი, რომელსაც ნჰლ-ის სამი მოთამაშე აკლდა, კრახი განიცადა.

### მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი

**A ჯგუფი. ავსტრია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 0 | 0 | 12:1 | 6 |
| ავსტრია | 2 | 0 | 1 | 12:6 | 4 |
| ყაზახეთი | 1 | 0 | 2 | 10:9 | 2 |
| ესტონეთი | 0 | 0 | 3 | 3:21 | 0 |

**B ჯგუფი. სლოვენია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 1 | 0 | 8:4 | 5 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 9:7 | 4 |
| სლოვენია | 0 | 2 | 1 | 5:8 | 2 |
| გერმანია | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |




# შიშველის ჩემპიონია!

მოხდენილი და ტანკენარი კატარინა ვიტი ერთდროს ფიგურული სრიალის მოყვარულთა გულებს იპყრობდა. 80-იან წლებში „ყინულის დედოფლად“ შერაცხულმა გერმანელმა დიაცმა ყველაფერი მოიგო — ორჯერ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, სამჯერ კი მსოფლიოს პირველობაზე იმარჯვა, მერე კატარინამ ამერიკას მიაშურა, სადაც სხვა სახელიან ფიგურისტებთან ერთად საქვეყნოდ ცნობილ შოუში მონაწილეობდა. კატარინა ამერიკელმა კინორეჟისორებმაც შეამჩნიეს და ჯონ ფრანკენჰეიმერმა თავის ფილმში, მეორეხარისხოვან როლში ათამაშა, პარტნიორობას უცნობილესი მსახიობები რობერტ დე ნირო და ჟან რენო უწევდნენ. იმასაც ამბობენ, მაშინ დე ნიროსა და კატარინას ერთმანეთი გულში ჩაუვარდათ და ისიყვარულეს კიდეცო.

ამ ბოლო დროს კი გერმანელმა ლამაზმანმა ფოტომოდელის ხელობასაც გაუგო გემო. ჟურნალ „PLAYBOY“-ში საქვეყნოდ გაშიშვლდა და ამიერიდან არამარტო ფიგურული სრიალის მოყვარულთა, არამედ მამაკაცთა გულთამპყრობელიც შეიქნა.





REUTERS

ეგვიპტელი ადილ რამზის (მარცხნივ) „ლაუტერნმა“ განელი ტონი იებოას „ჰამბურგს“ მოუგო

## გერმანია

XII ტური

**კაიზერსლაუტერნი 1:0 ჰამბურგი**
1:0 როსლერი (83)

**მიუნხენ 1860 2:1 ჰანზა**
1:0 ვინკლერი (34პ), 1:1 ფუხსი (51), 2:1 ვინკლერი (73)
*შალკე — ვერდერი და გლადბახი — ბაიერნი გადაიდო*

## ინგლისი

ლიგის თასის მერვედფინალი

**ლივერპული 1:3 ტოტენჰემი**
**ლუტონი 1:0 ბარნსლი**
**ბოლტონი 1:2 უიმბლდონი**

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

**პორტსმუთი 1:2 ნორვიჩი**
1:0 ალოიზი (29), 1:1 რობერტსი (52), 1:2 ეადი (73)

**ტრანმერი 0:1 ბრედფორდი**
0:1 ბეაგრი (44პ)

**ვულვერჰემპტონი 2:1 შეფილდი**
0:1 სტიუარტი (44), 1:1 კონოლი (50), 2:1 რობინსონი (55)

## საფრანგეთი

XIII ტური

**ნანტი 1:1 ლე ავრი**
1:0 სიუფო (11), 1:1 ნალისი (24)

**ნანსი 2:3 მარსელი**
0:1 მორისი (10), 0:2 გურვენეკი (21), 1:2 კასკარინო (50), 1:3 მორისი (76), 2:3 კონე (89)

## ესპანეთი

თასის მეორე ეტაპი

**დეპორტივო 3:1 ხერესი**

## იტალია

თასის მერვედფინალი

**ლეჩე 0:4 ფიორენტინა**

პირველი მატჩი 0:1

## პორტუგალია

X ტური

**სალგეირუში 1:1 ბენფიკა**
0:1 ჟოაუ პინტუ (50), 1:1 რეისი (90)

# რა დროს შაყირია...



ერთი სახალისო ამბავი მოხდა პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში. აქაურ კლუბ „ოლიმპიას“ სამხრეთ ამერიკის მერკოსურის თასის საპასუხო შეხვედრა ჰქონდა არგენტინის ჩემპიონ „ველეს სარსფილდთან“.

„ველესის“ ფეხბურთელები სათამაშოდ გამოვიდნენ არა მათი ტრადიციული შავ-წითელ-თეთრი სამოსით, არამედ ასუნსიონის „სერა პორტენის“ საფეხბურთო კლუბის ფორმით. „სერა პორტენი“ „ოლიმპიას“ უპირველესი და ისტორიული მოწინააღმდეგე ყოფილა პარაგვაულ ფეხბურთში. „ველესის“ ფეხბურთელთა ავი ოხუნჯობის მიზეზიც ეს ყოფილა.

ბაირესელთა ამგვარ ლაღობას აღუშფოთებია სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია, რომელსაც პრეს ატაშეს, ნესტორ ბენიტერის პირით განუცხადებია, მასხარაობის ნებას არავის დავრთავთ, მერკოსურის თასი სერიოზული შეჯიბრებააო.

თამაში კი მაინც „ოლიმპიამ“ მოიგო — 2:1. თუმცა, შემდგომ ეტაპზე „ველესი“ გავიდა, რახან ასუნსიონში ოთხბურთიანი მარაგით იყო ჩასული.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია.
ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი,
ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა ღევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



ელექტრონული ბიბლიოთეკა